

ISSN 1987-6890

ეკონომიკისა და
სტატისტიკის ეროვნული
სერვისების ცენტრი

EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
International Scientific-Analytical Journal

1

2 0 1 3

UDC33

ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

იანვარი 1 2013
თებერვალი

მთავარი რედაქტორი რამაზ აბუსაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
ვლადიმერ კავაზა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:

იური ანანიავილი, როზა ასათიანი, თემურ ბერიძე, ბიორბი ბერუაშვილი, ვახტანგ ბურღული, რევაზ გოგონია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მუსხია, ელგუჯა მძვინვარეძე, სოლომონ აპყალიაშვილი, უშანგი სამაღვილი, როლანდ სარციმელია, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შინგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ვთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

ეკონომიკის დოქტორები:

ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი, ბადრი ბეჩუაძე, მერაბ გველეხიანი, შალვა გობიაშვილი, ლინა დათუნაშვილი (კასუხისმგებელი მდივანი), გულნაზ ერყოფიანი, ვთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ანტონ კურატაშვილი, თეა ლახარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, დალი სოლოღაშვილი, ნოდარ ხაჯური, მამუკა ხუციშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უცხოელი წევრები:

ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, კასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა ბელინსკაია (ლიტვა), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), ბინდრა კანაუსკინენ (ლიტვა), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკიტელიშვილი (აშშ), სლავომირ პარტიციპი (პოლონეთი), დიმიტრი სეროკინი (რუსეთი).

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal
Published from January 2009

January
February

1

2013

Editor-in-Chief Ramaz Abesadze

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharashvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze.

DOCTORS OF ECONOMICS:

Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili (executive secretary), Gulnaz Erkomaishvili, Badri Gechbaia, Shalva Gogiashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Anzor Kuratashvili, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelaury, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Dali Sologhashvili.

FOREIGN MEMBERS:

Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia).

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაბან 6

ეკონომიკური თეორია

როზეტა ასათიანი – ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლების აღდგენის აუცილებლობა საქართველოს უნივერსიტეტებში 9

ტურიზმი

გულნაზ ერქომაიშვილი – ველნეს (Wellness) ინდუსტრიის განვითარების პირობები და სტრატეგია საქართველოში 26

სახელმწიფო მართვის მენეჯმენტის ეკონომიკა

სოფია თოქმაჯიანი – სომხეთის რესპუბლიკაში ტექნიკური უნივერსიტეტების მართვის ზოგიერთი ამოცანა ბოლონის პროცესში მონაწილეობის კონტექსტში 34

ტიგრან მარტიროსიანი – ქალაქ ერევანის წყალმომარაგების სისტემის ეფექტიანი მართვის გაზრდის პრობლემები 41

ფინანსები

ვასილ ხიზანიშვილი – ფინანსური გლობალიზაცია 50

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

კარლიგაშ კონდიკეროვა – განათლების ინტერნაციონალიზაცია ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში 55

დოსუან კურმანოვი – ყაზახეთი: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისაკენ საბაჟო კავშირში წარმატებული წვერობის გზით 62

ალექსანდრე შარაშენიძე – ტურიზმის კონკურენტუნარიანობის შეფასების სთვის (თბილისის მაგალითზე) 68

მაია სანიკიძე – მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოს კვების მრეწველობაში 74

თათია უდესიანი – კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში 81

ხატია ზაქარაია – სახელმწიფო რეგულირება ეკონომიკური თავისუფლების სადარაჯოზე 89

მილოცვა 93

ინფორმაცია 96

C O N T E N T S

FROM EDITOR-IN-CHIEF	6
-----------------------------	----------

ECONOMIC THEORY

<i>Asatiani Rozeta</i> – The Necessity of Re-establishment of Teaching of General Economic Theory in the Universities of Georgia	9
--	----------

TOURISM

<i>Erkomaishvili Gulnaz</i> – Options of Development and Strategies for Wellness Industry in Georgia	26
--	-----------

ECONOMY OF FOREIGN COUNTRIES

<i>Tokmajyan Sofia</i> – Some Issues of Management of Technical Universities in the Republic of Armenia in View of Participation in the Bologna Process	34
---	-----------

<i>Martirosyan Tigran</i> – Problems of Yerevan City Water Supply System Management Effectiveness Improvement	41
---	-----------

FINANCE

<i>Khizanishvili Vasil</i> – Financial Globalization	50
--	-----------

SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS

<i>Kondikerova Karligash</i> – Internationalization of the Education in the Context of Economic Globalization	55
---	-----------

<i>Kurmanov Doszhan</i> – Kazakhstan: to the WTO through Successfully Membership in the Customs Union	62
---	-----------

<i>Sharashenidze Alexander</i> – Concerning the Estimation of Tourism Competiveness (A Case of Tbilisi City)	68
--	-----------

<i>Sanikidze Maia</i> – The Perspectives of Development of Small Business in Food Industry of Georgia	74
---	-----------

<i>Udesiani Tatia</i> – Competition Policy in Georgia	81
---	-----------

<i>Zakaraia Khatia</i> – State Regulation in Guard of Economic Freedom	89
--	-----------

CONGRATULATIONS	93
------------------------	-----------

INFORMATION	96
--------------------	-----------

რედაქტორისაბან

ისე როგორც წინა წლებში 2012 წელსაც ინსტიტუტის კოლექტივმა წარმატებით ისაქმიანა. ეს წელი კოლექტივისათვის საიუბილეო წელი იყო ინსტიტუტმა ღირსეულად აღნიშნა აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან მე-100 და პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისთავი. ამ თარიღებს ინსტიტუტმა არაერთი ღონისძიება მიუძღვნა (ჩატარდა პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და საიუბილეო სხდომა, გამოიცა წიგნი – “გიორგი წერეთელი”, ჩატარდა აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ერთობლივი საიუბილეო სხდომა, ამავე თარიღს მიეძღვნა ინსტიტუტის შრომების კრებულის მეხუთე ტომი, წიგნი – “აკადემიკოსი ავთანდილ გუნია”.

საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო პროგრამის – **“პოსტკომუნისტურ ქვეყნებში უმუშევრობის დონის შემცირების ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებებისა და გზების განსაზღვრა საქართველოში”** (სამეცნიერო ხელმძღვანელები ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომლები ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფ. ვლადიმერ პაპავა) შესაბამისად მუშაობა მიმდინარეობდა 8 სამეცნიერო პრობლემაზე:

1. **პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის ფუნქციონირებაზე გლობალიზაციის გავლენის თეორიული პრობლემები თანამედროვე ეტაპზე** (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ. ალფრედ კურატაშვილი);

2. **ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებაზე გლობალიზაციის გავლენის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე** (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე, ემკ ნანული არევაძე);

3. **ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკაზე გლობალიზაციის ფაქტორების გავლენა** (ხელმძღვანელი ინსტიტუტის სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგე, ემდ ვახტანგ ბურდული);

4. **ქვეყანაში ბიზნესის განვითარებაზე გლობალიზაციის გავლენის თავისებურებათა დადგენა** (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ. გიორგი ბერუღავა);

5. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფაზე გლობალიზაციის გავლენის პრობლემები** (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის განყოფილების გამგე, ემკ იზა ნათელაური. თანახელმძღვანელი ემკ ეთერ კაკულია);

6. **გლობალიზაციის გავლენა სახელმწიფო სექტორის განვითარებაზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში** (ხელმძღვანელი ინსტიტუტის საჯარო ეკონომიკის განყოფილების გამგე, ემკ თეა ლაზარაშვილი);

7. **გლობალიზაციის გავლენა მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე** (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მდგრადი ეკონომიკური განვითარების განყოფილების გამგე ემკ მამუკა ხუსკივაძე);

8. **გლობალიზაციის გავლენა აგრარული ურთიერთობების განვითარებაზე საქართველოში** (ხელმძღვანელი ინსტიტუტის სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგე, ემდ ვახტანგ ბურდული, აგრარულ პრობლემათა ლაბორატორიის გამგე, ემკ თენგიზ ქავთარაძე).

აღნიშნული თემატიკის მიხედვით ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შესრულებული ნაშრომები გამოქვეყნებულია და მათ აქვთ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ და წინა წლების ნაშრომებზე დაყრდნობით მომზადდა წიგნი – "საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება (მოსაზრებები. წინადადებები. რეკომენდაციები)".

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ საანგარიშგებო პერიოდში სულ გამოქვეყნდა 138 სამეცნიერო სტატია (მათ შორის საზღვარგარეთ – 12, 3 იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში), 13 მონოგრაფია, სამეცნიერო კრებული, სახელმძღვანელო და ბროშურა (მათ შორის 1 საზღვარგარეთ).

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ კონფერენციების მასალებში გამოქვეყნდა 92 ნაშრომი (მათ შორის საერთაშორისო კონფერენციათა მასალებში – 14).

მომზადდა 1000-ზე მეტი საენციკლოპედიო სტატია.

აღნიშნულ წელს გამოიცა "პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის" მეხუთე ტომი. ასევე გამოქვეყნდა ინსტიტუტის მიერ დაარსებული საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალის – "ეკონომისტის" 6 ნომერი.

2012 წელს ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები მონაწილეობდნენ 6 სამეცნიერო გრანტში (მათ შორის რუსთაველის ფონდის 1 და უცხოეთის 5).

გამოქვეყნდა 80-ზე მეტი საგაზეთო სტატია და ინტერვიუ;

გრძელდებოდა მუშაობა "დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის" მოსამზადებლად;

სადისკუსიო დარბაზის სხდომებზე განიხილებოდა სამეცნიერო მოხსენებები (მაგალითად, ემდ, პროფესორ **რამაზ აბესაძის** მოხსენება – "ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი თეორიული საკითხი", პეპერდაინის (აშშ) უნივერსიტეტის ჯორჯ გრაციოდოს სახელობის ბიზნესისა და მენეჯმენტის ასპირანტურისა და კლერმონტის უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტის პროფესორის **ლევან ეფრემიძის** მოხსენება – "ფინანსური სპეკულაცია, კრიზისი და საერთაშორისო რეზერვები");

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (თაემჯდომარე პროფ. **თ. ჩხეიძე**) მოსმენილი იქნა 5 მეცნიერთანამშრომლის მოხსენება;

რეგულარულად იმართებოდა "დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის" სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს და ჟურნალ „ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის სხდომა.

საქართველოს მეცნიერების ეროვნულ აკადემიაში მოეწყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ელადიმერ პაპავას** და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის **ელდარ ისმაილოვის** მონოგრაფიის: "ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრების" პრეზენტაცია, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფ. **რ. აბესაძე**.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე მოხსენებით "თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ გაწეული სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის შესახებ" გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი, **ემდ, პროფ. რ. აბესაძე**

აკადემიკოსი ავთანდილ გუნიას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საიუბილეო სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფ. **რ. აბესაძე**.

ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა მიერ 2012 წელს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საკონკურსოდ წარდგენილი იქნა 4 სამეცნიერო პროექტი.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება.

გრძელდებოდა სამეცნიერო კავშირები საზღვარგარეთის სხვადასხვა სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებასთან (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან და ლუბლინის იოანე პავლე მეორის სახელობის უნივერსიტეტთან და სხვ. ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობდნენ წარმომადგენლები საზღვარგარეთის 10-ზე მეტი ქვეყნიდან);

ჩატარდა ინსტიტუტის აწ გარდაცვლილი თანამშრომლების ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი (ემდ, პროფ. **მ. კახეთელიძე**; ემდ, პროფ. **ვ. დათუკიშვილი**; ემდ, პროფ. **ი. ასათიანი** და ემკ **თ. ხოშტარია**).

რამაზ აბესაძე

ეკონომიკური თეორია

როზეტა ასათიანი

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ის სრული პროფესორი, თსუ-ის
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის
ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი*

**ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლების აღზენის აუცილებლობა
საქართველოს უნივერსიტეტებში**

ამ პრობლემის აქტუალურობას განაპირობებს არა მხოლოდ ეკონომიკური თეორიის უდიდესი როლი ეკონომიკური მეცნიერების წარმოშობა-განვითარებაში, არამედ მისი განუზომლად დიდი მნიშვნელობაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების მსოფლმხედველობის გაფართოება-დახვეწაში.

ეკონომიკური თეორიის როლისა და მნიშვნელობის დასაბუთებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ის ეტაპები, რომლებმაც უშუალოდ წარმოაჩინა ეკონომიკური თეორიის განსაკუთრებული ადგილი კაცობრიობის პროგრესში.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ღრმა ტრანსფორმაციულმა პროცესებმა, რასაც დასაბამი მისცა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან საზოგადოებრივ წარმოებაში განხორციელებულმა მძლავრმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, ახალი ამოცანების წინაშე დააყენა ეკონომიკური მეცნიერება, განსაკუთრებით კი, ეკონომიკური თეორია. სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ახსნაში მას „პირველი ვილინოს“ როლი წარმოშობიდან – XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან, კლასიკური ეკონომიკური თეორიისა და, შესაბამისად, ინგლისური კლასიკური სკოლის აღმოცენებიდან (რაც დასავლეთში კაპიტალიზმის დამკვიდრების პარალელურად მოხდა) დაეკისრა, მაგრამ შემდგომ პერიოდში ეკონომიკური მეცნიერების დივერსიფიკაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული ყველა ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძველი გახდა. მის მიერ შემუშავებული კატეგორიები, ცნებები და აღმონიშნული კანონზომიერებები საფუძველად დაედო ფუნქციონალურ და დარგობრივ ეკონომიკურ მეცნიერებებს.

რაც უფრო იკრებდა ძალას კაპიტალიზმი, მით უფრო მდიდრდებოდა ეკონომიკური თეორია ახალ-ახალი კონცეფციებით, სკოლებითა და მიმართულებებით. მიუხედავად ამისა, კლასიკურ-ლიბერალური თეორია ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებულ მიმართულებად რჩებოდა თითქმის 160 წლის მანძილზე და XX საუკუნის 30-იან წლებამდე საფუძველად ედო ჯერ ინგლისის, ხოლო შემდეგ, აშშ-ისა და სხვა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას. ლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ უდიდესი როლი შეასრულა უპრეცედენტოდ ღრმა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე მიყვანაში. ამ დრომოჭმული, „უხილავი ხელის“ თეორიაზე აგებული პოლიტიკით მსოფლიო ეკონომიკა „დიდმა დეპრესიამ“ მოიცვა. მაგრამ, 40-იან წლებში დაწყებულმა „კეინზიანურმა რევოლუციამ“, როგორც 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, და უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებურმა გამოძახილმა, ბიძგი მისცა არსებითი ძვრების დაწყებას წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში. ამ პერიოდიდან მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების შედევრად ცნობილ, ბესტსელერად აღიარე-

ბულ ჯონ მენარდ კეინზის ნაშრომში – „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936) (შემდგომში – „ზოგადი თეორია“ – რ.ა.) – წარმოდგენილია **მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიამ მთელმარე მდგომარეობაში მყოფ აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში განმსაზღვრელი ადგილი დაიკავა და ჩაანაცვლა კლასიკურ-ლიბერალური თეორია.**

„კეინზიანური რევილუციით“ დასავლეთის ქვეყნები ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადაერთო. მაკროეკონომიკური რეგულირების კეინზიანური მოდელი საფუძვლად დაედო მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას, რამაც დააჩქარა კაპიტალიზმის გამყარება და მისი ახალ თვისებობაში გადაზრდა. „ველური კაპიტალიზმი“ ევოლუციური გზით ჩამოყალიბდა საკუთრების პლურალიზმზე (საკუთრების მრავალფორმიანობა თითოეული ფორმის თანაბარი უფლებით) დაფუძნებულ, მაკროეკონომიკური რეგულირებით **განმტკიცებულ** ეკონომიკურ სისტემად, რომლის განმსაზღვრელ ფენომენად ბაზარი წარმოჩინდა. „ერთობლივი მოთხოვნის“ თეორიის საფუძველზე შექმნილია კეინზიანურმა მოდელმა უარყო ეკონომიკურ თეორიასა და მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში გაბატონებული სმიტისეული კონცეფცია და ადგილი სოციალურ ორიენტაციაზე მორგებულ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტს დაუთმო. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტების უმრავლესობა კეინზის „ზოგად თეორიას“ განიხილავს როგორც შემობრუნების ეტაპს ეკონომიკური აზრის ისტორიასა და აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში [1].

კრიზისების დაძლევისა და დეპრესიის თავიდან აცილებისადმი მიძღვნილი რაციონალური ქცევის თეორიად ცნობილი სტაგნაციური ეკონომიკის ეს სიღრმისეული ანალიზი შემდეგ მსჯელობას ეყრდნობა: პირველ ყოვლისა, კეინზი აქცენტს აკეთებდა რა ეფექტიანი მოთხოვნის მექანიზმზე, უარყოფს ეკონომიკაში გაბატონებულ მიკროეკონომიკური მიდგომას. მისი აზრით, სახელმწიფო, სოციალური ხარჯების გაზრდით, ან გადასახადების შემცირებით, ან კიდევ, ორივე ღონისძიების გატარებით შეძლებდა ერთობლივი მოთხოვნის ამადლებას, რითაც გააფართოებდა წარმოებას (მიწოდებას), მოიზიდავდა ინვესტიციებს და ეკონომიკას დაუბრუნებდა სიცოცხლისუნარიანობას. კეინზის მულტიპლიკატორის თეორიაც აგებულია შემდეგ მსჯელობაზე: ინვესტიციების გადიდება გამოიწვევდა ჯერ დასაქმების, ხოლო შემდეგ, შემოსავლების ზრდას. ეს უკანასკნელი გაზრდიდა ბაზრის ტევადობას, რაც, თავის მხრივ, ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა წარმოების, დასაქმებისა და შემოსავლების გადიდებისათვის.

მეტად მნიშვნელოვანია კეინზის შემდეგი მოსაზრებაც: როცა ეკონომიკა შეძლებდა „ბაზრის შეცდომების გამოსწორებას“, მაშინ „ეფექტიან მოთხოვნაზე“ სახელმწიფოს მიერ აქცენტის გაკეთება აღარ იქნებოდა საჭირო და ამის საპირისპიროდ მთელი ძალით ამოქმედებოდა ნეოკლასიკურ „მიწოდების თეორიაზე“ დაფუძნებული საბაზრო რეგულირების ტრადიციული მეთოდები [2].

ეკონომიკურ აზროვნებასა და შემდგომ, პრაქტიკაში განხორციელებულმა ასეთმა რადიკალურმა ცვლილებებმა წარმოქმნა სრულიად სხვა შინაარსის ბაზარი, ვიდრე იყო წინა ეკონომიკურ სისტემებში, სადაც მას შედარებით მეორეხარისხოვანი როლი ეკისრებოდა და წინა პლანზე წამოწეული იყო ჯერ მონათმფლობელური (მონათმფლობელსა და მონას შორის), შემდეგ, ფეოდალური (ფეოდალსა და ყმაგლეხს შორის), დაბოლოს, კაპიტალისტური (კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის) ეკონომიკური ურთიერთობები. ამასთან, არ გამოვრიცხავთ არც 70-წლიან „სოციალისტურ ექსპერიმენტს“, სადაც ასევე არსებობდა განსხვავებულ პარადიგმებზე დამყარებული ბაზარი, მაგრამ აქაც იგი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა და წინა პლანზე ე.წ. სოციალისტურ-

რი ეკონომიკური ურთიერთობები იყო წამოწეული, რომელიც ეფუძნებოდა ფორმით მარქსისტულ, ხოლო შინაარსით ლენინურ მემკვიდრეობაზე აგებულ სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას.

შერეული ტიპის ეკონომიკაში, სადაც სახელმწიფო „ღამის დარაჯიდან“ მაკროეკონომიკურ რეგულატორად გადაიქცა, საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ ბაზარს მნიშვნელოვანი, მეტიც, განმსაზღვრელი როლი დაეკისრა, რაც, ყველა წინა ეკონომიკური სისტემისაგან განსხვავებით, თვისებრივად ახალი ეკონომიკური გარემოს შექმნაში აისახა.

ასეთ სიტუაციაში ეკონომიკური თეორიის წინაშე ახალი ამოცანები დადგა. სრულიად ახალი შინაარსის მატარებელი რეალური ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი გახდა ახალი ინსტრუმენტარიუმის გამოყენება. პ. სამუელსონი „ეკონომიკის“ ბოლო, XVI გამოცემაში (1998) აღნიშნავს, რომ როდესაც მან პირველად გამოსცა ეს სახელმძღვანელო 1948 წელს, უკვე მომწიფებული იყო ნიადაგი ეკონომიკაში მომხდარი რეკოლუციური ცვლილებების ასახვისათვის. სტუდენტთა ახალი თაობა მოითხოვდა ახალი ეკონომიკური მოვლენების ახსნას, ხოლო ეკონომიკაში ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელოებიც კი მოძველებული იყო, რაც ეტყობოდა კიდევ სტუდენტთა აუდიტორიებს, სადაც ისინი მოწყენილები ისხდნენ [3, გვ.16-17].

საბაზრო ურთიერთობებმა, გაბატონებული კერძო კაპიტალისტურ საკუთრებითი ურთიერთობების ნაცვლად, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებით, შეიძლება ითქვას, „შტამპი მოხსნა“ კაპიტალიზმს. სწორედ საკუთრებით ურთიერთობებში განხორციელებულმა რეკოლუციურმა ცვლილებებმა (ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად) განაპირობა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პირველად ბაზრის, როგორც მეურნეობის ეფექტიანი მექანიზმის, ჩამოყალიბება. მისთვის დამახასიათებელი უპირატესობების საფუძველზე იგი, როგორც მრავალსტრუქტურული წარმონაქმნი, ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად იქცა. ასეთი ბაზარი, როგორც აღწარმოების მთელი პროცესის მომცველი ფენომენი, აყალიბებს შრომითი მოტივაციის ეფექტიან სისტემას, ფართო შესაძლებლობებს ქმნის სამეწარმეო საქმიანობისათვის, საბოლოო ანგარიშით კი, გამოავლენს ისეთ ობიექტურ კანონზომიერებებს, რომლებიც გამოხატულებას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში პოვენ [4, გვ. 40-42].

ასეთი კანონზომიერებები ჩამოყალიბდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, დღეს განვითარებულ, მაგრამ XX საუკუნის 30-იან წლებში ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე მდგარ ქვეყნებში.

მსოფლიო ეკონომიკაში დაიწყო ახალი ეპოქა. მაგრამ როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კეინზის რეკომენდაციები არ იქნა სრულყოფილად გათვალისწინებული განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ნაწილი, სადაც ავტორი მიუთითებს თავისი რეკომენდაციების ქვეყნის მხოლოდ კრიზისულ მდგომარეობაში გამოყენების შესახებ, როდესაც ეკონომიკური სიტუაცია გამოხატავს წონასწორობის შესაძლებელი მდგომარეობის უკიდურეს შემთხვევას [2, გვ. 55]. კეინზის თეორია, რომელიც უმთავრესად იკვლევს საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთაობის, მასობრივი უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების გამომწვევ მიზეზებს, ამასთან, რეკომენდაციები, რომლებიც ამ მიზეზების აღმოფხვრის გზებს გვთავაზობს, კრიზისის დაძლევის შემდეგაც გამოიყენებოდა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. მართალია, ნეოკეინზიანელებმა (დომარი, ფელნერი, რობინსონი და ა.შ.) კეინზის

თეორია გამოიყენეს როგორც მეთოდოლოგიური საფუძველი ახალი პროცესების ანალიზისათვის, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ახალი მეთოდების დასაბუთებისათვის, მაგრამ მათ კეინზის თეორიაზე დაყრდნობითა და, ამასთან, მისი კრიტიკით სრულიად ახალი კონცეფცია შექმნეს. ისინი ასაბუთებდნენ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ცენტრალიზებული კოორდინაციის აუცილებლობას. საქმე ეხებოდა ინდიკატურ დაგეგმვას, რომელიც არ ზღუდავდა კერძო კაპიტალის სუვერენულ უფლებებს. ნეოკეინზიანელთა პოზიციას ამერიკელმა ეკონომისტებმა (ა. ბერნსი და სხვ.) „სტაგნაციის ახალი თეორია“ უწოდეს.

ეკონომიკურ თეორიაში კეინზიანური მიმართულების კრიტიკა გაამძაფრეს ნეოკლასიკოსებმაც (რ. სოლოუ, დ. მიდი და სხვ). ისინი ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგნი იყვნენ, თუმცა, მაინც აღიარებდნენ შეზღუდული ფორმით, უმთავრესად ფულადი რეგულირების სფეროში, ასეთი ჩარევის აუცილებლობას. მათთვის ცენტრალურ პრობლემას არა ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა, არამედ ერთობლივი მიწოდება წარმოადგენდა. ნეოკლასიკოსები ეკონომიკური ზრდის საფუძველად სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, მოგების გაზრდასა და ხელფასის გადიდებას შორის პროპორციების მკაცრი რეგულირების ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას თვლიდნენ.

ასეთი კრიტიკის ქარცეცხლში კეინზიანური მოდელი წარმატებით გამოიყენებოდა ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომლის რეალურ განსახიერებას განვითარებულ ქვეყნებში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ამ პერიოდში კეინზიანური მოდელის მოწინააღმდეგეთა შეხედულებების რენესანსი ვერ მოხერხდა, მაგრამ 70-იანი წლებიდან დასავლეთის ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა. „სახელმწიფო ინტერვენცია“ გამოვლინდა ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, ბიუჯეტის დეფიციტის, სახელმწიფო ვალის ზრდაში, სახელმწიფო აპარატის გაბერვაში და, საბოლოო ანგარიშით, გადასახადების გადიდებაში. ამან გამოიწვია ეკონომიკის სტიმულირების შესუსტება, რის შედეგადაც დაიწყო ეკონომიკური ზრდის შენელება.

1974-1975 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც 30-იანი წლების შემდეგ ყველაზე ძლიერი იყო, ხელშემწყობი პირობები შექმნა „სახელმწიფოს მინიმუმის“ თეორიის აღორძინებისათვის. შესუსტდა ყურადღება დინამიკური წონასწორობის პრობლემის მიმართ და წინა პლანზე გადმოინაცვლა პოტენციური შესაძლებლობების ზრდის განმსაზღვრელმა ფაქტორებმა, რესურსების მიწოდებისა და გამოყენების ეფექტიანობის, წარმოების პოტენციური დონის განსაზღვრის პრობლემებმა. გაძლიერდა ეკონომიკური ზრდის კეინზიანური მოდელის კრიტიკა და დაიწყო ნეოკლასიკური თეორიის იდეების რენესანსი, რამაც პრაქტიკული ასახვა პოვა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. „მიწოდების თეორიისა“ და მონეტარიზმის ძირითადი დებულებები აისახა აშშ-ის პრეზიდენტ რ. რეიგანის პოლიტიკაში, რომელმაც მიიღო „რეიგანომიკის“, ხოლო დიდ ბრიტანეთში – „ტეტჩერიზმის“ სახელწოდება.

ამ უაღრესად რთული პროცესების ახსნისა და ანალიზის, თეორიული განზოგადების აუცილებლობამ ახალი ეკონომიკური აზროვნება და შემოქმედებითი მიდგომა მოითხოვა. ეკონომიკური თეორია, რომელიც მართლაც გახდა „საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეფე“ (სამუელსონი), ახალი ამოცანების წინაშე დადგა.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურ თეორიასა და პოლიტიკაში პრინციპული კორექტივების შეტანამ, რაც ეყრდნობა „ორივე ხელის სტრატეგიას“, ანუ როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური მიდგო-

მების მნიშვნელოვანი ელემენტების გათვალისწინებას სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი მეორე ნახევრიდან ახალი სიტყვა თქვა ეკონომიკურ თეორიაში. ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება „ნეოკლასიკური სინთეზის“ სახით, რომელიც საფუძვლად დაედო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას. ეს პერიოდი ამ ქვეყნებისთვის იყო ეკონომიკური სტაბილურობისა და აღმასვლის პერიოდი. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად შემცირდა ინფლაცია, უმუშევრობა და მიღწეულ იქნა მყარი ეკონომიკური ზრდა. **მაგრამ 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან სრულიად საწინააღმდეგო პროცესები განვითარდა.**

მსოფლიო ეკონომიკის ახლო წარსულის ისტორია არის მონეტარიზმის აღზევების ისტორია. იგი „ანტიკეინზიანური რევილუციის“ სახით აისახა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. „ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარულ თეორიაზე აგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც თითქმის უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ეყრდნობოდა აშშ-ისა და რიგი სხვა ქვეყნების ეკონომიკა, სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების გარანტიად იყო აღიარებული. იგი ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებასა და საბაზრო ძალების გაძლიერებას, სახელმწიფო სოციალური ხარჯების შემცირებას სოციალური პროგრამების შეკვეცის, ხელფასის მინიმალური განაკვეთების „გაყინვის“, პროფკავშირების როლის შესუსტებისა და ა.შ. გზით. ამ პერიოდში მონეტარიზმი ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებულ მოდელად აღიქმებოდა. მაგრამ, პროგრესთან ერთად, ეკონომიკური განვითარების რთული პროცესი ახალი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი – სოციალური პრობლემები წარმოჩინდა [5].

მაშინ, როდესაც აშშ ეკონომიკური ქცევის „დიდ სტაბილურობას“ ზემოდასწრებდა, ხოლო მილტონ ფრიდმენსა და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა ცნობილ წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ „დეპრესიის პრევენციის ცენტრალური პრობლემა გადაჭრილი იყო“, კრიზისის დადგომის ნიშნები, განსაკუთრებით 2006 წლიდან, ნელ-ნელა იკვეთებოდა. ამ დროს, როგორც 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი აღნიშნავს, ეკონომიკური დარგის პროფესიონალები თვლემდნენ [1, გვ. 80]. მიუხედავად აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მცდელობისა, გამოესწორებინა კეთილდღეობის გზიდან ეკონომიკის მნიშვნელოვანი გადახრები, ამერიკული ეკონომიკა აცდა სწორ გზას და „ლიანდაგიდან გადავიდა“ [6]. ევროკავშირის სამიტზე 2008 წლის ოქტომბერში საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ „ულტრალიბერალურმა კაპიტალიზმმა კრაზი განიცადა და აუცილებელია იგი შეიცვალოს სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელით“ [7]. ამის შესახებ სერიოზული მსჯელობა იყო 2010 წლის დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზეც, სადაც ლიდერი ქვეყნების წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს მსოფლიოს ფულად-საკრედიტო სისტემაში შექმნილი რთული ვითარება [8].

პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმი. ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის მთავარი მიზეზი მაკროეკონომიკური რეგულირების მეკეთერ შეზღუდვასა და, გარკვეულწილად, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების უკანა პლანზე გადაწევაში მდგომარეობს. ამასთან, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას. ფინანსურმა ეკონომიკამ, რომელიც, შეიძლება ითქვას, მოწყდა რეალურ ეკონომიკას,

მსოფლიოს უბიძგა ფინანსური კრიზისისკენ, რომელიც შემდეგ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა.

ფინანსური ეკონომიკა მხოლოდ საშუალებაა საბოლოო მიზნის მიღწევისათვის, საბოლოო მიზანი კი არა სპეკულაციური გარიგებები და ამ გზით ფულის კეთებაა, არამედ მატერიალური და არამატერიალური დოვლათისა და ფასეულობების წარმოებაა. სამწუხაროდ, ეს აქსიომატური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული. ფულის კეთების ხელოვნებამ, რომელსაც არისტოტელემ ქრემატიტიკა უწოდა (ამასთან დაგმო), დაფარა მეურნეობის მართვის ხელოვნება (ეკონომიკა), შედეგად კი მივიღეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ამაში ფრიდმენის მონეტარული თეორიის უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა.

ნეოორთოდოქსალურ თეორიაზე მორგებული თანამედროვე მონეტარიზმის მოდელი საფუძვლად დაედო „დანარჩენი სამყაროს“ ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკურ პოლიტიკას. ამიტომ ეკონომიკური კრიზისი მეტ-ნაკლები ზომით ნებისმიერ ქვეყანაში აისახა, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ის მშპ-ის ზრდის ტემპი 2008 წლის 0,44%-დან 2009 წელს მინუს 2,44%-მდე, ხოლო მთლიანი მსოფლიო პროდუქტი – 3,02%-დან 0,60%-მდე დაეცა.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, შეიძლება ითქვას, გამოიწვია მონეტარიზმის „ინტელექტუალური კოლაფსი“ და თვით აშშ-შიც კი კითხვის ქვეშ დააყენა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. **დღის წესრიგში ეკონომიკური თეორიის მენისტრების (ძირითადი მიმართულების) შეცვლის საკითხი დადგა [9, გვ. 13-50].**

ეკონომიკურ მეცნიერებაში ამ ბოლო დროს გაბატონებულმა შეხედულებამ იმის შესახებ, რომ კეინზიანური ერა დასრულდა, გადასინჯვა მოითხოვა. კეინზის თეორიის დედაარსმა (ანუ იმან, რომ ეკონომიკური განვითარების ათვლის წერტილი ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით იწყება, რასაც ბაზრის ტევადობის გაზრდა, წარმოების გაფართოება და უმუშევრობის შემცირება მოჰყვება, ყოველივე ეს კი, წარმოქმნის მულტიპლიკაციურ ეფექტს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში აისახება) ისევ მიიპყრო მეცნიერ-მკვლევართა და რეფორმატორთა ყურადღება.

თანამედროვე გლობალურმა კრიზისმა აიძულა ცივილიზებული სამყარო კეინზიანური მოდელისკენ შემობრუნებულიყო. ამიტომ სავსებით ლოგიკურად, წინა პლანზე ისევ კეინზის თეორიის პოსტულატებმა – ეკონომიკაში სახელმწიფოს, როგორც საბაზრო სისტემაში ჩაშენებული სტაბილიზატორის, როლის გააქტიურებამ (სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდამ და გადასახადების შემცირებამ, კერძო სექტორის სუფსიდირებამ, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოებამ, საშუალო ფენის შენარჩუნების მიზნით მათი შემოსავლების გაზრდამ, სამომხმარებლო კრედიტის გააქტიურებამ, ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერებამ, საზოგადოებრივი სექტორის განმტკიცებამ და ა.შ.) წამოიწია.

მსოფლიოში ტონის მიმცემი ლიდერი ქვეყნების „საჭეთმპყრობელნი“ დარწმუნდნენ იმაში, რომ ამ მიმართულებით ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების გარეშე გართულდებოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა, რომელმაც სათავე ფრიდმენის სამშობლოში – აშშ-ში აიღო და სწორედ „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ ამ ციტადელიდან დაიწყო აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება.

ამრიგად, დღეს მსოფლიო, ახალი გლობალური კრიზისის პირობებში, „ფრიდმენის ფილოსოფიის“ შეცვლის პროცესშია.

„კეინზიანური რეველუციიდან“ მოყოლებული, არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესსა და კრიზისულ სიტუაციაში თავისი ეკონომიკური პოლიტიკისათვის საფუძვლად არ დაედო ჯონ მენარდ კეინზის ეს პუმანური თეორია. მაგრამ ეს „ფუფუნება“ მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს ერგოთ წილად, რომელთა რიცხვი მსოფლიოში არც თუ ისე დიდია.

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, ეკონომიკურ პოლიტიკას ამ ქვეყნებში სპონტანური ხასიათი აქვს. მათ როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით, ვერ გამოიყენეს მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილება, ამიტომ ვერ შეძლეს ჯანსაღ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და დღესაც „ულტრალიბერალური კაპიტალიზმის“ მარწუხებში არიან მოქცეულნი. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში იგნორირებულია მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მოთხოვნები, სუსტია სამართლებრივი ინსტიტუტები, დაბალია ცხოვრების დონე, მაღალია ჯინის კოეფიციენტი, მიზერულია საშუალო ფენა, მიუღწევადია სამართლიანობა და სოციალური თანხმობა. „გლობალური იმპერიის ქოლგის ქვეშ“ მოქცეული „მესამე სამყაროს“ ქვეყნების საგარეო ვალმა უკვე 2,5 ტრილიონ დოლარს დიდი ხანია გადააჭარბა, ხოლო ამ ვალის მომსახურების წლიურმა ღირებულებამ – 375 მლრდ დოლარს [10, გვ. 29-30].

საქართველოში, პოზიტიურთან ერთად, დიდია გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციების გავლენა. წინ ვერ აღვუდგეთ სახელმწიფოებრიობის, ეროვნული ტრადიციების დამანგრეველ გარე, ეგზოგენურ ფაქტორებს, რომელთა ნიველირების გარეშე გართულდება შიგა, ენდოგენური წინააღმდეგობების დაძლევა და ქვეყნის პროგრესი.

საქართველო ეკონომიკური ექსპერიმენტების კლასიკური ქვეყანაა. 70-წლიანი „სოციალისტური“ ექსპერიმენტი შეცვალა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ექსპერიმენტმა, რომელიც 20 წელზე მეტია გრძელდება და დასასრული არ უჩანს. **დავადეთ კი იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა? ამ გზით შევძლებთ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას?** არადა, დღეს, გლობალურ სამყაროში ასეთი სისტემის გარეშე წინსვლა და განვითარება შეუძლებელია.

საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში კლასიკური ფორმით არც ერთი ეკონომიკური თეორია არ გამოუყენებია, მითუმეტეს კეინზიანური მოდელი. საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზიც, პირველ ყოვლისა, სწორედ არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი, ისტორიულად განსაზღვრული ტრადიციები, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ფასეულობები, რაც მოცემული ქვეყნის ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკასა და, აქედან გამომდინარე, მისი განვითარების სტრატეგიაში აისახება.

საქართველოში ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო უცხოური რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილიც, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. მაკროეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში საქართველოში დაწყებულმა როგორც ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა, ისე ეკონომიკის კონვერსიის სხვა პროცესებმა აშკარა დეფორმაციული ხასიათი მიიღო. **ქვეყანა არ დაადგა იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა.** საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ერი დიდი სიხარულით შეხვდა დამოუკიდებლობის მოპოვებასა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან თავის დაღწევას. მაგრამ რა მივიღეთ? **სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმი შეცვალა სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა.** სამართლიანობის პრინციპებზე აგებული

დემოკრატიული ეკონომიკური სისტემის ნაცვლად მივიღეთ კვაზიდემოკრატიაცაზე, მონვენებით სამართლიანობაზე დაფუძნებული ულტრალიბერალური კაპიტალიზმი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დასავლურ საბაზრო ეკონომიკასთან. მართალია, საქართველოში საკუთრების მრავალფორმიანობა ჩამოყალიბდა, მაგრამ შორსა ვართ საკუთრების პლურალიზმისაგან, ვინაიდან არ არსებობს საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარი უფლება, არ არის დაცული კერძო საკუთრება, ძალზე დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობა. დაქირავებით დასაქმებულთა წილი (შრომითი მიგრანტების გათვალისწინებით) მხოლოდ 21%-ია. 1990 წელთან შედარებით, მათი რაოდენობა 3,7-ჯერ შემცირდა [11]. საქართველოში, რიგი ენდოგენური ფაქტორების გავლენით, ვერ ვითარდება უმცირესი, მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო სექტორის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 6,6% (საშუალო ევროპული მაჩვენებელი 40%-ია), საშუალო ბიზნესის წილად მოდის 9,2% (ევროკავშირში 18%-ია), სამაგიეროდ, მსხვილი ბიზნესის წილი მთელი გამოშვების 84,2%-ია და 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს [12]. თავიდან ვერ მოვიცილეთ „ხელგაწვდილობის სინდრომი“, რის გამოც ნელ-ნელა ვკარგავთ დამოუკიდებლობას. დასავლეთის საკრედიტო „ინიექციებმა“ სწრაფად გაზარდა საქართველოს საგარეო დავალიანება და უდიდესი დილემის წინაშე დააყენა ქვეყანა საგარეო ვალის მომსახურების მხრივ.

საქართველოს მოსახლეობა, 1989 წელთან შედარებით, 21%-ით შემცირდა [13]. სსშ-ის და მსოფლიო ბანკის ექსპერტული შეფასებით, 2010 წელს რეალურმა მშპ-მა 1990 წლის დონის მხოლოდ 76,8%, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში) 2011 წელს 3230 დოლარი (5447 ლარი) შეადგინა [13]. ამ მნიშვნელოვანი ინდიკატორის თითქმის 3-ჯერ ჩამორჩენა საშუალო მსოფლიო დონისგან ერთხელ კიდევ მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში საშუალო ფენის დაბალ დონეზე (იგი მხოლოდ 9%-ია). ხელოვნურადაა შემცირებული საარსებო მინიმუმი. ოთხსულიან ოჯახზე იგი თვეში 271 ლარს, ხოლო 1 შრომისუნარიან კაცზე – 132 ლარს შეადგენს. მინიმალური ხელფასი 40 ლარია, ხოლო საშუალო ხელფასი – 608 ლარი. ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში მოსახლეობის 15% ლატაკია, საარსებო მინიმუმის ზღვარს მიღმა 21%-ია, სოციალურად ღარიბები (ანუ მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის შემოსავალი ფარავს საარსებო მინიმუმს, მაგრამ არ არის საკმარისი ნორმალური აღწარმოებისათვის) 50%-ია, მდიდრები – 5%, ხოლო, მათ შორის შეძლებული – 3,5% [14].

ასეთი მწვავე სოციალური სტრატეფიკაციის გამო, საქართველო გამოირჩევა დანაზოგების ძალზე დაბალი დონით და ამ მაჩვენებლის მიხედვით საპარის სამხრეთით მდებარე განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში განიხილება [15, გვ. 62]. ამიტომ, ვინაიდან დეპოზიტების ბაზა საკმარისი არ იყო, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ბანკები საგარეო ბაზრებიდან სესხების მოზიდვას ახერხებდნენ. ამ კამპანიამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ უცხოური ინვესტიციები გახდა არა ქვეყნის შიგა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო, არამედ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. სსშ-ის მისიის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად, კომერციული ბანკები თანდათან ეროვნული ბანკის კონტროლიდან გამოვიდნენ. საგრძნობლად იკლო საკრედიტო ბაზარზე ბანკების საინვესტიციო აქტიურობამ. 2008 წლის ბოლოსათვის პრაქტიკულად არ მუშაობდა გრძელვადიანი დაზოგვის მექანიზმი, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დეპოზიტების დაზღვევის ინსტიტუტის არარსებობამ. აქედან გამომდინარე, საქართველოს საბანკო სისტემას ბზარი 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გაუჩნდა, თუმცა, გლობალურმა კრიზისმა ეს ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა.

აღნიშნულმა და სხვა უარყოფითმა შიგა პროცესებმა მწვავე პრობლემად აქცია საგარეო ვაჭრობის პერმანენტული დეფიციტი. 2011 წლის ოფიციალური მონაცემებით, სამომხმარებლო ბაზრის 70% იმპორტულ საქონელზე მოდის და ექსპორტით იმპორტის დაფარვამ მხოლოდ 23,7% შეადგინა.

„მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ 2012 წლის რეიტინგში საქართველო 144 ქვეყანას შორის 77-ე ადგილზეა, ბიზნესის განვითარების მიხედვით – 113-ზე, ინოვაციების მხრივ – 126-ზე, ხოლო უმაღლესი განათლებისა და პროფესიული გადამზადების მიხედვით – 93-ე ადგილზე [16, გვ. 45].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველო მცდარ მონეტარისტულ პოსტულატებზე დაყრდნობით, კვლავ იღუპიების ტყვეობაში აღმოჩნდა.

ამრიგად, **ეკონომიკურმა თეორიამ, რომელიც ჩაისახა მერკანტილიზმის დროს, მომწიფდა ფიზიოკრატიზმის პერიოდში, ხოლო აღმოცენდა ინგლისური კლასიკური ეკონომიკური თეორიისა და შესაბამისი მიმართულების ჩამოყალიბების საფუძველზე, განვითარების მეტად რთული და საინტერესო გზა განვლო.** მისი გამოყენების მასშტაბების ზრდამ ხელი შეუწყო და, გარკვეულწილად, დააჩქარა კიდევ ინდუსტრიული საზოგადოების გადასვლა უფრო მაღალ ისტორიულ ფაზაში – დასაბამი მისცა პოსტინდუსტრიულ ერას. ამ გარემოებამ წინა პლანზე წამოსწია საზოგადოებრივი ინტერესები და გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების პოტენციალის ზრდასა და პუმანიპაციის პროცესების გაღრმავებაზე. სახელმწიფომ „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნები შეიძინა. **დღის წესრიგში დადგა სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირება. ეკონომიკური თეორია კი, როგორც მეცნიერება საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შესახებ, ისევე ახალი ამოცანების წინაშე დადგა.** მითუმეტეს, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ელვისებურად განვითარებულმა მოვლენებმა და პროცესებმა – მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლამ, კომუნისტური რეჟიმის კრახმა, 400 მლნ მოსახლეობით 27 ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ და განვითარების ახალ გზაზე დადგომამ სრულიად ახალი პრობლემების თეორიული გააზრება-გაანალიზების აუცილებლობა დააყენა ეკონომიკური თეორიის წინაშე. ამ თვისებრივად ახალი პრობლემების გადაჭრა „იმ კლასიკური სქემების ფარგლებს სცილდება, რომლებიც ეკონომიკური მეცნიერების მიერ მთელი წინა ისტორიის განმავლობაში იქნა გამოყენებული“ [17].

XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაში სრულიად ახალი ტენდენციები და კანონზომიერებები წარმოიშვა. „კომუნისტური სოციალიზმის“ დასრულებით, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ერთიანი მსოფლიო, რასაც გლობალური პროცესების გაღრმავება მოჰყვა. გლობალიზაციამ დააჩქარა ცალკეულ ქვეყნებში, მათ შორის, ტრანზიტულ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბება, ინტერნეტული ქსელისა და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფი განვითარება, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა და, განსაკუთრებით, ფინანსური კაპიტალის არნახული ზრდა. ეკონომიკაში არამატერიალური რესურსების (საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის, სამუშაო ძალის პროფესიულ-საკვალიფიკაციო დონის, წარმოებითი და სამმართველო გამოცდილების და ა.შ.) როლის ზრდის საერთო პროცესი, მათი გადაქცევა საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ მთავარ რესურსად (რამაც განვითარებულ ქვეყნებში „სოფტიზაციის“ სახელწოდება მიიღო) გამოვლინდა ეკონომიკაში არამატერიალური რესურსების ხვედრითი წონის ზრდაში, მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (მძსსს – R&D) დანახარჯების ამაღლებაში და ა.შ. ამიტომ დღეს, როდესაც ესოდენ სწრაფად მიმდინარეობს ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ-

რი განვითარების ანალიზი, მისი პერსპექტივების განჭვრეტა და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება. ეკონომიკური თეორია აღნიშნული და სხვა ახალი პრობლემების გაანალიზებითა და გადაჭრის გზების ძიებით კვლავაც გამდიდრდება ახალი იდეებით, მიმართულებებით, იქნება საზოგადოებრივი პროგრესის დამაჩქარებელი და თანამონაწილე. ამიტომაცაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში მას განსაკუთრებული როლი აკისრია და სათანადო ადგილი უჭირავს როგორც სამეცნიერო-კვლევით სფეროში, ისე საგანმანათლებლო სისტემაში. ეკონომიკური თეორია ისწავლება მსოფლიოს უნივერსიტეტების უმრავლესობაში და აუცილებელია იგი ისწავლებოდეს საქართველოშიც. თუმცა საწინააღმდეგო ვითარებაა ჩვენს ქვეყანაში.

საწინააღმდეგო ვითარებაა საქართველოში. დღეს საქართველოს უნივერსიტეტებში მეცნიერების ეს დარგი მთლიანად ამოღებულია სასწავლო პროცესიდან. პირველ ხანებში იგი შეიცვალა ეკონომიკით, ხოლო ამჟამად (უკვე 6 წელია) ეკონომიკური თეორიაც და ეკონომიკისიც ჩაანაცვლა ამერიკელი ავტორის გრეგორი მენქიუს „ეკონომიკის პრინციპებმა.“ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. სასწავლო საგანს მეცნიერების სახელი უნდა ერქვას (ამ შემთხვევაში „ეკონომიკური თეორია“ ან „ეკონომიკის“) და არა „ეკონომიკის პრინციპები“. გ. მენქიუს „ეკონომიკის პრინციპები“ შეიძლება მხოლოდ მითითებული იყოს სილაბუსში ძირითად ან დამხმარე ლიტერატურად.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების დივერსიფიკაციამ, ინტენსივობამ და მასშტაბურობამ განაპირობა ეკონომიკური თეორიიდან ეკონომიკის, საერთაშორისო ეკონომიკისა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ცალკე დისციპლინებად გამოყოფა, რაც კანონზომიერ პროცესად მიგვანჩნია. თანამედროვე პირობებში მათი შესწავლა ვეღარ თავსდება ეკონომიკური თეორიის ფარგლებში. მაგრამ ისმის კითხვა: სასწავლო პროცესში **ეკონომიკსმა შეიძლება შეცვალოს ეკონომიკური თეორია?** ამის შესახებ მოგახსენებთ შემდეგს: მკითხველის დასარწმუნებლად იმაში, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აუცილებელია როგორც ეკონომიკური თეორიის, ისე ეკონომიკის სწავლება და რომ ეს უკანასკნელი ვერ შეცვლის ეკონომიკურ თეორიას, გადავწყვიტეთ მოვიშველიოთ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებული ჩვენი გამოკვლევა, სადაც, სათანადო არგუმენტაციით, პირველად ეკონომიკურ ლიტერატურაში, შევეცადეთ დაგვესაბუთებინა ეკონომიკურ თეორიასა და ეკონომიკის შორის, მსგავსებასთან ერთად, არსებითი განსხვავებაც [18].

ეკონომიკის ეკონომიკური თეორიის კვლევის შედარებით ახალი სფეროა, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების კვალდაკვალ.

ეკონომიკის არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ საბაზრო სისტემაში საზოგადოება თავისი უსაზღვრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით რა საზოგადოებრივი ფორმით, რა გზებით წყვეტს შეზღუდული რესურსებით რა, როგორ და ვისთვის აწარმოოს. იგი პრაქტიკით გაჯერებული, პრაქტიკაზე ორიენტირებული თეორიაა, საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზია.

ეკონომიკის რეგულირებადი, ანუ სოციალურად ორიენტირებული შერეული საბაზრო ეკონომიკის თეორიაა და მისი ფუნქციონირების მექანიზმს განიხილავს მიკრო-, მაკრო-, მეზო- და მეგაეკონომიკურ დონეებზე.

ეკონომიკის, მიუხედავად იმისა, რომ იმ კანონზომიერებებს ეყრდნობა, რომლებსაც ეკონომიკური თეორია ადგენს, ეკონომიკური თეორიისაგან განსხვავებულ ხედვას ემყარება და პარადიგმის შეცვლას გულისხმობს. ეკონომიკის ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზისას მხოლოდ საბაზრო

სისტემაში შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზების კვლევით იფარგლება. დასახული მიზნის მისაღწევად, ალტერნატიული ვარიანტებიდან ოპტიმალური არჩევანის გაკეთება მისი ლაიტმოტივია. ეკონომიკური თეორიის საგანი კი გაცილებით ფართოა. ეკონომიკური თეორია, როგორც ყველა ეკონომიკური მეცნიერების საფუძველთა საფუძველი, მეთოდოლოგიური ბაზა, არ არის მოქცეული ერთი ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში. ეკონომიკური თეორია სწავლობს ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე, ეპოქების ცვალებადობის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, გლობალურ, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს. იგი, ხატოვნად რომ ვთქვათ, საზოგადოების ანატომიას, მისი ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებსა და თავისებურებებს შეისწავლის, იკვლევს ეკონომიკურ კანონებს, სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის, ადგენს ზოგად კანონზომიერებებს, რის საფუძველზეც იძლევა საზოგადოების განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, ეკონომიკის ფუნქციონირების ობიექტურ მეცნიერულ დასაბუთებას. ეკონომიკურ თეორია ყოველივე ამას ერთ სისტემაში აქცევს. ეკონომიკის მიზანი არ არის მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებების კვლევა. იგი არ არის ერთიანი სისტემა, არამედ ამ სისტემის ნაწილია, საბაზრო ეკონომიკაში ფუნქციონალური კავშირების შემსწავლელი მეცნიერებაა, ეკონომიკური თეორია კი ეკონომიკის ორგანულ კავშირებს სწავლობს.

ეკონომიკისი კმაყოფილდება ეკონომიკური განვითარების ზედაპირული ანალიზით. იგი არ იკვლევს ეკონომიკური მოვლენების სიღრმისეულ არსს (ამიტომაცაა, რომ საკუთრებითი ურთიერთობების განხილვას გვერდს უგდის) და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის მიზეზებს, ეკონომიკური თეორია კი იკვლევს ყოველივე ამას.

ეკონომიკაში პრაგმატული მიზნებია წინა პლანზე წამოწეული, ეკონომიკურ თეორიაში კი – თეორიულ-მეთოდოლოგიური. ეკონომიკისი მეტწილად რაოდენობრივი ანალიზია, ეკონომიკური თეორია კი – თვისებრივი. ეკონომიკისი ფართოდ იყენებს ეკონომეტრიკულ ანალიზს, რასაც ვერ ვიტყვით ეკონომიკურ თეორიაზე. ეს უკანასკნელი ორიენტირებულია შემეცნებაზე, ეკონომიკური მოვლენების სიღრმისეული არსის გამოვლენაზე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაზე, მაშინ როდესაც ეკონომიკისი მთავარ მიზნად ისახავს ეკონომიკის მართვისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას. „ეკონომიკური თეორია არ არის უშუალოდ სამეურნეო პოლიტიკაში გამოსაყენებელი მზა რეკომენდაციების კრებული. ის არის ინტელექტუალური ინსტრუმენტი, აზროვნების ტექნიკა. ვინც მას ფლობს, ყველას ეხმარება სწორი დასკვნების გამოტანაში“ (ჯონ მეინარდ კეინი).

სავსებით ვეთანხმებით ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „თანამედროვე ეკონომიკისი წარმოადგენს სხვადასხვა ავტორების მიერ წამოყენებული ისეთი თეორიების ერთობლიობას, რომელთაგანაც ყოველი ცალ-ცალკე ცდილობს ასახოს ეკონომიკური სინამდვილის გარკვეული ფრაგმენტი“ [19]. ეკონომიკისი მართლაც ეკონომიკური სინამდვილის ცალკეული ფრაგმენტების და მათი შესაბამისი თეორიების ერთობლიობაა. იგი ფრაგმენტებისგან ქმნის ეკონომიკის მთლიან სურათს, ეკონომიკურმა თეორიამ კი, პირიქით, მთლიანობის ადეკვატური სურათის მეშვეობით უნდა ასახოს ეკონომიკური სინამდვილის ესა თუ ის ფრაგმენტი.

ეკონომიკისი წარმოების განვითარების საკითხებს დანახარჯებისა და შედეგების ასპექტით, სარგებლიანობის კუთხით განიხილავს. ეკონომიკური თეორია კი საზოგადოებრივი წარმოების ისტორიული განვითარების ფორმების

ანალიზს მოიცავს. ეკონომიქის, შეიძლება ითქვას, გაურბის ეკონომიკური სისტემების შედარებით ანალიზს და შეისწავლის ერთი ეკონომიკური სისტემის სამეურნეო მექანიზმს. ეკონომიკური თეორიის კვლევის ერთ-ერთი მიმართულება კი ეკონომიკური სისტემების შედარებითი ანალიზია (კომპარტივიზმი).* ამ მიმართულების შედეგია ინსტიტუციური თეორიები, კონვერგენციის, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული საზოგადოებისა და ა.შ. თეორიები.

ეკონომიკურ თეორიას არ აინტერესებს ადამიანთა კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობა მისი ზედაპირული ფორმით. მას აინტერესებს წარმოების საზოგადოებრივი მხარე, საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოების პროცესში. წარმოების საზოგადოებრივი მხარე სხვადასხვა ეპოქასა და გეოგრაფიულ გარემოში წარმოების ფაქტორთა განვითარების განსხვავებულ იმპულსებს წარმოშობს, რაც, საბოლოო ანგარიშით, სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში აისახება. ყოველივე ამას კი ეკონომიკური კანონები არეგულირებს. ამიტომ ეკონომიკური თეორიის მიზანია ადამიანთა ეკონომიკურ ურთიერთობებში გარკვევა, არსებული მოვლენის განმსაზღვრელი მიზეზების შესწავლა, ეკონომიკურ კანონთა მოქმედების მექანიზმის შეცნობა.

ეკონომიქის საკუთრებას განიხილავს როგორც ადამიანის დამოკიდებულებას ნივთისადმი, ეკონომიკური თეორია კი საკუთრებას განიხილავს როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობას, ჩამოყალიბებულს რესურსებისა და მისგან შექმნილი დოვლათის მითვისების გამო.

ეკონომიკური თეორია ხიდია წარსულსა და მომავალს შორის. იგი არკვევს ეკონომიკური მოვლენის ისტორიულ წინაპირობებს, საიდან და რა მიზეზით წარმოიშვა იგი, გვეხმარება ტენდენციების დადგენაში და გვიჩვენებს, საით და როგორ წარიმართება ეკონომიკური განვითარება. ამიტომაცაა, რომ ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიქის კვლევის საგნები ერთმანეთს კვეთს და ერთხვევა კიდევ, ოღონდ შესწავლის კუთხე სხვადასხვაგვარი აქვთ.

თუ ეკონომიკური თეორია ვიწრო გაგებით ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევაში ამა თუ იმ მიმართულების ამსახველი თეორიაა, ფართო გაგებით, ის ეკონომიქის განვითარების ზოგადი თეორიაა, მეცნიერება, რომელიც შეისწავლის როგორც ყველა ეკონომიკურ მიმართულებას, ისე მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოებისა და განაწილების კანონებსა და კანონზომიერებებს. მისი ლაიტმოტივია საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების კვალბაზე სხვადასხვა წესით შეზღუდული რესურსების გამოყენებისას ფირმების, შინამეურნეობების (საოჯახო მეურნეობების) და ხელისუფლების ქცევის ანალიზი, თანამედროვე ეკონომიკაში (როგორც მიკრო-, ისე მეზო-, მაკრო- და მეგადონეზე) ამ რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზების ძიება და ოპტიმალური არჩევნის მიგნება.

ეკონომიკური თეორია აყალიბებს ეკონომიკურ მსოფლმხედველობას. მისი ცოდნის გარეშე შეუძლებელია სხვა ეკონომიკური დისციპლინების შესწავლა, აქედან გამომდინარე, ეკონომისტთა კადრების (და არა მხოლოდ ეკონომისტთა) ხარისხიანი მომზადება. ამიტომ საქართველოს უნივერსიტეტებში აუცილებელია ადღგეს ეკონომიკური თეორიის სწავლება.

რაც შეეხება ეკონომიკური თეორიის გაიგივებას ეკონომიქსთან ან მის შეცვლას ეკონომიქსით, ეს გაუმართლებლად მიგვაჩნია. საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება ორივე – როგორც ეკონომიკური თეორია,

* ამ მიმართულებას ძირითადად საფუძველი ჩაუყარეს **დ. რეინელდმა, დ. პოლმა, პ. კნირშმა** და ა.შ. იგი ფართოდ დამკვიდრდა აშშ-ში, გერმანიაში, ავსტრიაში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში XX საუკუნის 20-30-იან წლებში.

ისე ეკონომიქსი. ეს მოწინავე გამოცდილება გასათვალისწინებელია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაშიც.

აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: ეკონომიკური თეორიის კვლევის მეთოდი ეყრდნობა ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის, მარტივად რთულისაკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ, ზოგადიდან კერძოსაკენ კვლევის მეთოდებს. მათზე დაყრდნობით კ. მარქსის მიერ „კაპიტალში“ მოცემულია XIX საუკუნის კაპიტალიზმის ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზი. XX საუკუნე დარჩა ასეთი სისტემური ანალიზის გარეშე (ეკონომიქსს არ ძალუძს ამის გაკეთება), თუმცა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. XXI საუკუნის დასაწყისის გადმოსახედიდან უნდა გაკეთდეს ასეთი ანალიზი. იგი საფუძვლად დაედება XXI საუკუნის ეკონომიკის ამსახველ თეორიულ სისტემას. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ეროვნული ეკონომიკის პრობლემებიც, მათი თეორიული განზოგადება. ეკონომიკური თეორია არ არის კოსმოპოლიტური მეცნიერება. **ეკონომიკურ თეორიაში ეროვნული მოტივის შემოტანის აუცილებლობას დღევანდელი ცხოვრებაც გვიკარნახებს. ამიტომ ეკონომიკური თეორია კი არ უნდა ამოვიძრკოთ სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პრაქტიკიდან (ეს სუსტად განვითარებული, ჩამორჩენილი ქვეყნების ხვედრია), არამედ უნდა განვაფიქროთ იგი, რომ შევძლოთ ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების ობიექტური ანალიზი, პროგნოზირება, რაც მისი სწორი მიმართულებით განვითარების საწინდარია.**

რაც შეეხება პოლიტიკურ ეკონომიას, თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში ამ ტერმინში იგულისხმება იმ პოლიტიკური ფაქტორების კვლევა, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე. **„ახალი პოლიტიკური ეკონომია“** შეისწავლის პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების, როგორც ეკონომიკის წარმატებული განვითარების საფუძვლის კანონზომიერებებს.

ის გარემოება, რომ სახელწოდება – პოლიტიკური ეკონომია სათავეს იღება XVII საუკუნიდან და განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში, რომელშიც მოცემულია კლასიკური კაპიტალიზმის ანალიზი (რაც საუკუნის შემდეგ მარქსისტებმა დოგმად აქციეს) და ეს უკანასკნელი დაკავშირებულია არამეცნიერულ იმპერიალიზმის ლენინურ თეორიასთან და მარქსის იდეოლოგიისაგან შორს მდგარ, ხელოვნურად შექმნილ არარეალური სოციალიზმის, საბჭოური სოციალიზმის „რეკომენდაციების კრებულთან“, გვაძლევს საფუძველს გავმიჯნოთ ეკონომიკური თეორია პოლიტიკური ეკონომიისაგან. თუმცა, ეკონომიკური თეორია, როგორც ეკონომიკური მეცნიერების დედაბოძი, თავად მოიცავს პილიტიკურ ეკონომიას.

როგორც დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე განვლილმა ორმა ათეულმა წელმა გვიჩვენა, დასავლელი ეკონომისტების (თუ პოლიტიკოსების) მიერ დადგენილი რეცეპტებით ეროვნული პრობლემების გადაწყვეტა არ აღმოჩნდა ეფექტიანი. არ გაამართლა იმ შეხედულების გაუცნობიერებელმა გამოყენებამ, რომ ერთ ქვეყანაში წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა, მეორეშიც ასევე წარმატებული იქნებოდა, ან კიდევ, ეკონომიკის რეფორმირების ერთი და იგივე მოდელი მისაღებია რეფორმების გამტარებელი ყველა ქვეყნისათვის.

იმისათვის, რომ შევძლოთ ჩვენი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, აუცილებელია გავერკვეთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების არსში, ავხსნათ მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, შევიმუშაოთ ახალი კონცეფციები, გავაკეთოთ თეორიული განზოგადებები, რაც უნდა აისახოს კიდევ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და

მდგრადი განვითარების პოლიტიკაში. თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ გადაწყვეტილებებს ჩვენს მაგივრად უცხოელ ექსპერტთა მცირე ჯგუფი მიიღებს და ქვეყანა კვლავაც უცხოური დოქტრინების მძევალი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Krugman P.** The Return Depression Economics and the Crisis of 2008. New-York, 2010;
2. **Кейнс Дж.М.** Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., „Прогресс“, 1978;
3. **Самуельсон Пол. Э., Нордхаус В.Д.** Экономика. Шестнадцатое издание. Перевод с английского. Москва, Санкт-Петербург, Киев, 2001;
4. **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. I ნაწილი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009;
5. **ასათიანი რ.** სახელმწიფო როგორც ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული თანხმობის გარანტი. „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“. I ტომი. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2012;
6. **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10 (**Krugman P.** How did economists get it so wrong? “New York Times”, September 2, 2009);
7. The Economist. October 11, 2008;
8. <http://ictsd.org/i/news/bridgesrussiandigest/69878/>
9. **ასათიანი რ.** მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმი. „სოციალური ეკონომიკა“, 2011, სპეციალური ნომერი (113);
10. **Перкинс Д.** Исповедь экономического убийцы. 4-е издание. Перевод с английского. М., «Претекст», 2010;
11. **არჩვაძე ი.** საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. „სოციალური ეკონომიკა“, 2010, №1;
12. Eurostat Newsrelease, #47, 2008; www.statistics.ge (~samewarneo sfero~);
13. www.statistics.ge (seqcia `mosaxleoba~);
14. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo; Human Development Report - 2010. New York, 2010;
15. **კორდონიე კ.** კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. GELPAC, ოქტომბერი, 2008;
16. საქართველო „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ რეიტინგში. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №9;
17. **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის „პოლიტიკური ეკონომია“ და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პლპ“, 2002; 17. **ასათიანი რ.** ეკონომიკური თეორია და ეკონომიქსი: ერთიანობა და განსხვავება. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005;
18. ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია და ეკონომიქსი: ერთიანობა და განსხვავება. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005;
19. **ლუიაშვილი პ.** ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე. თბილისი, „აზრი“, 2002;

20. **პაპავა ვ.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები). „შრომები“. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010;
21. **ჭითანავა ნ.** საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი, „ივერონი“, 2012;
22. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია. „შრომები“. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010;
23. **Папова Г.** Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы. Стокгольм, “Ca& CC Press”, 2009;
24. **Asatiani R.** Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus & Globalization”. Vol. 3, Issue 203, Sweden, “Ca&CC Press”, 2009.
25. **ჩიქავა ლ.** ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. მეორე შეესებულ გამოცემა. თბილისი, „მარჯი“, 2005;
26. **გოგოხია რ.** ეკონომიკური თეორიის როგორც მეცნიერების გენეზისის საკითხისათვის. „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“. I ტომი. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2012;
27. **ასათიანი რ.** ეკონომიკური წესრიგი და დამოკრატული სისტემა. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №9;
28. გველესიანი მ. რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, „კომენტარი“, 2000.
29. **Asatiani R.** Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region Economic and Political Developments”. Bradley C. Ryan Editor. New York, “Nova Science Publishers Inc”, 2011;

*როზეტა ასათიანი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ის სრული პროფესორი, თსუ-ის
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის
ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი*

**ეკონომიკური თეორიის სწავლების აღდგენის აუცილებლობა
საქართველოს უნივერსიტეტებში
რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ეკონომიკური თეორიის, როგორც ყველა ეკონომიკური მეცნიერების საწყისისა და მეთოდოლოგიური საფუძვლის, როლი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების მსოფლმხედველობის გაფართოება-დახვეწაში. ამასთან დაკავშირებით, გაანალიზებულია კლასიკურ-ლიბერალური, „კეინზიანური“ (ნეოკეინზიანური), ნეოკლასიკური თეორიები, „ნეოკლასიკური სინთეზი“ და მონეტარული თეორია, რომლებიც მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად ედო სხვადასხვა ხანგრძლივობითა და სხვადასხვა დროის მონაკვეთში.

ერთი რამ კი ცხადია: კეინზის მაკროეკონომიკურ რეგულირებაზე აგებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია „ველური კაპიტალიზმის“ თვისებრივი გარდაქმნა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკად („კეინზიანური რეგულაცია“), ხოლო მ. ფრიდმენის მონეტარულ თეორიაზე მორგებულმა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურმა პოლიტიკამ („ანტიკეინზიანური რეგულაცია“) გამოიწვია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.

ნაშრომში შესაბამისი არგუმენტაციით, ახსნილია ეს პროცესები, რამაც მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე: საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. დამოუკიდებელ საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას ეკონომიკურ პოლიტიკაში არ გამოუყენებია მსოფლიოში აპრობირებული ეს გამოცდილება. **დღეს ახალ საქართველოში, მიუხედავად ლაგის ფაქტორის მოქმედებისა, ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა, პირველ ყოვლისა, შესაძლებელია კეინზიანურ თეორიაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით.** ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მინიჭება გამოაცოცხლებს ბაზარს, მოგვცემს მაღალ მულტიპლიკაციურ ეფექტს, რაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების საფუძველია.

რაც შეეხება საუნივერსიტეტო პრაქტიკაში ეკონომიკური თეორიის სწავლებას – ეს აუცილებელზე აუცილებელია არა მხოლოდ ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე, არამედ ნებისმიერ ფაკულტეტზე, ოღონდ შემცირებული პროგრამით.

ეკონომიკური თეორიის გაიგივება ეკონომიქსთან არ შეიძლება, ვინაიდან მათი კვლევის საგანი განსხვავებულია. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უნივერსიტეტებში, როგორც წესი, ისწავლება როგორც ეკონომიქსი, ისე ეკონომიკური თეორია. მსოფლიოში აპრობირებული ეს მოწინავე გამოცდილებაც გასათვალისწინებელია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში.

Розета Асатиани

*Доктор экономических наук,
профессор ГГУ, научный-консультант
института экономики Паата Гугушвили ТГУ*

НЕОБХОДИМОСТЬ ВОССТАНОВЛЕНИЯ ИЗУЧЕНИЯ ОБЩЕЙ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ТЕОРИИ В УНИВЕРСИТЕТАХ ГРУЗИИ резюме

В статье рассмотрена общая экономическая теория как методологическая основа всех экономических наук и её роль в экономической политике страны, в социально-экономическом развитии и расширении мировоззрения общества. В этой связи, проанализированы классическая-либеральная, кейнсианская (некейнсианская), неоклассическая теории, «некейнсианский синтез» и монетарная теория, которые лежали в основе экономической политики в ведущих странах мира в определенные периоды времени.

С уверенностью можно сказать: экономическая политика, основанная на кейнсианском макроэкономическом регулировании, определила переход из «дикого капитализма» в социально-ориентированную рыночную экономику («кейнсианская революция»), а экономическая политика, основанная на монетарной теории Милтона Фридмана («антикейнсианская революция») вызвала современный мировой экономический кризис.

На основе соответствующей аргументации, в работе рассмотрены процессы, которые приводят к выводу, что одна из основных причин неудач Грузии надо искать в неправильной экономической политике. Ни одно правительство в Грузии не использо-

вало этот мировой опыт. Сегодня в Грузии, несмотря на то, что действует фактор лага, преодоление экономического кризиса возможно лишь на основе кейнсианской теории основанной на социально-ориентированной политике. Придание экономике социальной ориентированности оживит рынок, даст высокий мультипликационный эффект, что должно стать основой развития экономики.

Что касается изучения общей экономической теории в университетской практике, это необходимо не только на факультетах экономического профиля, но на всех факультетах, но в урезанном объеме.

Надо заметить, что отождествление общей экономической теории с экономиксом, наверно, так как предметы их изучения разные и именно поэтому в ведущих университетах мира изучаются обе дисциплины, что должна учесть и образовательная система Грузии.

Asatiani Rozeta

Doctor of economic sciences,

Full Professor of Georgian Technical University,

scientist-consultant of Paata Gugushvili Institute

of Economics of Tbilisi State University

THE NECESSITY OF RE-ESTABLISHMENT OF TEACHING OF GENERAL ECONOMIC THEORY IN THE UNIVERSITIES OF GEORGIA

Summary

The article considers the role of general economic theory as the source and methodological foundation of all economic sciences in economic policy of the country, in social and economic development and in expansion-refining of society outlook. In this connection classical-liberal, “Keynesian” (neo-Keynesian), neoclassical theories, “neoclassical synthesis” and monetary theory are analyzed which were the basis of economic policy of world leading capitalist countries with different longevity and in different time periods.

One is evident: economic policy built on Keynesian macro-economic regulation caused qualitative transformation of “wild capitalism” into socially oriented market economy (“Keynesian revolution”), while economic policy of developed countries adjusted to M. Friedman monetary theory (“anti-Keynesian revolution”) caused economical crisis of the contemporary world.

With the respective argumentation the article explains the processes which brought us to the following conclusion: the cause of Georgia’s lack of success should be searched for in improper economic policy. In economic policy of independent Georgia neither of governments had used the experience approved in the whole world. Today in new Georgia the escape from economic crisis is, in the first place, possible pursuing economic policy built on Keynesian theory. Imparting of social orientation to the economy will revive the market, give high multiplication effect which is the basis of economic development of Georgia.

As to teaching of general economic theory at universities – this is essentially indispensable not only at the faculties of economic profile, but generally at all faculties (short program).

Equating of general economic theory with economics is not right as the subject of their research is different. That’s why at the universities of the leading countries of the world, economics, as well as, general economic theory are taught. This advanced experience approved in the world is to be considered in educational system of Georgia, as well.

ტურიზმი

გულნაზ ერქომაიშვილი

*თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის პროფესორი*

**ველნეს (Wellness) ინდუსტრიის განვითარების პირობები და
სტრატეგია საქართველოში**

ცივილიზებულ მსოფლიოში ცხოვრების მზარდი ტემპი, ყოველდღიურ საქმიანობაში სტრესისა და დაღლილობის არსებობა, ყოველწლიურად მზარდი ეკოლოგიური დაბინძურება, საჭიროებს ადამიანის ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შენარჩუნებას. ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება მოიყვანოს თავისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა ჰარმონიაში. მას სურს გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა, შეაჩეროს დაბერება და ჰქონდეს ცხოვრების ხალისი. შესაბამისი მომსახურების კომპლექსის ერთ ადგილზე არსებობა სულ უფრო მოთხოვნილი ხდება. დღეს მსოფლიოში უამრავი ადამიანი ცდილობს ველნეს (Wellness) ინდუსტრიის პროდუქტებისა და მომსახურების გამოყენებას. ველნესის კონცეფციაა – კარგი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის შენარჩუნება სასიამოვნო მეთოდებით და არა საკუთარ თავზე ძალდატანებით.

ტერმინი – **ველნესი** (ინგლ. Wellness) პირველად გამოიყენა ამერიკელმა ექიმმა ჰელბერტ დანმა 1959 წელს. წიგნში – „უმაღლესი დონე ველნესი“, მან ჩამოაყალიბა ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი პრინციპები. მისი აზრით, ადამიანის ჯანმრთელობას განსაზღვრავს არა მარტო კარგი ფიზიკური მდგომარეობა, არამედ მისი სხეულის, სულისა და გონების ჰარმონია. დანმა ამ მდგომარეობას უწოდა Wellness, ანუ უმაღლესი დონის კმაყოფილება. [2, გვ.2]

ველნესი პოპულარული გახდა ჯერ პროფესიონალურ წრეებში, ხოლო შემდეგ, მთელ ამერიკულ საზოგადოებაში. ამას ხელი შეუწყო როგორც ჰელბერტ დანის, ასევე ჯონ ტრევისის, დონალდ არდელის, გერხარდა ჰეტლერის მრავალრიცხოვანმა პუბლიკაციებმა ველნესის შესახებ. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ველნესი არის ჯანსაღი ცხოვრების წესის თანამედროვე კონცეფცია, გაჯანსაღების კომპლექსური მეთოდების გამოყენება, რომელიც მოიცავს ოპტიმალურ ფიზიკურ დატვირთვას, სარეაბილიტაციო პროგრამებს, ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას, ფუნქციონალურ ტრეინინგს, სპა პროცედურებს, კვების ახალ პრინციპებს, დიეტოლოგიას და ა.შ. [1, გვ.5]

დღეს სიტყვა „ველნესი“ ნიშნავს შემდეგს:

- აქტიური, სრულყოფილი ცხოვრების წესს;
- სასიცოცხლო ძალების სწრაფ და ხარისხიან აღდგენას;
- კვებას ინდივიდუალური რაციონით;

• ყველა ადამიანის ფიზიოლოგიაზე მომქმედი ფაქტორის გამოყენებას: კლიმატოთერაპიას, მინერალური წყლებს, სამკურნალო ბაღახებს და აბაზანებს, ღვინოთერაპიას, ტალახით მკურნალობას, მაგნიტური ქვიშას, ზღვის აბაზანებს, მცენარეულ ფლავონოიდებს (ანტიოქსიდანტებს) და წყალმცენარეებს;

• ინდივიდუალურად შერჩეულ ფიზიკურ დატვირთვას: ცურვას, სამთოსათხილამურო სპორტს, სამკურნალო ფიზიკულტურას, მასაჟს, ცხენით სეირნობას და ა. შ.

- კანის სწორ მოვლას;

• ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიას.

ველნესი სამედიცინო ტურიზმის ნაწილია, მაგრამ იგი არ გულისხმობს სანატორიუმებსა და საავადმყოფოებში მკურნალობას, არამედ არის დაავადებების საწყისი პროფილაქტიკა. ველნეს მომსახურების მიღება ადამიანს აძლევს როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, უხანგრძლივებს ახალგაზრდობას. ველნესი შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ან მაქსიმალურად შემცირდეს „ცივილიზაციის საუკუნის“ მრავალი დაავადება: ინფარქტი, შაქრიანი დიაბეტი, წნევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და ა.შ.

ამგვარად, ველნესი არის სამედიცინო, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ღონისძიებების ურთიერთკავშირის მოქნილი სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანის არა მხოლოდ პროფილაქტიკაზე, არამედ ასევე სასიცოცხლო ძალების აღდგენასა და მკურნალობაზე. ველნეს მომსახურება უნდა განხორციელდეს ერთ კომპლექსში და მისი მიზანია ადამიანს შესთავაზოს და განუვითაროს ჯანსაღი ცხოვრების ჩვევები, რაც გულისხმობს სპა მომსახურებას, ფიზიკურ ვარჯიშებს, ველნეს განათლებას, ჯანსაღ სამზარეულოს და ა.შ.

1990 წლიდან, ცნება – „ველნესი“ პოპულარული გახდა ევროპაში, ევროპაში აიტაცა დევიზი - „გინდა იყო ჯანმრთელი? ჩადე ინვესტიცია შენს ჯანმრთელობაში“. 2000 წლიდან აღნიშნული ტერმინი შემოვიდა საქართველოში, მაგრამ ძირითადად შევიცარიიდან შემოტანილ კოსმეტიკურ საშუალებებთან ასოცირდება, ხოლო რაც შეეხება ტერმინს – „ველნეს ინდუსტრია“, იგი ჯერჯერობით ქართულ ლექსიკონებში დაფიქსირებული არ არის.

ბოლო პერიოდში ველნესი როგორც დარგი (ადამიანის არსებობის ახალი ფორმა), სწრაფად ვითარდება. რამდენადაც საზოგადოებაში ჩნდება დაბერების პროცესის შენელების მისწრაფება, შესაბამისად, საჭირო ხდება ჯანსაღი კვების ობიექტების, ფიტნესის, სპა-ცენტრების, სპორტ დარბაზების, კოსმეტოლოგიის, ველნეს სასტუმროების, მთელი რიგი სერვისის ობიექტების არსებობა. ამდენად, ველნეს ინდუსტრია მოიცავს სხვადასხვა სახეობის ნატურალური კვების პროდუქტების, კოსმეტიკის, პირადი ჰიგიენის საშუალებების, სხვადასხვა ტიპის ველნეს დანადგარების წარმოებას, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიის გამოყენებას, ველნეს სასტუმროების განვითარებას და საერთოდ მომსახურების ფართო სპექტრს.

ამგვარად, ველნეს ინდუსტრია სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა, რომელიც მრავალი სხვადასხვა სახეობის პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვების ღონის ამალგების ინსტრუმენტია.

ტერმინი – ველნეს ინდუსტრია პირველად გამოიყენა ამერიკელმა პროფესორმა, ამჟამად აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომიკურმა მრჩეველმა პოლ ზეინ პილზერმა. იგი 25 წლის ასაკში მილიონერი, ხოლო 30 წლისა – მულტი-მილიონერი გახდა. მან პირველმა იწინასწარმეტყველა პერსონალური კომპიუტერების, ხოლო შემდგომ ინტერნეტის ბუმი. პილზერი არის 10 წიგნის, მათ შორის სამი ბესტსელერის ავტორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წიგნი „ველნესის რევოლუცია – შემდგომი ტრილიონი დოლარი“, სადაც აღნიშნულია, რომ მთელ მსოფლიოში იზრდება ინტერესი ველნესის მიმართ. აქტუალური გახდა მომსახურების სრული კომპლექსის ერთ ადგილას მიღება, იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც სურთ ამ მომსახურების მიღება, რათა გაიხანგრძლივონ ახალგაზრდობა, შეინარჩუნონ გონებრივი სრულფასოვნება, ჰქონდეთ სიცოცხლის ხალისი და შეაჩერონ სიბერე. ველნესი ჯანმრთელობის ინდუსტრიაა, XXI საუკუნე ველნესის ეპოქაა. აშშ-ში 2010 წლისთვის ველნეს ინდუსტრიაში ბრუნვამ 1 ტრლნ დოლარს მიაღწია. არც ერთ სხვა ინდუსტრიას

ასეთი ტემპები არა აქვს. ჯანსაღი ცხოვრების წესის ინდუსტრია – მომავალი მრავალმილიარდიანი ინდუსტრიაა.

ყოველ ათწლეულში იზადება ახალი ეკონომიკური ტენდენცია. XX საუკუნის 70-იან წლებში ეს იყო მიკროტალღოვანი ღუმელები, 80-იან წლებში – ვიდეომანიტოფონები, 90-იან წლებში – კომპიუტერი და ინტერნეტი. ისინი, ვინც გამოიყენა 80-იანი წლების ტენდენცია, მილიონერები გახდნენ, ხოლო ისინი ვინც 90-იანი წლების ტენდენცია გამოიყენეს – მილიარდელები. პოლ ზეინ პილზერის აზრით, აშშ-ს ეკონომიკაში ყოველწლიურად მილიარდობით დოლარი ჩაიდება ჯანსაღი ცხოვრების წესის ინდუსტრიაში და ეს თანხა გამოიყენება იმ პროდუქტების შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის გაჯანსაღებას, შეაჩერებს დაბერების პროცესს და დაძლევს ავადმყოფობას. ადამიანისათვის ყველაზე ფასეულია არა ბინა და სხვა მატერიალური ღირებულებები, არამედ ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება. მისი აზრით, ინდუსტრიის სათავეში იქნება ქსელური მარკეტინგის ინდუსტრია, სწორედ ქსელური მარკეტინგი წარმოადგენს იდეალურ სოციალურ-ეკონომიკურ ინსტრუმენტს ახალი დარგის ცხოვრებაში დასამკვიდრებლად. [3, გვ. 7]

ველნეს ინდუსტრია მოიცავს მსოფლიო ეკონომიკის მრავალ სექტორს, კერძოდ ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოებას, კოსმეტოლოგიას, ახალგაზრდობის შენარჩუნების, მედიცინას, ტურიზმს და ა.შ. ამ ინდუსტრიის დინამიკურად მზარდი დარგია ვიტამინების წარმოება, დაბალანსებული კვებისათვის საჭირო პროდუქტები, საკვები დანამატები, პერსონალური მოვლის საშუალებები, პრეპარატები წონის დასაკლებად. ველნესი თანდათან დომინირებს სხვა სექტორებზე.

ველნეს ინდუსტრიის განვითარების მხრივ ფავორიტი ქვეყნებია იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი და უნგრეთი. ეს ქვეყნები ტურისტებს ველნეს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობენ. განსაკუთრებით პოპულარულია ცხელი წყაროები და საზღვაო კურორტები.

ბუნებრივია, ინტერესს იწვევს ველნეს ინდუსტრიის რომელი მიმართულება შეიძლება განვითარდეს საქართველოში, აქვს თუ არა მას ისტორიული საფუძველი.

საქართველო თავისი ბიომრავალფეროვნებით უნიკალური ქვეყანაა, 69 ათას კვადრატულ კილომეტრზე 15 ნიადაგობრივი და 25-ზე მეტი კლიმატურ-ნიადაგობრივი ზონის არსებობით პრაქტიკულად ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაიკვეხება. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ქვეყანაში 21 ათასი მცირე და საშუალო მდინარე არსებობს: ამ მცირე ზომის ქვეყანაში ტუნდრის გარდა აღირიცხება ყველა ცნობილი კლიმატი: ტროპიკული და სუბტროპიკულიდან დაწყებული და ალპური და სტეპით დამთავრებული. განსაკუთრებით გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით კავკასიონის სამხრეთი კალთები, რაც იმით აიხსნება, რომ კავკასიონის ქედი მსოფლიოში ერთერთი ყველაზე ახალგაზრდაა და შესაბამისად ორგანული და მინერალური კომპონენტებით განსაკუთრებულად მდიდარი, სწორედ ამით აიხსნება პირველ რიგში ქვეყანაში არსებული ორგანიზმების უნიკალური ბიომრავალფეროვნება და განსაკუთრებული ენდემიზმი. შედარებისათვის, თუ ალპებზე (რომელიც სიგრძით ოდნავ ნაკლებია კავკასიონზე) 350 ენდემური მცენარის არსებობაა დადგენილი, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე 1000-ზე მეტი ენდემური მცენარეა აღრიცხული. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ორგანიზმების (მწერების და ცხოველური ორგანიზმების) მიმართაც. [4, გვ. 262]

საქართველო კურორტებისა და საკურორტო ადგილების ქვეყანაა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მისი ჰავა წარმოადგენს. კლიმატის მრავალფეროვნება განპირობებულია ჩრდილოეთის მხრიდან დიდი კავკასიონ-

ნის, სამხრეთიდან მცირე კავკასიონის მაღალი ქედების არსებობით და დასავლეთიდან შავი ზღვის ფაქტორით. კლიმატური პირობები გამოირჩევა გამოხატული თერაპიული თვისებებით და მრავალი პათოლოგიის სამკურნალოდ გამოიყენება.

საქართველო მდიდარია მტნარი და მინერალური წყლებით. სასმელი წყლის რესურსებით იგი 2,5-ჯერ აღემატება მსოფლიოს, 2,4-ჯერ ევროპის და 1,7-ჯერ აზიის საშუალო მაჩვენებელს მოსახლეობის ერთ სულზე. ამასთანავე, საქართველოს წყლის რესურსების 30% უმაღლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელ წყალს წარმოადგენს. მინერალური წყლების საბადოთა რაოდენობა საქართველოში 2-ჯერ აღემატება მსოფლიოში ცნობილ საფრანგეთსა და გერმანიაში ერთად არსებულ მინერალურ წყალთა დებეტის რაოდენობას, ხოლო რაც შეეხება ზოგიერთ მინერალურ წყალს, როგორც არის „ბორჯომი“, „საირმე“, „ლუგვლა“, „უწერა“ და სხვა, ისინი თავიანთი იონური შემადგენლობით და სამკურნალო თვისებებით, მსოფლიოში უნიკალურია. „ბორჯომის“ მსგავსი მინერალური წყალი მხოლოდ საფრანგეთშია და ცნობილია „ვიშის“ სახელწოდებით. მათი შედარებისას სპეციალისტებმა უპირატესობა „ბორჯომის“ წყალს მიანიჭეს. საქართველოში ცნობილია 730-ზე მეტი დასახელების მინერალური წყალი, რომელთა ჯამური დღეღამური დებეტი 130 მლნ ლიტრს შეადგენს. მათგან 300-ზე მეტს დიდი სამრეწველო და ბალნეოლოგიური მნიშვნელობა აქვს. [7, გვ.177]

საქართველოში, აგრეთვე, ოდითგანვე მოიპოვებოდა და გამოიყენებოდა სამკურნალო ტალახები – პელოიდები, რაც ამჟამადაც წარმატებით გამოიყენება ბალნეოლოგიურ ცენტრებში.

ასევე აღსანიშნავია ქვიშით თერაპია, მაგნიტური ქვიშების გამოყენება. მსოფლიოს 2-3 ქვეყანაში არის სამკურნალო ქვიშები, მაგრამ მაგნიტის კონცენტრაციით უნიკალურია ურეკის ქვიშები, რომელიც საქართველოში დიდი ხანია სამკურნალოდ გამოიყენება.

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა მცენარეული წარმოშობის პრეპარატებისადმი, შესაბამისად, იმატა მოთხოვნამ სამკურნალო მცენარეებზე. სამკურნალო მცენარეები ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობს ფარმაკოლოგიურ კვლევებსა და ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნაში. ნატურალური პრეპარატები სამკურნალო საშუალებებით ვაჭრობის მთლიანი მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. სამკურნალო მცენარეებით ოდითგანვე მდიდარია საქართველოს ფლორა. საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყო ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის წილის შემცირებას.

საქართველოში (მეღვინეობის სამშობლო) ღვინოთერაპიის უნიკალური შესაძლებლობებია. ჯერ კიდევ 1935 წელს ქართველმა ექიმმა ილია ქონიაშვილმა თერჯოლის რაიონის სოფელ სიკთავრაში დააარსა ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის კლინიკა ღვინოთერაპიის დახმარებით. ეს შენობა დღესაც არსებობს. მისი ტრავიკული დაღუპვის გამო ეს შესანიშნავი პროექტი შეჩერდა. საქართველომ საფრანგეთზე (ამჟამად ლიდერი ღვინოთერაპიაში) ნახევარი საუკუნით ადრე განახორციელა ყურძნისა და ღვინის უნიკალური თვისებების გამოყენების კონცეფცია ჯანმრთელობის მედიცინაში. ბ-ნი ილიას შვილიშვილი მიხეილ ქონიაშვილი ამჟამად რუსეთის ველნეს ინდუსტრიის

ეროვნული ასოციაციის დირექტორი და Spa&Wellness ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი. ის არის ადამიანის ორგანიზმის გაჯანსაღების და გაახალგაზრდავების შესახებ უამრავი პუბლიკაციის, მეთოდისა და მონოგრაფიის ავტორი. ბ-ნი მიხეილის აზრით, საქართველოში ველნესის განვითარების უნიკალური პოტენციალია. სულ მოკლე ხანში Georgian Wellness-ი საქართველოს ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, საქართველოს, როგორც ქვეყნის, მსოფლიო არენაზე დადებითი იმიჯის შექმნისა და სიამაყის საგანი შეიძლება გახდეს.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, საქართველოში ცალ-ცალკე არსებობს ღვინოთერაპიის, ტალახით თერაპიის, მინერალური წყლებით თერაპიის, მაგნიტური ქვიშებით თერაპიის, სპა თუ ფიტნეს ცენტრები. ველნეს ინდუსტრიის ასამოქმედებლად საჭიროა მათი გაერთიანება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საინვესტიციო კომპანია „მედჯგუფი საქართველო“, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას მსოფლიო დონის, პრემიუმ კლასის გამაჯანსაღებელი კომპლექსის (ბიოლი) მშენებლობა და სარეკრეაციო ზონის, კოჯრის ტყე-პარკის მოწყობა და საქართველოს ველნეს ინდუსტრიის ცენტრად გადაქცევა წარმოადგენს.

კომპანიის დამფუძნებელია ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბიზნესმენი და მეცენატი თამაზ მჭედლიძე. პეტერბურგში ოცდათხუთმეტწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მის კუთვნილებაშია თერაპეტი სხვადასხვა პროფილის კლინიკა. კლინიკებში დასაქმებულია 1500 ადამიანი, მათ შორის, მაღალკვალიფიციური ექიმების 350 კაციანი გუნდი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ Anti-Aging Medicine-ზე (დაბერების საწინააღმდეგო მედიცინა). გამოცემულია უამრავი წიგნი და სახელმძღვანელო აღნიშნულ პრობლემებზე როგორც მისი, ისე კლინიკაში მომუშავე პრაქტიკოსი ექიმების ავტორობით. მიუხედავად კოლოსალური სამსახურებრივი დატვირთვისა, თამაზ მჭედლიძემ საკუთარ თავზე უნიკალური ექსპერიმენტი ჩაატარა: 2004 წლის მარტში შეუდგა წონის დაკლებას პროგრამით, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული სპეციალისტების ჯგუფთან ერთად შეიმუშავა და განსაცვიფრებელ შედეგს მიაღწია – ერთ წელიწადში 74 კგ დაიკლო. მისი აზრით, კვება არის ფუნდამენტი, პლუს სწორი ფიზიკური აქტივობა. ბევრმა ადამიანმა არასწორი დატვირთვით ხერხემალი სამუდამოდ დაიზიანა. თამაზ მჭედლიძე პირველ რიგში არის ექიმი, რომელსაც კარგად ესმის ველნეს მომსახურების უპირატესობები ადამიანის გაახალგაზრდავების და სიბერის პროცესის შეჩერების მიმართულებით.

გამაჯანსაღებელი კომპლექსი კოჯრის ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე პირველი პროექტია, რომელსაც იგი საქართველოში ახორციელებს. ამჟამად მიმდინარეობს გამაჯანსაღებელ კომპლექს „ბიოლის“ მშენებლობა, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაფანტულ მინერალურ წყლებს, სამკურნალო ბალახებსა და მცენარეებს, მაგნიტურ ქვიშებსა და სხვა გამაჯანსაღებელ კომპონენტებს გააერთიანებს ერთ სივრცეში, კოჯრის ტყეში. გამაჯანსაღებელი კომპლექსის აშენების ერთ-ერთი მთავარი პირობა ჯანსაღი ბუნებრივი გარემოა. უკვე დაიწყო გაჯანსაღებული, დაავადებული ტყის მოვლითი და სანიტარული ჭრა, ახალი ნარგავებით ტყის გამდიდრება და განაშენიანება. კოჯრის ტყე-პარკი სპეციალისტების მიერ უკვე შეფასდა „თბილისის ფილტვებად“. ეს იქნება ზონა, სადაც დასვენებას ნებისმიერი მსურველი შეძლებს და გადაადგილება შეუზღუდავად იქნება შესაძლებელი.

„ბიოლის“ ტერიტორიაზე განთავსდება სხვადასხვა გამაჯანსაღებელი ობიექტი: ველნეს კოტეჯები, სპა ცენტრი, ორანჟერეა, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები, ღვინისა და თიხის სახლები, „ბიოლის“ ტყეში გაშვებული იქნება სხვადასხვა ეგზოტიკური ცხოველი, თითოეულ ადამიანს თავისი ინდი-

ვიდუალური „ველნეს თერაპევტი“ ეყოლება და თავისი ინდივიდუალური პროცედურები ექნება. გაჯანსაღების სისტემა მოიცავს სწორ კვებას, სწორ ფიზიკურ აქტივობას, ესთეტიკურ მედიცინას, გენეტიკურ ანალიზს. აქ სისტემატური კონტროლი გაეწევა ორგანიზმის მდგომარეობას და კორექტივებს, რაც გულისხმობს სისხლის ანალიზზე დაკვირვებას, მიკროელემენტების მდგომარეობის დრმა და საფუძვლიან კონტროლს. ადამიანს საშუალება ექნება თავის თავზე გამოსცადოს უახლესი ველნეს ტექნოლოგიები, როგორცაა ღვინო თერაპია, მაგნიტური ქვიშის აბაზანები, ორთქლითა და სამკურნალო ბალახებით ჩატარებული პროცედურები. დამფუძნებლის აზრით, „ველნეს ინდუსტრია“ რომ შექმნა, მრავალი კომპანიის თანამშრომლობაა აუცილებელი. მაგალითად, დანადგარებია საჭირო. ურეკში ქვიშა მშვენიერია, მაგრამ ამ ქვიშისგან მაქსიმალური შედეგის მისაღებად, მისი გაცრა, არმატების დამატება და ტომრებში ჩაყრაა საჭირო. მერე სპილენძის ღამაში აბაზანა უნდა დაიდგას, რომელიც თბება. აბაზანაში ქვიშას ჩაყრიან, გაათბობენ, დააწვენენ ადამიანს და ზემოდანაც დააყრიან. ამ პირობებში ის განსაკუთრებით კარგად მუშაობს. ასე ურეკის ქვიშა არავის გამოუყენებია. საქართველოში მხოლოდ ახლა იწყებენ ღვინოთ თერაპიას. თერაპია ერთია, მაგრამ ღვინოში რომ სამკურნალო ბალახებიც დაემატება და სამედიცინო პროცედურები ჩატარდება, კომპლექსური შედეგი მიიღება.

კოჯრის ტყე-პარკში მოეწეობა სასეირნო, ველო და საცხენოსნო ბილიკები. გამოიყენება ცხენით მკურნალობა – იპოთერაპია, კერძოდ, ცხენის უნაგირი იქნება ამოჭრილი და ადამიანი სხეულით ეხება ცხენის ტანს, მისი ტემპერატურით და მოძრაობით ხდება არა უბრალო მასაჟი, არამედ იგი მცირე მენჯის ორგანოების

დაავადებათა პროფილაქტიკისათვის გამოიყენება. [8, გვ. 27]

კომპანიის გეგმებშია რომელიმე უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნას ველნეს-თერაპევტებისა და სპა მენეჯერების გადამზადების პროგრამები.

ეს იქნება დასაწყისი იმ დიდი მიზნისა, რასაც საქართველოში „ველნეს ინდუსტრიის“ დანერგვა მოჰყვება. შემდეგ ეტაპზე კი შეიქმნება მსოფლიო სტანდარტის ქართული ბრენდი – „ჯორჯიან ველნესი“, რომელიც ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი გახდება.

ეკონომიკური ეფექტი, რასაც მოუტანს საქართველოს ველნეს ინდუსტრიის ცენტრად ჩამოყალიბება, შემდეგია:

- გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს და მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური კაპიტალის დაბანდებას საქართველოში, რაც გამოიწვევს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას;
- გააქტიურდება ქვეყანაში შემომსვლელთა რაოდენობა;
- ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, დასაქმებულები მიიღებენ ღირსეულ ანაზღაურებას;
- პოზიტიური მიმართულებით სახეს შეუცვლის ეკოლოგიას;
- გაიზრდება მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე (მეფუტკრეობა, მეღვინეობა, მარცვლეულის წარმოება, მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, ჩაის წარმოება);
- გაიზრდება მოთხოვნა სუვენირებსა და ხალხური რეწვის პროდუქციაზე;
- საჭირო გახდება ისეთი დარგების მომსახურების გამოყენება, როგორცაა: ტრანსპორტი და კომუნიკაციის საშუალებები, დაზღვევა და საბანკო

საქმიანობა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, საინფორმაციო-სარეკლამო, ტურისტული და ტუროპერატიული და სხვა;

- განვითარდება კურორტოლოგია;
- მოიზიდავს მსოფლიოს მაღალშემოსავლიან ადამიანებს;
- ვეღნეს ინდუსტრია მოითხოვს ადამიანის მაღალ ინტელექტუალურ პოტენციალს, რაც გავლენას მოახდენს მთლიანად ერის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდაზე;
- პროპაგანდა გაეწევა ჯანმრთელობის ახალ კულტურას, რაც იქნება ინტელექტუალური დისტრიბუცია;
- გაზრდის შემოსავლებს და შემონატანებს;
- მოხდება ქვეყნის პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Donald B. Ardell. What is Wellness. www. Seekwellness.com
2. Halbert Dunn. High level Wellness. 1961, .www. Icaa.cc
3. Paul Zane Pilzer, The new Wellness Revolution, New York, 2011
4. Kvesitadze, G., Khatishashvili, G., Sadunishvili, T, Ramsden, J.J. Biochemical Mechanisms of Detoxification in Higher Plants. Basis of Phytoremediation. 262 pages. Springer, 2006.
5. Michelle Robin, Wellness on a Shoestring: Seven Habits for a Healthy Life. Kansas City, Missouri, USA, 31 May, 2010
6. Gordon Edlin, Eric Golanty, Health and Wellness. Jones & Bartlett Learning. 29 Sept. 2009
7. გ.ერქომაიშვილი, მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2004
8. ინტერვიუ „მედჯგუფი საქართველოს“ დამფუძნებელთან თამაზ მჭედლიძესთან. ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი“, №3(33), 2012.
9. www. Icaa.cc; www.seniorfitness.net
10. www.commersant.ge
11. www. Wellness.com

*ვეღნაზ ერქომაიშვილი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის პროფესორი*

ვეღნეს (Wellness) ინდუსტრიის განვითარების პირობები და სტრატეგია საქართველოში რეზიუმე

დღეს მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება ვეღნეს ინდუსტრია, ჯანსაღი ცხოვრების წესის ინდუსტრია, რომელიც მომავალი მრავალმილიარდიანი ინდუსტრიაა. ვეღნესის კონცეფცია – კარგი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის შენარჩუნება სასიამოვნო მეთოდებით და არა საკუთარ თავზე ძალდატანებით.

საქართველოში არის შესანიშნავი ბუნებრივი პირობები ამ ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების – გამაჯანსაღებელი კომპლექსის

მშენებლობისთვის, რომელსაც ახორციელებს საინვესტიციო კომპანია „მედ-ჯგუფი საქართველო“. გამაჯანსაღებელ კომპლექსში მომხმარებლები ვეღვანეს მომსახურებას მიიღებენ უახლესი ტექნოლოგიებით, აქ დასაქმდება დიდი რაოდენობით პერსონალი, გამოიყენება მომიჯნავე დარგების პროდუქცია და მომსახურება, რაც გაზრდის შემოსავლებს და პოზიტიურ გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. იგი გახდება საქართველოში ვეღვანეს ინდუსტრიის განვითარების დასაწყისი.

*Гульназ Эркомаишвили
профессор ТГУ*

**УСЛОВИЯ И СТРАТЕГИЯ РАЗВИТИЯ ВЕЛНЕС (WELLNESS)
ИНДУСТРИИ В ГРУЗИИ
Резюме**

Сегодня в мире все более популярным становится Велнес (Wellness) индустрия, индустрия здоровой образа жизни - будущая многомилиардная индустрия. Концепция Велнеса – поддержания хорошего физического и психологического состояния приятным методом, а не заставит себя.

В Грузии существует отличные природные условия развития одно из важнейших направлении этой отрасли – строительства оздоровительного комплекса, которая осуществляет инвестиционная компания „„Medgreoup Georgia„„.

Центр предоставляет потребителям Велнес услуг новейших технологии, занимается большое количество сотрудников, используется продукты и услуг смежных отрасли, что увеличит доходов и осущесиви положительный эффект на экономику.

Это будет началом развития велнесс индустрии в Грузии.

*Erkomaishvili Gulnaz
Professor of TSU*

**OPTIONS OF DEVELOPMENT AND STRATEGIES FOR WELLNESS INDUSTRY IN
GEORGIA
Summary**

Today, wellness industry, due to its highly profilactic and health-improving medical/biological direction is becoming extremely popular all over the world the world. In closest future it's going to become a multy-billion industry. Concept of Wellness is to complex of good physical and mental conditions with pleaserable methods, not pressuring yourself.

Georgia has an excellent resourses for one of the most important things in this industry - constructing recreation complex, which is provided by the investment Company “Medgroup Georgia”. Center offers it's users services with the latest technologies, here will be employeed a large number of staff. Using the products and services from local suppliers will increase profit and have positive effect on the economics. It will be the beginning of developing the Wellness industry in Georgia.

София Токмаджян

*Кандидат экономических наук, доцент
Ереванского государственного университета
архитектуры и строительства*

**НЕКОТОРЫЕ ЗАДАЧИ УПРАВЛЕНИЯ ТЕХНИЧЕСКИМИ
УНИВЕРСИТЕТАМИ В РЕСПУБЛИКЕ АРМЕНИЯ
В КОНТЕКСТЕ УЧАСТИЯ В БОЛОНСКОМ ПРОЦЕССЕ**

***Аннотация:** Рассматривается ряд задач самоуправления высшими учебными заведениями. Выявлены особенности финансовой устойчивости технических университетов в Республике Армения для выдерживания конкуренции с европейскими вузами. Анализируются механизмы удержания молодых специалистов в университетах.*

Самоуправление университетов в структуре Болонского процесса изначально рассматривалось отдельно. Основные принципы свободного управления вузами были приняты еще в 2001 г. в Саламанке (Испания). Декларацию об этом подписали представители 600 университетов и научных организаций Европейских стран [1]. В ней была подчеркнута важность проведения политики по расширению прав университетов, что должно сопутствовать обеспечению их прозрачной отчетности перед обществом. Важное место в декларации было отведено идее о совмещении в вузе учебной и научно-исследовательской деятельности. Это особенно важно для технических университетов постсоветского пространства, которые за два десятилетия после развала СССР ощутимо сдали свои позиции в этом отношении и во многом потеряли конкурентоспособность в мировой науке.

Самоуправление университетов, в первую очередь, предполагает их академическую, управленческую и финансово-хозяйственную либерализацию. Высшие учебные заведения должны иметь возможность самостоятельно принимать стратегические планы своего развития, определять критерии формирования профессорско-преподавательского корпуса и приема абитуриентов, определять приоритетные направления исследовательских работ. Они должны также иметь устойчивые источники финансирования, чтобы выдержать конкуренцию европейских вузов. В этом аспекте вопрос обеспечения финансирования для эффективного функционирования вуза можно считать проблемой на уровне национальной безопасности.

Финансовую устойчивость университетов особенно важно сохранить в условиях финансовых и экономических кризисов. По мнению профессора А.А.Кураташвили, "причины мирового экономического кризиса необходимо искать, прежде всего, в «научных» идеях апологетов капитализма, которые, видимо, так зациклились на апологетике капиталистического строя, что капитализм им представляется самой прогрессивной политической системой, тогда как нередко они даже не понимают при этом истинной сущности капитализма, ибо, находясь в плену марксистских взглядов – критерием капиталистичности им кажется наличие частной собственности и рыночных отношений, тогда как показателем капиталистичности в действительности является господство денег, господство прибыли, господство капитала над человеком – над народом – в обществе и в государстве" [2]. Выходом из создавшейся ситуации он считает принципиально новый путь - путь строительства общества и государства, служащего не экономической самоцели средств, а интересам реализации потребностей каждого человека, народа [3]. По нашему мнению, такую политику вполне можно проводить используя рычаги рыночной экономики. При этом, одним из основных

приоритетов развития должна стать система образования. В то же время, университеты постсоветского пространства не должны терять передовые традиции, которые укоренились в вузах за десятилетия деятельности в XX веке, и должны сохранять приобретенную ценностную систему путем трансформации ее в проводимую реформу высшего образования. Сегодня динамическая массивная и диверсификация высшего образования, его сиюминутно направленная прагматичная ориентированность, по мнению профессора Ю.Г.Волкова, вызывает конфликт между традиционно сложившимися принципами и ценностями университетского образования и тенденциями перевода высшей школы на путь рыночных отношений и превращения ее в сферу услуг. В этих условиях университетам придется решать: станут ли они ориентироваться на статусно-символическую модель высшего образования (для удовлетворения сиюминутных запросов производства и прикладных задач местного масштаба) или на подготовку научной, хозяйственной, политической, культурной элиты [4].

Идеологом европейского классического университета считается Вильгельм Фон Гумбольдт (1767-1835), который в 1809 г. основал Берлинский университет, а до этого в Пруссии осуществил реформу гимназического образования. Фундаментальная основа университета Гумбольдта - это академическая свобода, единство исследования, преподавания и воспитания. Эпоха восторжествования принципов университета Гумбольдта в Германии продолжалась до 1933 г., когда автономия высшей школы была ограничена в нацистском государстве и школа была преобразована в учреждения нацистского мировоззрения.

Можно выделить три главных принципа университета Гумбольдта [4, 5]:

- отрицание узкого утилитарного подхода к знаниям,
- приоритет фундаментального теоретического познания, а не примат эмпирической науки,
- гуманитарность образования, без которого не может быть образованной личности.

В дальнейшем понятие "университет" несколько трансформировалось. Для более четкого выявления проблемы современного университета важно не столько проследить изменения его главных принципов, сколько ответить на вопрос: что остается основанием университета как особой институции образования [4]. Профессор Вейланд этот вопрос ставит несколько иначе - "Мы знаем о существовании института под названием "университет", но в этом весь вопрос - является ли этот институт действительно университетом? Посетив многочисленные колледжи, библиотеки, музеи, лаборатории и тому подобные подразделения, каждый может спросить: но где же все-таки сам университет? [6]". В XXI веке это особенно относится к вузам постсоветских стран, в том числе Республики Армения, где бывшие институты без коренных изменений образовательного пространства превратились в университеты. Как пишет профессор Ю.Г.Волков, "российская система высшего образования в последние десятилетия прошла весьма непростой путь всеобщей университетизации, в виде парада смены вывесок" [4]. Эту формулировку можно употребить также для вузов Армении, где до развала Советского Союза функционировал лишь один Ереванский государственный университет. Все остальные высшие учебные заведения, основная часть которых - выходцы из ЕГУ, являлись институтами. В таком статусе функционировал также Ереванский политехнический институт им. К.Маркса, от которого, после Спитакского землетрясения, в 1989г. отделился Архитектурно-строительный институт. В статусе института он функционировал до 2002г. и только после этого был преобразован в Ереванский государственный университет архитектуры и строительства (ЕГУАС).

По мнению немецкого философа Карла Ясперса (1883-1969), задача университета заключается в поиске истины в сообществе исследователей и студентов. Университет - это не просто школа, а своеобразная школа. В ней необходимо не только преподавать:

профессора должны научить студента участвовать в исследованиях и, таким образом, достигнуть научного способа мышления, определяющего его жизнь. В соответствии с идеями университета, студенты должны отвечать за самих себя. Они должны следовать за своими учителями критически. Их учебе присуща свобода. Задача профессора - посредством науки транслировать истину. Профессор при этом также обладает свободой преподавания [7]. Потрясающая мысль! И сразу же возникает вопрос: имеют ли сегодня наши университеты для решения задач такого масштаба соответствующий профессорско-преподавательский состав? Конечно же нет! Проанализируем ситуацию на примере ЕГУАС, который является одним из наиболее авторитетных вузов Армении. Профессорско-преподавательский состав - это "стержень" высшего учебного заведения, и комплектуется он в течение долгих лет, традиции укореняются десятилетиями. Уровень вуза в первую очередь зависит от качества профессорско-преподавательского состава, а не от наличия современного оборудования в лабораториях и оснащенности аудиторий, хотя последнее также важно для обеспечения качественного образования. После развала Советского Союза, в начале 1990-х годов, в условиях блокады и энергетического кризиса, в Республике Армения особенно большой ущерб понесла система образования. На рис.1 приведена динамика поступления абитуриентов в Ереванский государственный университет архитектуры и строительства в 1990-2011 гг., а на рис.2 – динамика изменения количества студентов.




Рис.1 Динамика поступления абитуриентов в ЕГУАС в 1990-2011 гг.
 1- бакалавриат (стационарное обучение), 2 – заочное обучение,
 3 – вечерное обучение, 4 - магистратура (стационарное обучение)

В условиях невысказанно низкой заработной платы (до 2001 г. она у профессора ЕГУАС не превышала 10\$ USA) профессорско-преподавательский корпус университета практически распался. В аналогичном состоянии находились также другие университеты республики. Специалисты с высокой квалификацией переходили на высокооплачиваемые работы или эмигрировали. В университетах оставались только немногочисленные энтузиасты (фанатики своего дела) и слабо подготовленные специалисты. В вузах процветала вседозволенность и коррупция.





Рис.2 Динамика изменения количества студентов в ЕГУАС в 1990-2011 гг.
1- всего студентов, 2 – число студентов на первом курсе

Профессор Ф.Г.Альтбач проанализировал систему заработных плат и приравненных к ним пособий преподавателей вузов 28 стран и сопоставил их с заработными платами работников других отраслей [8]. В Республике Армения средняя заработная плата в системе образования в 2010г. составила 82 тыс. драмов (примерно 215\$ USA), а средняя заработная плата профессоров - 190 тыс. драмов (примерно 500\$ USA). Отметим, что в Канаде профессор в среднем в месяц получает 7 тыс. \$ USA. В работе [8] авторы предлагают мир условно разделить на две части: страны, откуда эмигрируют "мозги", и страны, которые их "собирают". И по нашему мнению, этот показатель определяет будущее страны. В некоторых государствах вузы предпринимают определенные шаги для сохранения молодых перспективных специалистов, в основном, в виде предоставления им различных бонусов. Например в Мексике, при первом браке преподавателям предоставляется денежное вознаграждение [8]. В ЕГУАС молодым преподавателям, имеющим ученое звание, в дополнение к зарплатам предоставляются месячные бонусы в размерах: для кандидата наук - 150\$ USA до достижения 35 лет и для доктора наук - 500 \$ USA до достижения 45 лет. Вместе с тем, до настоящего времени это недостаточно заманчивая акция для удержания молодых перспективных специалистов в университете.

На рис.3 приведена динамика изменения заработной платы профессорско-преподавательского состава ЕГУАС в 2003-2012 гг.. По оси ординат расположен удельный показатель (n) месячной заработной платы сотрудника (месячная заработная плата получается путем умножения n на годовую нагрузку (в часах) сотрудника).



Րիս.3 Динамика изменения заработной платы профессорско-преподавательского состава ЕГУАС в 2003-2012 гг. (1 US \$ ≈ 413 драм РА)
 1- доктор наук, профессор, 2 – кандидат наук, доцент, 3 – ассистент, 4- преподаватель

По нашему мнению, одной из главных причин непопулярности профессии преподавателя является ныне действующая правовая структура управления университетом. Основополагающие положения Болонского процесса определяют направления реформ. Однако, если организационную структуру образования и образовательного учреждения можно изменить достаточно легко, то для правовой системы и ее отдельных элементов характерен сложный и противоречивый процесс развития. Ее формирование происходит постоянно, поскольку отдельные элементы то устаревают, то меняют свой характер. Функционирование правовой системы также происходит непрерывно, что вызывается потребностями общества и государства в правовом регулировании, в связи с чем правосознание и правовая культура меняются медленнее, чем массивы правовых актов [9]. ЕГУАС, наряду с другими университетами Армении, с 2002 г. является некоммерческой государственной организацией (исключениями являются вузы, основанные по межправительственным соглашениям и негосударственные вузы). 14 июня 2012 г. решением правительства РА изменен правовой статус Армянского аграрного университета, который стал фондом), что может послужить основой для пересмотра правовых статусов других вузов. Ведь некоммерческие государственные организации не отвечают требованиям мирового сообщества, предъявляемым к университетам, создают необоснованные ограничения для функционирования вуза, не обеспечивают гарантированный рост научных кадров. Даже по опыту такой развитой страны, как Германия, где преподаватели являются госслужащими, выявлено, что преподавательская деятельность стала менее заманчивой, чем работа в промышленности или в области государственного управления. В итоге, преподаватели вузов вынуждены искать альтернативные источники прибыли. В Германии преподаватели вузов в поисках дополнительных финансовых источников преподают в коммерческих образовательных структурах или занимаются консультативной деятельностью [8]. В РА также практикуется параллельное преподавание персонала государственных университетов в

სოფია თოქმაჯიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

**სომხეთის რესპუბლიკაში ტექნიკური უნივერსიტეტების მართვის
ზოგიერთი ამოცანა ბოლონის პროცესში მონაწილეობის კონტექსტში
რეზიუმე**

Все вышеперечисленное тем более актуально в условиях вступления страны во Всемирную торговую организацию. Несмотря на имеющийся потенциал Таможенного союза, обеспечение позитивного тренда роста экономики и уровня благосостояния населения Казахстана в условиях глобализации в долгосрочной перспективе возможно лишь при активном взаимодействии с мировым рынком товаров и услуг. Таким образом Таможенный союз должен стать прочным базисом для успешности такого взаимодействия.

***Ключевые слова:** Таможенные союзы, Всемирная торговая организация, интеграционные процессы, согласованные действия, коллективное решение.*

«...Мы будем укреплять Таможенный союз и Единое экономическое пространство.»

Из Послания Президента Республики Казахстан –
Лидера Нации Н.А.Назарбаева Народу Казахстана
«Стратегия «Казахстан-2050»: Новый политический курс состоявшегося
государства»

Большая интенсивность и высокие темпы роста международной торговли и обмена товарами, услугами, капиталами и информацией являются отличительной особенностью современной мировой экономики. Особая роль в этих процессах стала принадлежать региональным экономическим организациям – экономические и таможенные союзы, зоны свободной торговли и т.п., насчитывающие во всем мире более 80 региональных объединений. Кроме того, финансовые и экономические потрясения, возникающие в последние годы в разных странах и регионах мира, а также необходимость достижения положительных результатов в преодолении кризисных явлений вынуждают все чаще обращаться к опыту совместного ведения хозяйства в условиях управляемой интеграции. Даже благополучные в экономическом отношении страны давно выбирают путь поэтапной интеграции. В конечном счете, именно межгосударственным, экономическим, торговым, валютно-финансовым объединениям западные страны в немалой степени обязаны своим стабильным и поступательным развитием. Первым этапом к объединению национальных хозяйств явилась выработка единой таможенной политики.

Мировой опыт свидетельствует, что таможенные союзы создают благоприятные условия для развития торговли, производства, способствуют укреплению не только экономических, но и политических связей государств, которые объединены общими экономическими интересами. Европейский союз, достигший высокого уровня экономической и политической интеграции, имеет в своей основе таможенный союз. Именно образование в соответствии с Парижским (1951) и Римским (1957) договорами таможенного союза ЕЭС стало стартовой площадкой процесса европейской интеграции и началом создания единой Европы. Этот процесс не был гладким и лишенным противоречий, но политическая воля, стремление к поиску компромиссов, общие экономические цели обеспечили в конце концов успех [3].

20 сентября 1995 года лидеры Казахстана, Беларуси и России в целях устранения барьеров во взаимной торговле и восстановления производственных связей подписали пакет документов о Таможенном союзе (далее - ТС). Целью ТС явилось обеспечение свободного перемещения товаров, услуг и капиталов, рабочей силы и согласованная торговля, таможенная, валютная и налоговая политика трех стран.

За период, прошедший с момента его подписания, это региональное объединение обрело широкую правовую базу, сформировалось и окрепло организационно. С уверенностью можно констатировать, что в СНГ сформировалось интеграционное ядро, о необходимости которого на протяжении многих лет говорил Президент Республики Казахстан Назарбаев Н.А. Именно по его инициативе и предложению странами-участниками Таможенного союза был разработан и в 1999 году принят Договор о Таможенном союзе и Едином экономическом пространстве, в котором заложены системы отношений в экономической, таможенно-тарифной, социальной и правовой сферах.

С 1999 года уже в рамках Таможенного союза, осуществлялись практические меры по созданию единой таможенной территории, согласованно применению единых ставок таможенных пошлин и методов формирования единой тарифной и торговой политики.

Таким образом, «формирование таможенного союза предусматривает создание единой таможенной территории, в пределах которой не применяются таможенные пошлины и ограничения экономического характера, за исключением специальных защитных, антидемпинговых и компенсационных мер. В рамках таможенного союза применяется единый таможенный тариф и другие единые меры регулирования торговли товарами с третьими странами» [4].

На базе Таможенного союза в настоящее время формируется новая международная организация с функциями, связанные с формированием внешних таможенных границ, единой внешнеэкономической политики, едиными тарифами и ценами, хоть и не единым вступлением в ВТО, но формирующим общие подходы и другими составляющими функционирования общего рынка.

Сегодня в активе имеется Таможенный союз, официально заработавший с 1 января 2010 года, сформированная общая таможенная граница трех государств-участников и единое экономическое пространство, функционирующее с 1 января 2012 года. Безусловно, все это послужит своеобразным импульсом для ускорения и повышения устойчивости развития экономики, хотя нужно помнить также о влиянии на развитие отечественных товаропроизводителей, поскольку создание единой таможенной территории усилит конкуренцию и давление на национальный рынок.

Вместе с тем, несмотря на имеющийся потенциал Таможенного союза, обеспечение позитивного тренда роста экономики и уровня благосостояния населения Казахстана в условиях глобализации в долгосрочной перспективе возможно лишь при активном взаимодействии с мировым рынком товаров и услуг. Таким образом, Таможенный союз должен стать прочным базисом для успешности такого взаимодействия.

Как известно, этим же руководствовались и достаточно развитые государства, по инициативе которых создается и в 1995 году начинает функционировать Всемирная торговая организация (ВТО). Как показывает практика, именно экономическая свобода в международной торговле способствует экономическому росту и повышению экономического благосостояния людей.

Стоит отметить, что в настоящее время решающую роль при определении правил игры на мировом рынке играет именно ВТО, объединяющая свыше 150 государств (свыше 30 стран хотят войти в организацию и имеют статус государств-наблюдателей, в том числе Казахстан с партнером по Таможенному союзу Беларусью и, до недавнего времени - Россией, уже ставшей ее членом) и покрывающей свыше 95% оборота мировой торговли

В ближайшей перспективе Казахстан должен присоединиться к ВТО. Альтернативы для нашей экономики в принципе не существует. Однако нормы и правила ВТО создают для нашей республики условия, которые требуют решения многих сопутствующих проблем.

Поэтому очень важно проведение глубокого анализа существующих проблем в целях последующей выработки системного подхода в подготовке Казахстана к членству в ВТО без ущерба для экономической и политической безопасности страны, а также с учетом мнений и интересов казахстанского бизнеса. Таким образом, основные усилия должны быть направлены на создание в стране и для страны благоприятных социально-экономических и политических условий с учетом процесса формирования и функционирования единого экономического пространства государств-членов Таможенного союза, а также минимизацию издержек и негативных факторов при вступлении во Всемирную торговую организацию, что будет способствовать усилению позиций Республики Казахстан в современном мире.

Для этого необходимо:

- Провести SWOT-анализ и обозначить основные преимущества и недостатки от вступления Казахстана в ВТО.
- Ознакомиться с существующими по этому вопросу разногласиями.
- Определить основные последствия для Казахстана в случае вступления в ВТО.

К примеру, по утверждению ряда российских экспертов, вступление России в ВТО не окажет какого-либо значимого эффекта на ее экономический ландшафт. В ходе достаточно продолжительных переговоров Россия проработала огромное количество технических деталей, касающихся изменений в таможенных пошлинах на сырье, и в значительной степени эти меры уже были осуществлены. Более того, общая программа вступления не влечет за собой структурные изменения и решения, которые значительно изменят экономическую ситуацию в России. Аналогичная ситуация может наблюдаться и в нашей стране, имеющей схожие проблемы.

Вместе с тем, с учетом снижения импортных пошлин на многие товары в результате вступления в ВТО цены на импортируемые товары должны стать дешевле. В то же самое время открытость рынка и либерализация внешней торговли в связи с членством в ВТО, будет означать немного более жесткую конкуренцию со стороны импортируемых товаров на казахстанском рынке, что пойдет на пользу потребителям, но никак не отечественным товаропроизводителям и поэтому государствам-членам Таможенного союза необходимо предпринимать совместные шаги, предполагающие принятие программы реструктуризации и диверсификации своих экономик, используя оставшиеся заделы советского научно-технического потенциала. В этом же ключе говорил Президент Республики Казахстан Нурсултан Назарбаев в своем недавнем выступлении на совместном заседании палат Парламента с Посланием народу Казахстана «Социально-экономическая модернизация – главный вектор развития Казахстана», в ходе которого были озвучены грандиозные по своим масштабам

индустриально-инновационные проекты. Их социальная значимость в рамках индустриально - инновационного развития абсолютна. Эта программа остаётся главным ориентиром модернизации экономики. Определены ряд новых проектов индустриализации и развития инфраструктуры, среди которых железнодорожные линии Жезказган-Бейнеу и Аркалык-Шубарколь, комплекс глубокой переработки нефти на Атырауском НПЗ, трубопроводная система, которая обеспечит газификацию центрального региона страны, включая столицу, создание производства комплексных минеральных удобрений в Жамбылской области необходимых для сельского хозяйства и другие [2].

Таким образом, такие экспортеры химического сектора получают дополнительные преимущества, потому что эта отрасль производит готовую продукцию, а ВТО - организация, которая регулирует экспортные тарифы только на такие товары, а не на сырье, ведь по правилам ВТО, тарифы будут понижены для экспортеров товаров.

В целом, необходимо понимать, что присоединение к ВТО подразумевает уступки для любой вступающей в организацию страны, обычно это выражается в принятии конкретных правил или ограничений, которые приводят страну в соответствие с мировыми стандартами или стандартами, подходящими для тех, кто уже в ВТО. Естественно и Казахстан пойдет на уступки по достаточно большому числу вопросов. При этом важно составить полный список всех таких пунктов и соглашений и сконцентрировать их в одном уполномоченном органе для последующего анализа и принятия соответствующих стратегических управленческих решений.

Кроме того, как показывает анализ количественных и качественных характеристик развития внешней торговли, позиции Казахстана в отношении возможных партнеров по Всемирной торговой организации являются пока уязвимыми. И не только по причине неконкурентоспособности нашей готовой продукции. В некоторых отраслях, например химической, она не уступает мировым аналогам. Ведь важно не только производить качественный товар, но и способствовать его активному продвижению на международных рынках. В этой связи, особенно актуальной видится задача по «развитию экономической и торговой дипломатии для защиты и продвижения национальных экономических и торговых интересов» [1], поставленная Президентом Республики Казахстан в Послании народу Казахстана от 14 декабря 2012 года «Стратегия «Казахстан-2050»: новый политический курс состоявшегося государства». Планируемое в этих целях, создание института торговых советников при посольствах Казахстана за рубежом позволит:

- расширить возможности для отечественных инвесторов в странах-членах ВТО, например, в банковской сфере;
- создать условия для повышения качества и конкурентоспособности отечественной продукции в результате увеличения потока иностранных товаров, услуг и инвестиций на внутренний рынок;
- более предметно участвовать в выработке правил международной торговли с учетом национальных интересов;
- повысить и улучшить имидж Казахстана в мире как полноправного и активного участника международной торговли и т.д.

Использованная литература

1. Назарбаев Н.А. Послание Президента Республики Казахстан Н.А.Назарбаева Народу Казахстана «Стратегия «Казахстан-2050»: Новый политический курс состоявшегося государства», декабрь 2012 г.
2. Назарбаев Н.А. Послание Президента Республики Казахстан Н.А.Назарбаева народу Казахстана «Социально-экономическая модернизация – главный вектор развития Казахстана», январь, 2012 г.
http://www.akorda.kz/ru/speeches/addresses_of_the_president_of_kazakhstan/poslani_e_prezidenta_respubliki_kazahstan_na_nazarbaev
3. Официальный сайт Всемирной торговой организации.
http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/wto_dg_stat_e.htm
4. Официальный сайт Комиссии Таможенного союза.
<http://www.tsouz.ru/AboutETS/Pages/default.aspx>

დოსუან კურმანოვი

დოქტორანტი,

*ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან
არსებული სახელმწიფო მართვის აკადემია*

**ყაზახეთი: მსო-ში წარმატებული ბაჭყორიანება
საბაჟო კაჭყირში წაჭრობის გზით
რეზიუმე**

საბაჟო სივრცის ფორმირება ბელორუსიის რესპუბლიკის საბაჟო კაჭყირის ფარგლებში, ყაზახეთის რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის და აგრეთვე 2012 წლის იანვრიდან ამ სახელმწიფოებისთვის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფუნქციონირება საფუძველს და იმპულსს წარმოადგენს ეკონომიკების მდგრადი განვითარების გაზრდისათვის. ამასთან, ასეთი ზემოქმედება გააღწენას მოახდენს სამამულო საქონელმწარმოებლების განვითარებაზე, რადგანაც ერთიანი საბაჟო ტერიტორიების შექმნა აუცილებლად გააძლიერებს კონკურენციასა და ზეწოლას ეროვნულ ბაზრებზე.

ზემოთქმული უფრო აქტუალურია ქვეყნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის პირობებში. მიუხედავად საბაჟო კაჭყირის არსებული პოტენციალისა, ეკონომიკის ზრდის პოზიტიური ტრენდისა და ყაზახეთის მოსახლეობის კეთილდღეობის დონის უზრუნველყოფა გლობალიზაციის პირობებში გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია მხოლოდ საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზართან აქტიური ურთიერთქმედების გზით. ამგვარად საბაჟო კაჭყირი უნდა გახდეს მყარი ბაზისი ასეთი ურთიერთკაჭყირის წარმატებისათვის.

Kurmanov Doszhan

Ph.D. student,

*Academy of Public Administration under
the President of the Republic of Kazakhstan
(Astana, Kazakhstan)*

**KAZAKHSTAN: TO THE WTO THROUGH SUCCESSFULLY MEMBERSHIP
IN THE CUSTOMS UNION**

Summary

The formation of the customs area within the Customs Union of Belarus, Kazakhstan and the Russian Federation, as well as the functioning of January 1, 2012 the single economic space of these states is the base platform and momentum to improve the sustainable economic development. However, this effect will influence the development of domestic producers, as creation of a common customs territory will certainly increase competition and pressure on domestic markets.

All of the above is even more relevant in terms of entry into the World Trade Organization. Despite the existing potential of the Customs Union, providing a positive trend of economic growth and well-being of the population of Kazakhstan in the context of globalization in the long term is possible only with the active co-operation with world market of goods and services. Thus, the Customs Union should be a solid basis for the success of such an interaction.

ალექსანდრე შარაშენიძე
ივ. ჯავახიშვილის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**ტურიზმის კონკურენტუნარიანობის შეფასებისთვის
(თბილისის მაგალითზე)**

ტურიზმს ქალაქის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. დიდია მისი მნიშვნელობა თბილისისათვის. თბილისის ტურისტული კლასტერი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ცალკეული დარგის მსგავსად მხოლოდ კერძო სექტორის პოტენციალით სრულად ვერ განვითარდება. სფერო საჭიროებს ხელისუფლების მხარდაჭერას, იქნება ეს ფინანსური რესურსები, თუ სიახლეების დანერგვა, რაც ისევ საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპს- ახალი შემოთავაზებების გაჩენის გზით პროდუქტის არჩევნის გაზრდასა და კონკურენციის ამაღლებას ემსახურება.


თბილისის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის კონკურენტუნარიანობის შესასწავლად, საჭიროა დაეწყოთ ქალაქში არარეზიდენტ ვიზიტორთა ნაკადების რიცხვის დადგენა. დღეისათვის საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია შემოსულ ტურისტთა აღწერას საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩამოსული უცხოეთის მოქალაქეთა სტატისტიკის მიხედვით ახდენს. ცალკე თბილისისათვის ამ მაჩვენებლის ოფიციალური მონაცემი არ არსებობს. თუმცა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის უშუალოდ ქ. თბილისზე გამავალი სახელმწიფო საზღვრის მონაცემები აღნიშნულის გაანგარიშების საშუალებას იძლევა (იხ. სქემა 1)¹².

სქემა №1

საქართველოს საზღვარზე ჩამოსული უცხოეთის

მოქალაქეების რაოდენობა წლების მიხედვით

მოქალაქეთა რაოდენობა



¹² შედგენილია საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე

სქემა №1 მონაცემებით ჩანს, რომ ზოგადად საქართველოში ვიზიტორთა რიცხვი იზრდება, კერძოდ, 2011 წელს 2005 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 4დჯერ არის გაზრდილი. თუმცა, რამდენია მათგან რეალური ტურისტის უცნობია. ამის საჭიროება არც იყო, ვინაიდან ქართული ტურიზმის პოლიტიკის ინტერესი გახლდათ, საქართველოში რაც შეიძლება ტურისტების რაოდენობის მაღალი რიცხვის ჩვენება, მონაცემების დიფერენციაცია კი რათქმა უნდა ტურისტების რიცხვს შეამცირებს. ამასთან, ზოგადად სახმელეთო საზღვრის გადმოძღვებულთა შორის ძირითადად ტერიტორიის ტრანზიტით მოსარგებლე პიროვნებები ჭარბობენ.

საერთაშორისო პრაქტიკაში დაშვებულია ქალაქის ტურისტების რიცხვის მხოლოდ აეროპორტის მონაცემების მიხედვით გამოთვლა. ამ მეთოდით ხდება მსოფლიოს წამყვანი ტურისტული ქალაქების რეიტინგის შედგენა.¹³ ამასთან, ავია მგზავრები ნებისმიერი სასტუმროს ბაზრისათვის მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენს, რადგან სასტუმროს მოსარგებლეთა მიზნობრივი ჯგუფი, როგორც წესი, გარკვეულ შემოსავლის დონეს უნდა აკმაყოფილებდეს. ტურისტისთვის მნიშვნელოვანია სასტუმროს დანახარჯი, აგრეთვე ტურისტის დღიური საშუალო დანახარჯის გამოთვლა, რაც თბილისის ტურისტული კონკურენტუნარიანობის ამაღლებას განსაზღვრავს, ვინაიდან ამ მაჩვენებლის შესაძლოა ზრუნვა დაეწყოთ თბილისის ტურისტული შემოთავაზების გამრავლაფეროვნებაზე. დიდი არჩევანი და მართლზომიერი ფასები ხელს შეუწყობს ქალაქში უფრო მეტი თანხების შემოდინებას.

ცხრილი 1

თბილისის სასტუმროები

	2008	2010	2012
სასტუმრო	92	126	153
ოთახი	2403	3323	3612

ქალაქ თბილისში ტურისტების რაოდენობის ცალკე სტატისტიკა არ არსებობს, ტურისტების ნაკადის ზრდაზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ დედაქალაქში სასტუმროების რიცხვისა და სასტუმროს ოთახების რიცხვის ზრდის მიხედვით (ცხრილი 1)¹⁴, თუმცა იგი არ გვაძლევს საშუალებას გავარჩიოთ, რამდენი ტურისტი სტუმრობს ყოველწლიურად დედაქალაქსა და რამდენია გარე ტურიზმის წონა, შესაბამისად შეუძლებელია გამოვითვალოთ გარე ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები. საქართველოში სასტუმროების ზრდის დინამიკაზე მიუთებს სტუმარ-მასპინძლოების სფეროში მსოფლიოში წამყვანი საკონსულტაციო ორგანიზაცია (HVS). დსთ-ს ორგანიზაციისა (რუსეთის ჩათვლით) და საქართველოს სასტუმროების ბაზრის შემსწავლელ 2012 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2006 წლიდან საქართველო წარმოდგენს ლიდერს გარე ტურისტების წლიური რიცხვის მატების მიხედვით¹⁵, ამასთან საქართველოში ტურისტების რიცხვის ზრდის პარალელურად ბოლო სამი წლის მანძილზე თბილისში ხდება სასტუმროს ნომრის ფასის ზრდა, ანუ სასტუმროების რაოდენობა, მათზე მოთხოვნას არ ამცირებს,

¹³ იხ. Master Card Global Destination Cities Index

¹⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

¹⁵ Russia, The CIS and Georgia Hotel Valuation Index 2012
Tatiana Veller, Alexey Korobkin and Margarita Lobova, Oct 11, 2012

ქალაქს აქვს კვლავ რესურსი იყოს სასტუმროების გახსნით დაინტერესებული ინვესტორთათვის მიმზიდველი. თბილისის ტურისტული პოტენციალის სათანადოდ შესწავლა და მისი განვითარების სტრატეგიის დასახვა საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ გაუთვლელი ნაბიჯები.

თბილისის ტურიზმის პოტენციალზე მსჯელობისას შესაძლოა გამოიყოს საკუთრივ თბილისის და რეგიონის შესაძლებლობები. თბილისი თავად წარმოადგენს ტურისტული დანიშნულების ადგილს და ასევე გახლავთ რეგიონის, ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული ცენტრი თავისი აეროპორტითა და ტურისტული ინფრასტრუქტურით, გარე ტურისტი ხომ რეგიონში ძირითადად თბილისის აეროპორტის გავლით ხვდება და საკუთრივ თბილისში დამის გასათვები ადგილის არჩევით შესაძლებელია მოინახულოს რეგიონის ტურისტული დანიშნულების ადგილები (სათხილამურო კურორტებისა და მთიანი ლანდშაფტების გარდა, რომლებიც ისევე და ისევე თავიანთი სპეციფიკის გამო, ტურისტების დიდხანს გაჩერებას საჭიროებს). საკუთრივ თბილისის ხიბლს ძირითადად განაპირობებს მისი კულტურული ღირებულება, მაშინ როცა რეგიონს თავისი ბუნებრივი, ეკოლოგიური და კულტურული ღირებულებების პარალელურად ეკოტურიზმის სხვადასხვა განშტოების განვითარების პოტენციალი აქვს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია მხოლოდ თბილისის პოტენციალზე და მის კულტურულ ღირებულებებზე. კულტურული ტურიზმის ერთდერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა იგი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს: პირთა გადაადგილებას მათ ძირითადი საცხოვრებელი ქვეყნების საზღვრებს გარეთ მდებარე ქალაქებში, კულტურული ღირშესანიშნაობების მოსანახულებლად, ახალი ინფორმაციის, გამოცდილებისა და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.¹⁶ ეს განმარტება გამოირიცხავს შიდა ტურიზმს და აქცენტს გარე ტურიზმზე აკეთებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მასშტაბით თბილისს კონკურენტი ქალაქი არ ჰყავს, პირიქით, სხვა ქალაქების გამოსაცოხლებლად მიმდინარეობს ცალკეული ინსტიტუტების გადატანა, ეს განმარტება ჩვენი რეალობისთვის მისაღებია.

საქართველოს ქალაქები ერთმანეთს არ უწევენ მეტოქეობას, თითოეული თავის განსაკუთრებულ ნიშას ირგებს და საერთაშორისო კონკურენციაში ებმება. კულტურული ტურიზმის მიღებული განმარტების დაკმაყოფილება თბილისს ქალაქში არსებული კულტურული/ტურისტული ობიექტები უთუოდ აძლევს. ქალაქის კულტურული ტურიზმის პროდუქტების განვითარება მრავალ შესაძლებლობას იძლევა: კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნება, კულინარია, მოდა და დიზაინი, სახასიათო არქიტექტურა, კულტურის ფესტივალები და ღონისძიებები.¹⁷ ამის პოტენციალი კი თბილისს ნამდვილად აქვს და გარკვეულწილად იყენებს კიდევ. პარალელურად ყურადღება უნდა გამახვილდეს ტურისტული მომსახურების გაუმჯობესებასა და მის ხელმისაწვდომობაზე, რაც არ გულისხმობს ერთბაშად მაღალ დანახარჯებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. მცირე დაბალბიუჯეტოანი პროექტების წარმატებით დასრულება შესაძლებლობას მოგვცემს მოკლე ხანში სიტუაციის გამოსწორებისათვის გადავდგათ ნაბიჯები და მათი განვითარების თავისებურების შესაბამისად დავსახოთ მომდევნო ეტაპები.

კონკურენტიანობის ამადლებაში ერთ-ერთი საწყისი ნაბიჯი შესაძლებელია გახდეს გიდების სფეროს მოწესრიგება. გიდები ტურიზმის შესაძლებლობის წარმოჩენაში, ისევე როგორც ყველგან, თბილისშიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს. თბილისში ტურისტული გიდის არჩევანში შესაძლებელია გააკეთდეს

¹⁶ City Tourism ans Culture, Brussels, February 2005 ETC Research Report #2005/1

¹⁷ City Tourism ans Culture, Brussels, February 2005 ETC Research Report #2005/1

ორი არჩევანი: ტრადიციული გიდი და ქ. თბილისის მერიის მიერ შემოთავაზებული მობილური გიდი.

მობილური გიდი გულისხმობს მოქალაქის მიერ გარკვეულ ნომერზე დარეკვას და სასურველი ენის (ქართული, რუსული, ინგლისური) არჩევის შემდეგ შესაძლებლობა ეძლევა მისთვის საინტერესო ღირშესანიშნაობაზე მოისმინოს ინფორმაცია. შესაძლებელია ენებისა (შესაბამის ქვეყნებიდან ტურისტების დიდი რიცხვის შემოსვლის გამო) და ღირშესანიშნეობების გაზრდა. მობილური გიდის სერვისი კონკურენციას არ უწევს ტრადიციული გიდის მომსახურებას, იგი თბილისის როგორც ინოვაციების მხარდაჭერი ქალაქის იმიჯს ზრდას უწყობს ხელს და განკუთვნილია დამოუკიდებლად მოგზაური ტურისტებისათვის, რომლებიც არ სარგებლობენ ტრადიციული გიდების მომსახურებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მობილური გიდის გაჩენა ქალაქში ხელს უწყობს პროფესიონალი გიდის ერთგვარი სტანდარტის დამკვიდრებას, ტურისტს მისი მეშვეობით შეუძლია სწრაფად გადაამოწმოს, თუ რამდენად ღირებულ ინფორმაციას აწოდებს მას პროფესიონალი გიდი.

ტრადიციული გიდი ზოგადად შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: პროფესიონალი და მოხალისე გიდები. ვინაიდან, გიდების პროფესია საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტებით არ კონტროლირდება, გერჩება ერთი გამოსავალი, კერძოდ, პროფესიონალ გიდათ მივიჩნიოთ პირი, რომელიც აკმაყოფილებენ საქართველოს გიდების ასოციაციის (მსოფლიო გიდების ასოციაციისა (WFTGA) და ევროპის გიდების ასოციაციის (FEG) წევრი) სტანდარტს. რაც შეეხება მოხალისე (კეთილი ნების) გიდს, ასეთად შესაძლებელია მიიჩნიოთ ყველა ის პირი, რომლებიც თავიანთ მომსახურებას ტურისტების მომხმარებლებს უსასყიდულოდ თავაზობენ. მოხალისე გიდები შესაძლებელია იყვნენ სტუდენტები, დიასახლისები, პენსიონრები, თავისუფალი პროფესიის ადამიანები. მათი მოტივაცია სხვადასხვაა: ჰობი, საკუთარი ქვეყნის (მხარის, ქალაქის) პოპულარიზაცია, კონტაქტების დამყარება, უცხო ენაზე პრაქტიკის მიღების სურვილი, მუდმივი კავშირის ქონა სასურველ ქვეყანასთან და ა.შ. არსებობს მოხალისე გიდები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ასრულებენ და მოხალისე გიდები, რომლებიც ამ როლს კონკრეტული ღონისძიებისთვის (სპორტული ღონისძიებები: ოლიმპიადები, საერთაშორისო ჩემპიონატები; კულტურული ღონისძიებები: კინო და თეატრალური ფესტივალები, გამოფენები; ეკონომიკური ფორუმები და სხვა) ირგებენ. მოხალისე გიდებს დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული გეოგრაფიული ადგილისთვის, თუ მას აქვს ხალხმრავალი ღონისძიებების გამართვის ამბიცი. შესაბამისად, თბილისი სასტუმროების რიცხვის ზრდისა და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობასთან ერთად უნდა ზრუნავდეს მოხალისე გიდების არსებობაზე, რაც შესაძლებელია სრულიად მარტივად გადაიჭრას თბილისის ტურიზმისა და უცხო ენების სპეციალობის მქონე უმაღლესი სასწავლებლებთან თანამშრომლობის გზით.

ისმის კითხვები როგორ ვიპოვოთ ამა თუ იმ ტიპის გიდზე ინფორმაცია? როგორ ავიყვანოთ ტრადიციული გიდი? არსებული საშუალებები ტურისტული კომპანიების, საინფორმაციო ცენტრები, საინფორმაციო ბუკლეტები, სპეციალური ვებ-გვერდი www.guides.ge (გიდების კონტაქტებზე, მათ უნარჩვევებსა და შესაძლო ტურების შესახებ ინფორმაცია) მომხმარებლებს სრულ კონფორტს ვერ უქმნის. იკვეთება გიდების ცხელი ხაზის შექმნის საჭიროება, სადაც მომხმარებელს დააკავშირებენ გიდებთან და მიაწვდიან ინფორმაციას მომსახურების ფასებზე. მსჯელობის საგანია ის, რომ აღნიშნული მომსახურება უნდა განახორციელოს რომელიმე კერძო ინსტიტუტმა, თუ უნდა მიებას უკვე არსებულ მუნიციპალურ ცხელ ხაზს. თავისუფალი ბაზრის პირობებში თავად ხდება სამეწარმეო იდეების მომგებიან წამოწყებად გარდაქმნა. გიდების ცხელი ხაზის შემთავაში სხვადასხვა

მიზეზის გამო ეს არ მოხდა, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება გარკვეულ ეტაპზე გიდების ცხელი სახის მუნიციპალურ ცხელი სახის მომსახურებაზე მიბმა, ხოლო მისი გამართვის შემდგომ შესაძლებელი იქნება მომსახურების კერძო პირთათვის გადაცემა.

ამრიგად, გიდების მომსახურების გაუმჯობესება არ გულისხმობს მხოლოდ პროფესიული გიდების კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც უშუალოდ გიდების ასოციაციის კომპეტენციაა. საჭიროა კერძო და სახელისუფლო სექტორების თანამშრომლობა, კონკურენტული ინოვაციების დანერგვა, ზოგადად გიდების ცნობადობის ამაღლება. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება, გიდების შესაბამისად, ხელს შეუწყობს ქალაქის შემოსავლების ზრდას და დაამატებით კომფორტს შეუქმნის ტურისტს.

ამდენად, ანალიზი გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ნიშნელოვან როლს ასრულებს მოწესრიგებული, რეალური, სტატისკური მონაცემები. ობიექტურ მონაცემებზე დაფუძნებული კვლევა საბოლოო ჯამში ამაღლებს თბილისის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის კონკურენტუნარიანობას. ამასთან, დიდი და მცირე ტურისტული ინოვაციური პროექტები თავის მხრივ ხელს შეუწყობენ სტატისტიკის დადებითი ნიშნით წარმოჩენასა და გაზრდის ქალაქის პოტენციალის გამრავალფეროვნებას.

ალექსანდრე შარაშენიძე

*ივ. ჯავახიშვილის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**ტურიზმის კონკურენტუნარიანობის შეფასებისთვის
(თბილისის მაგალითზე)
რეზიუმე**

გაანალიზირებულია კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები; მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია თბილისის ტურიზმის პოტენციალი, დახასიათებულია მასზე მოქმედი ფაქტორები და შემოთავაზებულია პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების გზები.

სტატიაში ტურისტული სახეების მიხედვით გაანალიზებულია შესაძლო კონკურენტული ინოვაციური პროდუქტები და შეფასებულია მათი როლი ქალაქის ტურისტული პოტენციალის გამრავალფეროვნებაში.

Александр Шарашиенидзе

Докторант

**К ОЦЕНКЕ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ ТУРИЗМА
(НА ПРИМЕРЕ ГОРОДА ТБИЛИСИ)**

Резюме

В статье проведен анализ показателей конкурентоспособности, на основе анализа соответствующих данных выявлен потенциал туризма Тбилиси, охарактеризованы воздействующие на него факторы и предложены пути эффективного использования этого потенциала.

Sharashenidze Alexander
PhD Candidate of Tbilisi State University

**CONCERNING THE ESTIMATION OF TOURISM COMPETITIVENESS
(A CASE OF TBILISI CITY)**

Summary

Competitiveness indicators are analyzed; Tbilisi Tourism Potential was revealed according the study. The factors influenced on the Potential are characterized and ways of its utilization are offered.

The potential competitive innovations are analyzed according sort of products and their role in the enrichment of the city tourism potential is estimated in the article.

**მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები
საქართველოს კვების მრეწველობაში**

მცირე ბიზნესი საბაზრო ეკონომიკური სისტემის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. მისი ძირითადი მახასიათებლებია:

- სწრაფი რეაგირება სამომხმარებლო ბაზრის ცვლილებების მიმართ;
- ადგილობრივი პირობების თავისებურებებზე ადაპტაციის დიდი უნარი;
- მოქნილობა და ოპერატიულობა;
- სწრაფად შეუძლია განახლოს თავისი ძირითადი კაპიტალი, დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, დააჩქაროს სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების დანერგვა;
- შეიმუშაოს წარმოების ორგანიზაციისა და გაძღოლის სრულიად ახალი ფორმები და მეთოდები;
- ეფექტურად გამოიყენოს ლოკალური მატერიალური და შრომითი რესურსები;
- მცირე სამეურნეო დანახარჯებით მიიღოს დიდი ეფექტი;

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მცირე ფირმების ეკონომიკური უპირატესობა მდგომარეობს მათი პროდუქციის შედარებით სიახლეში, მათ შესაძლებლობაში, შეამცირონ წარმოების დანახარჯები ვიწრო სპეციალიზაციის ხარჯზე. მათი შექმნისათვის საჭიროა შედარებით ნაკლები საწყისი კაპიტალი. მცირე ბიზნესის რენტაბელობის ზრდას ხელს უწყობს კაპიტალის შედარებით (თითქმის 2-2,5-ჯერ) მაღალი ბრუნვადობა. ამასთან მცირე ფირმები მთლიანად იყენებენ თავიანთ მოსამსახურეებსა და მოწყობილობებს, გააჩნიათ მარაგების შედარებით დაბალი დონე, არა აქვთ დაუდგმელი მოწყობილობები და გამოუყენებელი ფართობი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მაინც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მცირე ბიზნესი პანაცეად მივიჩნიოთ. მცირე ბიზნესი ძალზე მკძნობიარეა ბაზრის კონიუქტურის ცვლილებებისადმი, ზოგჯერ მასზე გამანადგურებელ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარების ციკლური ხასიათი. ამასთან, მცირე ბიზნესის წარმართვის საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრობლემაა კრედიტზე პროცენტული განაკვეთის დონე. საქმე ისაა, რომ ისინი განუწყვეტლივ განიცდიან კაპიტალის ნაკლებობას და მსხვილ კომპანიებთან შედარებით უფრო მეტად არიან დამოკიდებული მიმდინარე ბრუნვის დაკრედიტებაზე. ბანკები კი, როგორც წესი, გაურბიან მცირე ფირმების დაკრედიტებას. ბიზნესის მცირე მასშტაბები მათ არ აძლევთ საშუალებას გამოიყენონ კაპიტალის მოზიდვის სხვა წყაროები; (მაგალითად, გამოუშვან აქციები) მათ უჭირთ ისეთი ინვესტორების მოძიება, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან თავიანთი სახსრების ამ ფირმათა საქმეში დაბანდებათ. მცირე ბიზნესის პრობლემებს კიდევ უფრო ართულებს ინფლაციური პროცესების გაძლიერება. სახელდობრ, ფასების ზრდის გამო იზრდება მცირე ფირმების მოთხოვნილება ფულადი სახსრებისადმი, როგორც ხარჯების დასაფარავად, ისე რეზერვების შესავსებად. ინფლაციის დროს მათ არ შეუძლიათ თავიანთ პროდუქციაზე საბაზრო ფასებისა და დანახარჯების დონის კონტროლირება, რაც გაცილებით ხელმისაწვდომია მსხვილი ფირმებისათვის. ყოველივე ამის გამო მცირე ფირმები ხშირ შემთხვევაში ვერ უძლებენ კონკურენციას და კოტრდებიან.

აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, მცირე ბიზნესის უარყოფით მხარეებს უდავოდ ფარავს დადებითი, რამაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში კანონზომიერი გახადა გიგანტებთან მცირე ფირმების თანაარსებობა.

მცირე ბიზნესი დიდ როლს თამაშობს განვითარებული ქვეყნებში ეკონომიკური და სოციალური კუთხით. მცირე ბიზნესის განვითარების პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის დარგობრივ სპეციფიკასთან, უნდა იქნეს გათვალისწინებული სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, სოციალური და კულტურული ფაქტორები. ხშირად ეროვნული დარგობრივი სტრუქტურა განსაზღვრავს სამრეწველო სტრუქტურაში მცირე და საშუალო ფირმების ჩართვის პროცესს.

მაგალითად, იტალიაში არის სამი განსხვავებული რეგიონალური ეკონომიკური მოდელი.

პირველი შეიქმნა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომლის ცენტრებია ისეთი მსხვილი ქალაქები, როგორცაა: მილანი, ტურინი, გენუა. ეს რეგიონი ხასიათდება მსხვილი სამრეწველო საწარმოების სიუხვით, ისინი ძირითადად ხასიათდებიან სპეციალიზირებული მასობრივი წარმოებით, შესაბამისად, აქ მცირე და საშუალო საწარმოები ექვემდებარებიან მსხვილ საწარმოებს. მსხვილი და მცირე საწარმოების ურთიერთდამოკიდებულება მოიცავს მრეწველობის მომსახურების თითქმის ყველა სფეროს – ფინანსურს, ტექნოლოგიურს, დიზაინს, ინოვაციას, მომარაგებას გაყიდვებს და ა.შ.

იტალიის მეორე ეკონომიკური რეგიონია ჩრდილო აღმოსავლეთი და ცენტრალური რეგიონები. ის მოიცავს აგრეთვე ტოსკანას ოლქს, ვენეციას, ემილიას. ამ რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოები განვითარდნენ ავტონომიურად. ეს საწარმოები, რომლებიც ათასობითაა ამ ზონაში სპეციალიზირებულნი არიან იტალიისათვის ტრადიციულად აღიარებულ დარგებში. ესენია: კერამიკის წარმოება, ტანსაცმლის წარმოება, ფესხაცმლის წარმოება და ა.შ.

მესამე ეკონომიკური მოდელი შეიქმნა იტალიის სამხრეთ ნაწილში, ნეაპოლიდან სიცილიამდე, აქ ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონეა. მთავრობა ცდილობდა რეგიონის ინდუსტრიალიზაციას, ის აშენებდა სამრეწველო საწარმოებს და ცდილობდა მოეზიდა ინვესტიციები ამ რეგიონში, თუმცა ახალგაზრდების მიგრაციის მაღალმა დონემ გამოიწვია მცირე ბიზნესის განვითარების შეფერხება.

საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურება, რელიეფური და ბუნებრივი პირობები, მოსახლეობის განსახლების სისტემა, დასაქმების რეგიონული სტრუქტურა თავისთავად გულისხმობს მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ქსელის გაფართოვებას. მცირე ბიზნესი საქართველოს ეკონომიკურ სისტემაში განსაკუთრებულ როლს შეასრულებს ტრადიციული, მივიწყებული დარგების აღდგენა-ჩამოყალიბების საქმეში, წვრილი და საშუალო ზომის საწარმოთა ქსელის შექმნა ობიექტური აუცილებლობით გამოიწვევს კონკურენციული მექანიზმის სრულყოფილად მოქმედებას.

იტალიის მსგავსად საქართველოშიც შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე რეგიონალური ეკონომიკური მოდელი. დიდ ქალაქებში, სადაც ასე თუ ისე, მუშაობს მსხვილი საწარმოები, შესაძლებელია ისეთი მცირე ფირმების არსებობა, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ექნებათ მსხვილ ფირმებთან, ეგრეთ წოდებული სატელიტი ფირმები. სატელიტები, როგორც ცნობილია, დაკავშირებულნი არიან მსხვილ ფირმებთან როგორც წარმოებით, ასევე ფინანსურად. თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ მცირე ფირმების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მათი დაფინანსება და ფულადი სახსრების მოძიებაა, სატელიტობა მათთვის შეიძლება უკეთესიც იყოს. არსებობს სატელიტების ორი ჯგუფი. პირველი ჯგუფის ფირმებია

დიდებები, ხოლო მეორე ჯგუფის- სუბმიწოდებლები, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან მსხვილი საწარმოებისათვის პროდუქციის მიწოდებაზე.

ხოლო მაგალითად საქართველოს მთიან რეგიონებში, სადაც ძირითადად მეცხოველობა განვითარებული და რძისა და ხორცის წარმოების მეტი წილიც სწორედ ამ რეგიონებზე მოდის, სასურველია შეიქმნას მცირე ზომის ხორცისა და რძის მიმღები და გადამამუშავებელი ფირმები.

დღესდღეობით ძალიან ბევრს საუბრობენ საქართველოს ტურისტულ პოტენციალსა და ამ დარგის განვითარების ხელშეწყობაზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ტურიზმის განვითარებას აუცილებლად უნდა მოყვეს მრეწველობის ამოქმედება, საწყის ეტაპზე თუნდაც მცირე საწარმოების სახით, ეს უნდა იყოს როგორც მსუბუქი მრეწველობის, ისე კვების მრეწველობის დარგები.

ტურიზმს მრავალი სამრეწველო სფეროს მომსახურება სჭირდება. ჩვენთან ძირითადი პროდუქცია ამ მომსახურებისთვის უცხოეთიდან შემოდის. ბევრ ქვეყანაში, სადაც ტურისტული ინფრასტრუქტურაა, ძირითადად საკუთარი წარმოების პროდუქციას იყენებენ. მაგალითად, თურქეთში დომინირებს თურქული ნაწარმი. სასურველია შეიქმნეს სტრატეგია, რომ ტურიზმის განვითარებას სხვა დანარჩენი დარგების განვითარებაც მოჰყვეს.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში „ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისთვის აჭარის რეგიონში“ 2011 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების გამოვლენას, გამოკითხულმა ბიზნესმენებმა ორი პრიორიტეტული დარგი დაასახელეს. ეს იყო ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. რესპოდენტებმა ასევე გაამახვილეს ყურადღება კვების მრეწველობის განვითარების პერსპექტივაზე. ამ მიმართულებით მათ განაცხადეს, რომ საჭიროა შეიქმნას მცირე ზომის კვების პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს რძისა და ხილის გადამამუშავებას.

საქართველოში კვების პროდუქტების გადამამუშავებისათვის ჩამოყალიბებული იყო მსხვილი სანედლეულო ზონები, რომელთა ბაზაზეც ფუნქციონირებდნენ მსხვილი სამრეწველო საწარმოები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას მსხვილი საწარმოების მუშაობაში გაჩნდა მთელი რიგი პრობლემები: გაჭიანურებული პრივატიზების პროცესი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაპარტახება-გაქურდვა, გარანტირებული მყიდველის არარსებობა და ა.შ. ასეთ პირობებში კვების მრეწველობის მცირე ფირმები გაცილებით უკეთ შეეგუენ ახალ ბიზნეს გარემოს. ამას ხელი შეუწყო როგორც მცირე ბიზნესის თავისებურებებმა, ისე კვების მრეწველობის თავისებურებებმაც.

კვების მრეწველობის ეს სპეციფიკური თავისებურებანი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- კვების მრეწველობა ხასიათდება გამოსაშვები პროდუქციის დიდი ნაირსახეობით.
- მისი ზოგიერთი ქვედარგისათვის (შაქრის, საკონსერვო, ღვინის მრეწველობა და ა.შ.) დამახასიათებელია წარმოების სეზონურობა, რაც იწვევს საწარმოო სიმძლავრეთა არათანაბარ გამოყენებას.
- ერთი მხრივ, ზოგიერთი სახის კვების პროდუქციის წარმოების განლაგების აუცილებლობა მათი გამოყენების ადგილთან ახლოს და მეორე მხრივ, მათი სიახლოვე სანედლეულო ბაზასთან.
- კვების პროდუქტების სახეობათა უმეტესობა მალფუჭებადია.

- ზოგიერთი სახის კვების პროდუქტის შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის აუცილებელია ტარა და შეფუთვა.

- ზოგიერთი სახის პროდუქტის წარმოება მოითხოვს ნედლეულის დიდ რაოდენობას (მაგ., 1ტ შაქრის მისაღებად საჭიროა 9ტ შაქრის ჭარხალი). ეს დამოკიდებულია სასარგებლო კომპონენტების ხვედრით წილზე. ამ შემთხვევაში არსებობს იმის საშუალება, რომ ნედლეული და მისი ნარჩენები სხვა მიზნებითაც გამოვიყენოთ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურება განსაზღვრავს კვების პროდუქტების წარმოების ორგანიზაციასა და ტექნოლოგიას, კვების მრეწველობის საწარმოთა სამეურნეო ხასიათს.

ძირითადად გამოყოფენ კვების მრეწველობის საწარმოთა სამ ჯგუფს:

1. დარგი, რომელთა საწარმოები მიზანმიმართულად განთავსებულია ნედლეულის წყაროსთან ახლოს. მათ მიეკუთვნება მასალატევადი დარგები.

2. დარგი, რომელიც განთავსებულია მზა პროდუქციის მომხმარებლებთან ახლოს. მათ მიეკუთვნება საწარმოები, რომლებიც ამზადებენ მაღაფუჭებად პროდუქტებს.

3. მესამე ჯგუფს მიეკუთვნება საწარმოები, რომლებიც პირველ ეტაპზე ახორციელებენ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას მათი წარმოების წყაროსთან ახლოს, ხოლო შემდგომი ეტაპი შეგვიძლია განვითავსოთ მათი მოხმარების ადგილთან ახლოს. ასეთია მაგ: ღვინის პირველადი და მეორადი წარმოება, ჩაის დაფასოების ქარხანა და ა.შ.

საქართველოში დღევანდელი მდგომარეობით სამივე ჯგუფის კვების მრეწველობის საწარმოები გვხვდება და აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საწარმოთა ნაწილი სწორედ მცირე ზომის საწარმოებია.

GS1 საქართველო არის ერთადერთი ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც ახდენს ქართული პროდუქციისა და მომსახურების უნიკალურ იდენტიფიკაციას საერთაშორისოდ აღიარებული საიდენტიფიკაციო სისტემის მიხედვით. მასში გაერთიანებულია მინერალური წყლის მწარმოებელი 45-ზე მეტი ფირმა. აღსანიშნავია ის, რომ ამ ფირმათაგან დიდი ნაწილი სწორედ მინერალური წყლის საბადოების ახლოსაა განთავსებული, ანუ ეს საწარმოები კვების მრეწველობის საწარმოთა პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან.

„ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა და რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში“ პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ „მუნიციპალიტეტების საბაზისო კვლევის“ შედეგების გაანალიზებისას გამოიკვეთა სწორედ ის შედეგები, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოში ვხვდებით სამივე ფორმის კვების მრეწველობის საწარმოს. საწარმოთა დიდი ნაწილი რეგიონებში მცირე და საშუალო ზომისაა. მაგალითად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ვხვდებით მცირე, საშუალო და მსხვილ ღვინის საწარმოებს. ღვინის წარმოება პირველ ჯგუფს მიეკუთვნება, ანუ საწარმოებს, რომლებიც განთავსებულნი არიან ნედლეულის წყაროსთან ახლოს. საგარეჯოში გვხვდება მეორე ჯგუფის საწარმოებიც, ანუ საწარმოები, რომლებიც განთავსებულნი არიან მზა პროდუქციის მომხმარებლებთან ახლოს. აღსანიშნავია ისიც, რომ პურისა და საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელი 8 საწარმოდან 7 ინდივიდუალური საწარმოა.

იგივე კვლევის შედეგებით მარნეულის მუნიციპალიტეტში წამყვანი დარგებია: ფქვილისა და ყველის წარმოება, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების წარმოება. აქედან ყველის წარმოება შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც პირველი ჯგუფის

წარმოებას, ისე მესამე ჯგუფის წარმოებასაც. ასევეა საკონსერვო წარმოებაც. ხშირ შემთხვევაში საკონსერვო საწარმოები ნედლეულის წყაროსთან ახლოს იყო განთავსებული და ეს ტენდენცია დღემდე შენარჩუნებულია. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა პერიოდში არსებული საკონსერვო საწარმოებიდან დიდი ნაწილი დღეს ან განადგურებულია, ან მუშაობს, ოღონდ არასრული დატვირთვით. მუშაობს მხოლოდ ის საკონსერვო საწარმოები, რომელთა რეაბილიტირება მათმა ახალმა მფლობელებმა შეძლეს.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საბაზო კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ როგორც მაღალმთიან რეგიონს შეეფერება, ნინოწმინდის მთავარი მაპროფილებელი დარგია მესაქონლეობა. შესაბამისად, წამყვანი სამრეწველო დარგები მესაქონლეობას უკავშირდება. ესენია: რძის წარმოება და ხორცის წარმოება. მუნიციპალიტეტში 100-მდე მცირე და საშუალო ზომის ყველის საწარმო ფუნქციონირებს და სამი ხორცის პროდუქტების წარმოების საწარმო.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში „ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისთვის აჭარის რეგიონში“ 2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვითაც ჩანს კვების მრეწველობის საწარმოთა ფორმებისა და რეგიონალური სტრუქტურის განსხვავება. თუ ქართლისა და კახეთის მუნიციპალიტეტებში ჭარბობდა ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი დარგების საწარმოები, აჭარის რეგიონში ჭარბობს აჭარისათვის დამახასიათებელი დარგების საწარმოები. ამ რეგიონისათვის დამახასიათებელია ტრადიციული მეციტრუსოებისა და მეჩაიეობის დარგები. ამ მომენტისათვის ეს დარგები საკმაოდ განუვითარებელია. ქობულეთის მუნიციპალიტეტში სეზონურად მოქმედებს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამამუშავებელი საამქროები, თუმცა ისინი მცირე წარმადობისა და ტექნიკურად აღჭურვილობის დაბალი დონით გამოირჩევიან. არ მოქმედებს არც ერთი საწარმო, რომელიც აწარმოებს ნაყოფის თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავებას (პარაფინირება, შეფუთვა და ა.შ.). ეს იწვევს ციტრუსოვანთა ნაყოფის ხარისხის შენარჩუნების ვადების შემცირებას. არ არის სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები.

გამოკითხულ ბიზნესმენთა მიერ ყველაზე აქტუალურ საკითხად დასახელდა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება. მნიშვნელოვანი აქცენტი იქნა გაკეთებული ჩაის ძველი პლანტაციებისა და საწარმოების აღდგენაზე, კივის, ფეიხოსა და ხურმის წარმოების დანერგვაზე. ბიზნესის შემაფერხებელ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი არსებითი მოსახლეობის შემოსავლების სიმცირე, ფინანსური რესურსების სიმწირე, მასთან წედომის დეფიციტი და რეალიზაციის ბაზრების არარსებობაა- აღნიშნეს ადგილობრივმა ბიზნესმენებმა.

აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში წამყვანი დარგი მეცხოველეობაა, გამოკითხულმა მოსახლეობამ აღნიშნა, რომ რძისა და ხორცის მიმღები და გადამამუშავებელი მცირე საწარმოების არსებობა მნიშვნელოვნად გაზრდიდა სტიმულებს მეცხოველეობის კიდევ უფრო განვითარებისა.

სტატისტიკის დეპარტამენტის 2011 წლის მონაცემებით სამრეწველო საწარმოთა მიერ გამოშვებული იყო სულ 6428,3 მლ ლარის პროდუქცია. აქედან მსხვილმა საწარმოებმა გამოშვეს 5602,5 მლ ლარის საშუალომ 477,3 მლ ლარის, ხოლო მცირემ 348,2 მლ ლარის. ანუ პროდუქციის წარმოებაში მცირე საწარმოთა წილი სულ რაღაც 6,9%-ია.

6428,3 მლ ლარიდან კვების მრეწველობაზე მოდიოდა სასმელებისა და თამბაქოს ჩათვლით 2162,1 მლ ლარი. ანუ მთლიან სამრეწველო საწარმოთა წარმოებული პროდუქციის 33,6 %. აქედან მცირე საწარმოებზე მხოლოდ 116,4 მლ ლარი მოდიოდა, ანუ სულ რაღაც 5,4%.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე საწარმოები გვხვდება საქართველოს ყველა რეგიონში, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ნამდვილად არაა ისეთი ოდენობის, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია. თუმცა პოტენციური ნამდვილად გვაქვს იმისა, რომ მცირე საწარმოებმა სათანადო ადგილი დაიმკვიდროს ქვეყნის ეკონომიკაში.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნა და ფასიც მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება. საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო სამეურნეო და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობაც გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022 წლები. მომზადებულია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ მიერ.
2. მუნიციპალიტეტების საბაზისო კვლევები – ევროკავშირის დაფინანსებით განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსმა“ და კავკასიის გარემოსდაცვითმა არასამთავრობო ორგანიზაციამათა ქსელმა (CENN)
3. EXRUS.eu-სსოციალურ-ეკონომიკური პორტალი. Статя в журнале №76 „малый бизнес по-итальянски“
4. www.geostat.ge
5. <http://www.gslge.org/>
6. www.businesspress.ru

მაია სანიკიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოს კვების მრეწველობაში რეზიუმე

მცირე ბიზნესი საბაზრო ეკონომიკური სისტემის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. საქართველოს დარგობრივი სტრუქტურის თავისებურება, რელიეფური და ბუნებრივი პირობები, მოსახლეობის განსხვავების სისტემა თავისავად გულისხმობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აუცილებლობას.

საქართველოს მუნიციპალიტეტების საბაზისო კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ რეგიონებში დღეისათვის არსებული საწარმოებიდან უმეტესობა სწორედ მცირე ან საშუალო ზომისაა. მათ შორის კი უმეტესობა კვების მრეწველობის საწარმოა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველა რეგიონში გვხვდება მცირე ზომის კვების მრეწველობის საწარმო, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის წილი საკმაოდ დაბალია წარმოებული პროდუქციის მთლიან მოცულობაში და ის მხოლოდ 5,4%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობაც გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც.

Maia Sanikidze
Doctorant

**ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ МАЛОГО БИЗНЕСА
В ПИЩЕВОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ**

Резюме

Малый бизнес является важной и неотъемлемой частью рыночной экономической системы. Особенности отраслевой структуры Грузии, местность и природные условия, система расселения населения само по себе подразумевает необходимость развития малого и среднего бизнеса.

Анализ исследований муниципалитетов Грузии показал, что предприятия, которые на сегодняшний день существуют в регионах по размеру малые или средние. Большая часть из них предприятия пищевой промышленности. Хотя во всех регионах Грузии встречаются малые предприятия пищевой промышленности, их доля в общем объеме производимой продукции низкая и составляет лишь 5,4%.

Следует отметить, что Грузия имеет хорошие возможности для производства экологически чистой и конкурентноспособной сельскохозяйственной продукции, а также, связанные с этим перспективы достижения прочных позиций на мировом рынке.

Sanikidze Maia
Doctoral Student

**THE PERSPECTIVES OF DEVELOPMENT OF SMALL BUSINESS
IN FOOD INDUSTRY OF GEORGIA**

Summary

SMEs are substantial and integral part of a market economic system. Several factors such as peculiarity of the sectoral structure of Georgia, terrain, climate conditions and population density, generates the need for the development of small and medium-sized businesses.

According to baseline surveys by Municipalities of Georgia, data showed that the majority of the existing enterprises belong to small or medium business. Among them, majority of firms are engaged in the food industry. In spite of the fact that small-sized industrial enterprises are found in every region of Georgia, the share of their production level is relatively low in total output (5.4%).

It should be noted, that there is a good opportunity for Georgia to produce environmentally safe and competitive goods in rural sector and a long-term perspective to actively participate on the world market.

თათია უდესიანი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ადმინისტრირების მე-4 კურსის სტუდენტი*

კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში

ჩვენს ქვეყანაში უამრავი პრობლემა არსებობს, რომელთა აღმოფხვრა დადებითად აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე. დღესდღეობით, არსებულ პრობლემათა შორის, უმნიშვნელოვანესი ადგილი კონკურენციასა და კონკურენტულ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს უკავია. თავისუფალი კონკურენციის არსებობა ბაზრის წარმატებით ფუნქციონირების წინაპირობაა, ამიტომ ქვეყანაში მისი არსებობა, რომელიც ფირმებს შორის მეტოქეობით გამოიხატება, დარგის ეფექტურ განვითარებას განსაზღვრავს, რაც საბოლოო ჯამში, მომხმარებელთა მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებასა და მათი კეთილდღეობის ზრდას გულისხმობს.

მეცნიერთა აზრით, თავისუფალი კონკურენციის მიღწევა სრულყოფილი ფორმით შეუძლებელია. თუმცა, აუცილებელია ბაზრის მდგომარეობის მაქსიმალურად მისადაგება სასურველ, თავისუფალი კონკურენციის მდგომარეობასთან.

საკმაოდ საინტერესოა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შეფასება აღნიშნულ კონტექსტში, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც იგი დასავლური ორიენტაციის სახელმწიფოდ მოიაზრება.

თავდაპირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ჩვენი ქვეყნის მთავრობამ კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით 1992 წლის 16 ოქტომბერს გამოსცა დეკრეტი „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“. ამის შემდეგ, 1996 წლის 25 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და შეიქმნა ანტიმონოპოლიური სამსახური. უფრო მოგვიანებით, „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოში მანამდე მოქმედი ყველა საკონკურენციო კანონი, 2004 წელს უარი განაცხადა შექმნილ ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ განხორციელებულ რეგულირებაზე და ფასების სახელმწიფო ინსპექციასთან ერთად გააუქმა იგი. 2005 წლის 3 ივნისს მიიღო კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. ანტიმონოპოლიური სამსახურის მაგივრად კი შეიქმნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო“, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს დაექვემდებარა. თუ რამდენად ეფექტურად მუშაობდა აღნიშნული ორგანო, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2005 წლიდან 2011 წლამდე თავისუფალი კონკურენციისა და ვაჭრობის სააგენტოს მონოპოლიის არც ერთი ფაქტი არ გამოუვლენია. ამასთანავე არ არსებობს ბაზრის ანალიზი, რომელიც კონკურენტულ გარემოს შეისწავლის. მაშინ, როცა სააგენტოს პირდაპირი უფლება-მოვალეობაა ჩაატაროს კვლევა, თვითონ ან კერძო ექსპერტების მეშვეობით და ანალიზის საფუძველზე დადოს დასკვნები.

მთავრობამ ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნას დიდი დრო მოანდომა. საქართველოს პარლამენტში 2011 წლის ოქტომბერში შესული კანონპროექტი, საბოლოოდ, 2012 წელს მესამე მოსმენით იქნა მიღებული, რომლის საფუძველზე იგი, „სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის“ სააგენტოს ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო“ მიღებულ პროექტს „ანტიკონსტიტუციურს“ უწოდებს. მათი განმარტებით, კანონპროექტის 23-ე მუხლი კონსტიტუციის 94-ე მუხლს ეწინააღმდეგება, რადგან კანონი ითვალისწინებს სააგენტოში საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, მომხივანისთვის სააგენტოს

მომსახურების საფასურის გადახდას, რომლის ოდენობაც მთავრობამ უნდა განსაზღვროს. კონსტიტუციაში კი მითითებულია, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოდების წესს და სტრუქტურას ადგენს კანონი.

დავის საგანს წარმოადგენს, აგრეთვე კანონპროექტის მე-8 მუხლი, რომელიც „განსაზღვრავს ხელშეკრულებებს, რომლებიც უმნიშვნელოდ ზღუდავენ კონკურენციას და რომლებსაც არ არეგულირებს კანონი. კანონპროექტის თანახმად, ასეთ ხელშეკრულებად მიიჩნევა ჰორიზონტალური ხელშეკრულება, რომლითაც მხარეების ერთობლივი საბაზრო წილი ბაზარზე არ აღემატება 25%-ს, ხოლო ვერტიკალური შეთანხმების დროს თითოეული მხარის საბაზრო წილი არ უნდა აღემატებოდეს 40%-ს. იმ შემთხვევაში კი, როცა რთულია განსაზღვრა – ჰორიზონტალურია თუ ვერტიკალური შეთანხმება, საბაზრო წილი არ უნდა აღემატებოდეს 40%-ს“. ეს მაჩვენებლები ეწინააღმდეგება ევროკავშირის საკანონმდებლო პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, ჰორიზონტალური ხელშეკრულების დროს კომპანიების საერთო წილი არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, ხოლო ვერტიკალურის დროს 15%-ს. კლასიფიცირების სირთულის დროს კი კომპანიების საერთო წილი მთლიან საბაზრო წილში, არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს.

ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ კანონში, რომელიც უკვე მიღებულია, არ არსებობს კანონქვემდებარე აქტები, რომელიც ერთიანი სისტემის მოქმედებას განსაზღვრავს. არ არის ცნობილი ბიზნესის ის სფეროები, რომლებზეც ანტიმონოპოლიური კანონი ვრცელდება ან არ ვრცელდება. მათი რეგულირება, როგორც წესი, კანონქვემდებარე აქტებით ხდება, რომელიც აღნიშნულ კანონში არ არსებობს. თუმცა, ცნობილია ის ფაქტი, რომ ანტიმონოპოლიური კანონი არ ეხება პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდებს, რაც 100 მლ. ლარზე მეტია და შესაბამისად მთავრობას ამით შესაძლებლობა ექნება რეგულირების მიღმა დატოვოს აშკარა ოლიგოპოლიური მდგომარეობის მქონე სფეროები. ასევე, კანონი არ ეხება ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების სფეროებს, რადგან მათი რეგულირება ხდება სხვა ორგანოების კანონმდებლობით.

კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, არ ვრცელდება ისეთ საქმიანობებზე, როგორცაა: ანტიკონკურენციული შეთანხმებები, მონოპოლიური საქმიანობა, საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაცია. მისი საშუალებით არ რეგულირდება ასევე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ბიზნესის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები. შეუსაბამოა ჯარიმების საკითხიც, რომელიც ძალიან მცირეა. მაგალითად, თუკი კომპანია სააგენტოს არ მიაწვდის ინფორმაციას, იგი დაჯარიმდება 1000-დან 3000 ლარამდე, მაშინ, როცა შესაძლოა ამ ქმედებით მან მილიონი ლარის მოგება ნახოს. ასეთი შეზღუდვებისა და არასრულყოფილი კანონის პირობებში, ჩვენი ქვეყნის ანტიმონოპოლიური ორგანო, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად უმოქმედოა.

ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის კიდევ ერთ შემაფერხებელ ფაქტორს მისი ბიუჯეტი წარმოადგენს. 2012 წლის ბიუჯეტის მიხედვით, კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს საბიუჯეტო დაფინანსება 1,178 მილიონ ლარს შეადგენს, მაშინ, როცა 2011 წელს შესყიდვების სააგენტოს საბიუჯეტო დაფინანსება 1,4 მლნ ლარს შეადგენდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კონკურენციის სააგენტოს რეალურად არანაირი ფუნქცია არ ექნება და იგი ევროკავშირისთვის თვალის ასახვევად შექმნილი სამსახური იქნება.

ასევე, საინტერესოა ის ფაქტი, თუ რამდენად დამოუკიდებელი იქნება სააგენტო, რომლის მუშაობაშიც დიდი როლი ენიჭება მთავრობას. მან უნდა დაამტკიცოს სააგენტოს პრიორიტული მიმართულებები, ხოლო სააგენტოს თავმჯდომარეს დანიშნავს და გაათავისუფლებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

ასეთ ფონზე, საქართველო „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში“, 2012 წლის მონაცემებით 142 ქვეყანას შორის ადგილობრივი ბაზრის კონკურენტული გარემოს კუთხით 128-ე ადგილზეა, ხოლო ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტურობის კუთხით- 135-ე ადგილზე“.

არსებული პრობლემების გათვალისწინებით, ახალი მთავრობა ანტიმონოპოლიური კონკურენციის კანონმდებლობის ამოქმედებას მის დახვეწამდე არ აპირებს. მუშაობა მიდის ახალ ვერსიაზე, სადაც შერწყმული სააგენტოების განცალკევება მოხდება და ამასთანავე გაიზრდება მათი ბიუჯეტი.

ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ბაზრის რეგულირებაში. აზარი, „უხილავი ხელის“ პრინციპიდან გამომდინარე, თავად დაარეგულირებს ბაზარზე წონასწორობას. აქედან გამომდინარე, მათი მტკიცებით, არ არის საჭირო ანტიმონოპოლიური სამსახურის არსებობა.

აღნიშნული შეხედულება არ შეიძლება სამართლიანად მივიჩნიოთ ჩვენი ქვეყნის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. მაშინ, როდესაც თითქმის ყველა დარგში არსებობს მონოპოლია ან ოლიგოპოლია და ადგილი აქვს კარტელურ შეთანხმებებს. ასეთი ბაზრებია: ფარმაცევტული (ავერსი, პე-ეს-პე, ჯი-პი-სი), ნავთობპროდუქტების (ვისოლი, ლუკოილი, სოკარი, გალფი), სასურსათო, რძის პროდუქტების (სანტე-42%, ეკო-ფუდი-41%, სოფლის ნობათი-14%), სამარშუტო (თბილდაინი, ფაბლიქარი, თბილქარი, კაპიტალგრუპი), სარეკლამო, ლატარიის (ლატარიის კომპანია), ელექტრომარაგების (თელასი), წყალმომარაგების, კომუნიკაციის (მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი), რკინიგზის. ინტერნეტის. ეს ის ჩამონათვალია, რომლის შესახებაც გარკვეული სახის ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი. მათგან ზოგი ბუნებრივს, ზოგიც კიდევ ხელოვნურ მონოპოლიას წამოადგენს. ნაწილი კი ოლიგოპოლიაა ბაზარზე.

საზოგადოებისთვის ყველაზე მტკივნეულ თემას ფარმაცევტული ბიზნესი წარმოადგენს, რომელიც ოლიგოპოლიური ბაზარია. 2004 წლამდე საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის 65%-ს სამი მსხვილი კომპანია “პსპ“, “ავერსი“ და “ჯი-პი-სი“ ფლობდა, 2010 წლის ზაფხულისთვის კი ისინი 85%-ს აკონტროლებდნენ. მსხვილ მწარმოებელთა შორის “ავერსი რაციონალის“ საბაზრო წილი 59,9% იყო, ხოლო GMP-ის - 29,9%. საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის 2010 წლის ფარმაცევტულ ბაზრის კვლევის თანახმად, ფარმაცევტული საქონლის იმპორტს 94 კომპანია ახდენდა: 16,8% “პსპ“-ის წილი იყო, 14,4% - “ავერსის“, 10,7% - “გლობალ ფარმის“, 9,3% - GPS-ის.

“ავერსი“ 1994 წელს დაფუძნდა და მუშაობა იმპორტისა და დისტრიბუციის სექტორში დაიწყო. 1998 წელს კომპანია საცალო გაყიდვების სექტორშიც დაშვებულა. 2002 წელს კომპანიამ ფარმაცევტული საწარმოების მშენებლობა დაიწყო და “ავერსი-რაციონალის“ ბრენდით გამოუშვა პროდუქცია. კომპანია საქართველოს მასშტაბით შვიდ კლინიკას ფლობს და ამჟამად კიდევ ორ ახალ კლინიკას აშენებს. საავადმყოფოების პრივატიზაციის გეგმის ფარგლებში, “ავერსი“ აშენებს და მართავს სახელმწიფოსაგან შესყიდულ საავადმყოფოებს. “ავერსს“ ასევე აქვს საკუთარი სადაზღვევო კომპანია “ალფა“, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური დაზღვევის მიმწოდებელია.

“პე-ეს-პე“ 1995 წელს დაფუძნდა, როგორც მედიკამენტების იმპორტიორი და დისტრიბუტორი კომპანია. საცალო გაყიდვების ბაზარზე 1999 წლიდან ოპერირებს. კომპანიამ მოგვიანებით საკუთარი საწარმო “ჯი-ემ-პი“ დააფუძნა, რომელმაც პირველი მედიკამენტი 1999 წელს გამოუშვა. “ჯი-ემ-პი“ ასევე წამლების წარმოების ბოლო ეტაპებზეა ჩართული. “პე-ეს-პე“ ფლობს მრავალპროფილიან საავადმყოფოს თბილისში, რომელიც მან პრივატიზაციის პროგრამის ფარგლებში შეიძინა.

“ავერსის“ მსგავსად, “პე-ეს-პე“-ც სადაზღვევო კომპანიის და “პე-ეს-პე ჯგუფის“ მფლობელია.

“ჯი-ბი-სი“ საქართველოში სიდიდით მესამე ფარმაცევტული კომპანიაა, რომელიც იმპორტიორ-დისტრიბუტორის რანგში 1995 წელს დაფუძნდა. საცალო გაყიდვების ბაზარზე ფირმა დაახლოებით 1999 წელს შევიდა. ამჟამად კომპანია თბილისში დაახლოებით 40, რეგიონებში კი 10 ავთიაქს ფლობს. მან დააფუძნა საცალო გაყიდვების ახალი ქსელი “წითელი A“.

“ეი-ბი-სი ფარმაცია“ 2000 წელს დაფუძნდა როგორც ნიშური პროდუქტების იმპორტიორი და დისტრიბუტორი. კომპანიამ ისარგებლა იმპორტის გაზრდილი შესაძლებლობებით, რომლებიც 2009 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შექმნა. იმპორტის სექტორში მისი წილი 2004-2012 წლებში 4%-დან 12%-მდე გაიზარდა და ამჟამად ბაზარზე სიდიდით მეოთხე კომპანიაა. 2009 წელს, “ეი-ბი-სი“-მ “ფარმადეპოს“ ბრენდის ქვეშ მოქმედი ავთიაქების ქსელი გახსნა. “ეი-ბი-სი ფარმაციას“ “ფარმადეპოს“ ბრენდის ქვეშ მოქმედი დაახლოებით 30 ავთიაქი აქვს, რომლებიც დედაქალაქშია თავმოყრილი.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მონაცემებით საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე მედიკამენტების 70 მწარმოებელი ოპერირებს, მაგრამ წარმოების 90% ორ კომპანიაზე: “ავერსი რაციონალსა“ და “ჯი-ემ-პი“-ზე, ანუ იგივე “პე-ეს-პე“-ზე მოდის.

ამავე დროს “ავერსი“ და “პე-ეს-პე“ ყველაზე დიდი კომპანიებია იმპორტისა და დისტრიბუციის სექტორში, სადაც მათი ერთობლივი წილი 48%-ს შეადგენს. “ავერსისა“ და “პე-ეს-პე“-ს შემდეგ, ამ სექტორში ყველაზე დიდი კომპანიები “ჯიპისი“ და “ეიბისი ფარმაცია“ არიან, რომელთა ერთობლივი საბაზრო წილი 23%-ს შეადგენს.

საქართველოში მედიკამენტების საცალო გაყიდვების დაახლოებით 1400 კომპანიაა, რომელთაგან 46-ს ორი ან მეტი ავთიაქი აქვს, ხუთი ფარმაცევტული ქსელი კი 30 ან მეტ ავთიაქს ფლობს. საცალო გაყიდვების ყველაზე დიდ ქსელებს ბაზარზე ყველაზე მსხვილი იმპორტიორ-დისტრიბუტორები: “ავერსი“, “პე-ეს-პე“, “ჯიპისი“ და “ეიბისი ფარმაცია“ ფლობენ.

ფარმაცევტულ ბაზარზე მდგომარეობას ფარმაცევტიკის შესახებ კანონი არეგულირებს, რომლის მიღების შემდეგაც ახალ კომპანიებს საშუალება მიეცათ შეეღწიათ ამ ბაზარზე და ამიტომ წამალზე ფასებმა მცირედით მოიკლო. თუმცა ახალი კომპანიებისთვის ბაზრის ათვისება არ წარმოადგენს ადვილ საქმეს, რადგან, როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს ოლიგოპოლიას.

ფარმაცევტულ ბაზარზე მდგომარეობას ართულებს არა მარტო ოლიგოპოლიის არსებობა, არამედ ფაქტიურად არსებული ვერტიკალური მონოპოლიაც. რაც გულისხმობს წამლის იმპორტიორის, მწარმოებლის, საავთიაქო ქსელის, კლინიკებისა და სადაზღვევო სექტორის ერთი მფლობელის განკარგულებაში არსებობას. ქვეყანაში ოლიგოპოლიური ბაზრის არსებობა შესაძლოა იყოს მისაღები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაზე დადებით ზეგავლენას ახდენს. მაგრამ ამ შემთხვევაში ფასები იმდენად ერთნაირად მაღალია, რომ წარმოუდგენელია ბაზარზე კარტელურ შეთანხმებასა და ლიდერობის ბოროტად გამოყენებაზე არ ვისაუბროთ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ფარმაცევტულ ბაზარზე მდგომარეობას ართულებს, არის „არაკვალიფიციური რეჟიმი“, რომელიც წამლის იმპორტიორებისთვის ბარიერს ქმნის. საქმე ეხება „პარალელურ იმპორტს“, როდესაც დისტრიბუტორებს შესაძლებლობა აქვთ წამლები შემოიტანონ იაფი ბაზრებიდან. მთავრობამ ეს დაშვება იმპორტზე მონოპოლიის შეზღუდვის მიზნით დააწესა. ამის აუცილებლობა განპირობებული იყო იმით, რომ ქართულ კომპანიებს გადანაწილებული ქონდათ რეგისტრირებული მომწოდებლები და სხვა კომპანიებს

უჭირდათ ბაზარზე წამლის შემოტანა. თუმცა, აღნიშნულმა რეჟიმმა განაპირობა ბარიერის შექმნა იმტომ, რომ გაჩნდა პრობლემები- ერთის მხრივ, კანონმდებლობით დადგენილი ხარისხის სერთიფიკატის საჭიროება და მეორეს მხრივ- ევროგაერთიანების ბაზარზე არსებული, ქართველი დისტრიბუტორების ისეთი მთავარი, საშუალო და წვრილი მომწოდებლების არსებობა, რომლებსაც არ გააჩნიათ აღნიშნული სერთიფიკატი. ასეთი სერთიფიკატი, მხოლოდ მწარმოებლებს და მსხვილ დისტრიბუტორებს გააჩნიათ, რომლებიც პარალელური იმპორტით არ ინტერესდებიან.

ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის შეფასებით, აღნიშნული რეჟიმის არსებობა აუცილებელია, თუმცა საჭიროა მისი პროცედურების გადახედვა. მათი აზრით, პარალელური რეჟიმის დაშვებას თან უნდა მოჰყოლოდა სულ მცირე, შესაბამის მარეგულირებლებთან სახელმწიფო შეთანხმების ფორმატში გაფორმებული კოორდინაციის შესაძლებლობები, რომ შესაძლებელი გახდეს იმპორტირებული წამლების მიკვლევაობა. არსებული პრობლემა უფრო მეტად ართულებს დისტრიბუციას და ამით ხელს უწყობს ბაზრის შეზღუდვას.

თუკი საქართველოში არსებული ფარმაცევტული კომპანიების სადისტრიბუციო მარშებს შევადარებთ ამერიკისა და ევროპის მაჩვენებლებს, ვნახავთ, რომ განსხვავება ძალიან დიდია. ამერიკაში 4-5%-ია, ხოლო ევროპაში- 8-10%, საქართველოში კი საშუალოდ 100%-ს შეადგენს. ცალკეული პროდუქციაზე 2-ჯერ, ან უფრო მეტჯერაც იზრდება.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ წამლებს, აქ უფრო გაუგებრად არის საქმე. მათი ფასი უტოლდება წამყვანი კომპანიების ბრენდების ფასებს მაშინ, როდესაც ისინი დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის კვლევებს ატარებენ და საშუალოდ 12 წელს ანდომებენ ბაზარზე შესვლას, საქართველოში კი ასეთი ტიპის არანაირი ხარჯები არ აქვთ. შესაბამისად, წამლის ასეთ მაღალ ფასთან ერთად მისი ხარისხის პრობლემაც დგება.

როგორც ვხედავთ, ფარმაცევტულ ბიზნესში ძალიან ბევრი პრობლემაა, რომლის მოგვარების გზა მხოლოდ სახელმწიფოს ხელშია. აუცილებელია, რომ წამლების შესახებ კანონი იყოს პოლიტიკური კორუფციის ხელშემშლელი. კანონში არის მუხლი, რომელიც დაწუნებული წამლის ბაზარზე დაშვების შესაძლებლობას იძლევა იმ შემთხვევაში, თუკი, მარეგულირებლის მხრიდან წამლის მწარმოებლისთვის შეტყობინების პროცედურული ვადები იქნება დარღვეული. ასეთი სახის კანონი, ცხადია, ხელს შეუშლის ბაზრის განვითარებას, ამიტომ შემუშავებულ უნდა იქნეს სტანდარტები. სრული დატვირთვითა და შესაბამისი ფუნქციებით უნდა ამოქმედდეს მარეგულირებელი ორგანო, რომელიც შეისწავლის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას და შეზღუდავს მოქმედ ოლიგოპოლიას.

მეორე პრობლემა, რომელზეც გაგამახვილებთ ყურადღებას, ეს არის ნავთობპროდუქტების ბაზარი. საწვავის საცალო ბაზარზე წლების განმავლობაში დომინირებდა 6 კომპანია: „ვისოლი“, „ლუკოილი“, „სოკარი“, „ეკო“, „რომპეტროლი“, „სენტა“, „მაგნატი“. გასულ წელს ბაზარზე „გალფი“ გამოჩნდა, რომელმაც შეიძინა „სენტა“ და „მაგნატი“. მანამ, სანამ „გალფი“ შემოვიდოდა ბაზარზე ლიდერ კომპანიას ვისოლი წარმოადგენდა 35%-ით, ხოლო 65% სხვა კომპანიებს ეკუთვნოდათ. დღესდღეობით კი „გალფს“ აქვს ყველაზე მეტი - 130 ბენზინგასამართი სადგური, „ვისოლს“- 105, „სოკარს“- 88.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ „გალფს“ არ გასჭირვებია ბაზარზე დამკვიდრება მაშინ, როცა უკვე აქ არსებობდა ოლიგოპოლია. თუკი ასეთ მდგომარეობას გავითვალისწინებთ რეალურად, „გალფს“ ბაზარზე თავის დამკვიდრება შედარებით მაღალი ხარისხითა და დაბალი ფასებით უნდა მოეხერხებინა, თუმცა იგი იმავე პროდუქციითა და იგივე ხარისხით წარდგა ბაზარზე. მიუხედავად ოფიციალური

ინფორმაციის არარსებობისა, სავსებით სამართლიანად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს კომპანიაც ნავთობროდუქტების ოლიგოპოლიურ ბაზარს კარტელური გარიგებით შეუერთდა.

რაც შეეხება ბაზარზე არსებულ ფასებს, „ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ კალკულაციით, რომელიც მათ ვერო-რეგულარის ტიპის ბენზინზე გააკეთეს, საშუალო თვითღირებულებამ 1,70 ლარიდან 1,75 ლარამდე შეადგინა, საცალო ბაზარზე კი კომპანიები მას 2,20 ლარად ყიდიან. ჩვენი ქვეყნისგან განსხვავებით, ზოგადად ნავთობროდუქტების ბიზნესში ფასნამატი 10-15% ან მაქსიმუმ 20% იანგარიშება, საქართველოში კი იგი დაახლოებით 40%-ს შეადგენს. ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული კომპანიები მსოფლიოში ნავთობროდუქტებზე ფასების ზრდას ყოველთვის ფასის ზრდით პასუხობდნენ, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში ფასების კლებას ადგილი არ ჰქონია.

ასევე, საინტერესოა ჩვენს ქვეყანაში მოქმედი „ნავთობროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი“, რომელიც 2004 წლის 13 თებერვალს დაფუძნდა. მის ერთ-ერთ მიზანს მეწარმეთა კონკურენტუნარიანი ბიზნეს-გარემოს შექმნის ხელშეწყობა და მათი კანონიერი უფლებების დაცვა წარმოადგენს. ასევე, ნავთობროდუქტების ბაზარზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელება საწვავის ხარისხსა და საწვავის ფასთან დაკავშირებით, შემდგომ კი საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კავშირი ბოლო წლების განმავლობაში ახორციელებდა საწვავის ხარისხის შემოწმებას და სერთიფიცირებას მხოლოდ იმ კომპანიებზე, რომლებიც ნებაყოფლობით გამოთქვამდნენ სურვილს საწვავის ხარისხის შემოწმებაზე. ქვეყანაში განხორციელებულმა პოლიტიკამ, რომლის შედეგადაც გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური და შესაბამისად ნავთობ იმპორტიორ კომპანიებს მოუხსნა ყოველგვარი შეზღუდვა საწვავის ფასებთან დაკავშირებით, ბაზარზე გაბატონდა ოლიგოპოლია, რისი შედეგიც დაბალი ხარისხი და მაღალი ფასებია.

კონკურენციის პოლიტიკა ხომ იმ სახელმწიფო ორგანოების დამოკიდებულებაა, რომელთაც კანონით ევალებათ კონკურენციისა და საკონკურენციო ურთიერთობების ზედამხედველობა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით. სწორი კონკურენციული პოლიტიკა კი ეფუძნება ჯანსაღ საკონკურენციო სამართალს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის განვითარების საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ. თბილისი 2005
2. საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს კვლევები. თბილისი.2011წ
3. ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაციის კვლევები
4. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის " შეფასებები
5. ეკონომიკის ექსპერტთა შეფასებები
6. ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის შეფასებები
7. www.gfsis.org
8. www.for.ge
9. [http://www.cenn.org/wssl/programs/Georgia Institutional Analysis GFEI GEO.pdf](http://www.cenn.org/wssl/programs/Georgia%20Institutional%20Analysis%20GFEI%20GEO.pdf)
10. <http://www.ghn.ge/>
11. <http://www.netgazeti.ge/>
12. <http://opinion.ge/>
13. [http://resonancedaily.com/;](http://resonancedaily.com/)

თათია უდესიანი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ადმინისტრირების მე-4 კურსის სტუდენტი*

კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში რეზიუმე

კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა - კონკურენციული წესრიგის პოლიტიკაა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. დღეისათვის ქვეყანაში არსებულ პრობლემათა შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი კონკურენციასა და კონკურენტულ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს უკავია. თავისუფალი კონკურენციის არსებობა ბაზრის წარმატებით ფუნქციონირების წინაპირობაა, ამიტომ ქვეყანაში მისი არსებობა, რომელიც ფირმებს შორის მეტოქეობით გამოიხატება, დარგის ეფექტურ განვითარებას განსაზღვრავს, რაც საბოლოო ჯამში, მომხმარებელთა მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებასა და მათი კეთილდღეობის ზრდას გულისხმობს.

სწორი კონკურენტული პოლიტიკა, რომელიც ჯანსაღ საკონკურენციო სამართალზეა დაფუძნებული, საბაზრო ეკონომიკის განვითარების საწინდარია. კონკურენციის პოლიტიკა შეიძლება განვმარტოთ, როგორც იმ სახელმწიფო ორგანოების დამოკიდებულება, რომელთაც კანონით ვვალდებთ კონკურენციისა და საკონკურენციო ურთიერთობების ზედამხედველობა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით.

Татиа Удесиани

студент 4-ого курса

Тбилисского Государственного Университета

ПОЛИТИКА КОНКУРЕНЦИИ В ГРУЗИИ

Резюме

Экономическая политика конкуренции-это политика конкурентного порядка, которая должна быть составной частью экономической политики. На данном этапе, среди существующих в стране проблем, одно из значительных мест занимают связанные с конкуренцией и конкурентной средой вопросы.

Существование свободной конкуренции является залогом успешного функционирования рынка. Поэтому ее существование в стране, которое выражено соперничеством между фирмами определяет эффективное развитие отрасли, что в итоге подразумевает лучшее удовлетворение потребностей потребителей и повышение их благосостояния.

Правильная конкурентная политика, которая основана на здоровом конкурентном праве, является залогом развития рыночной экономики. Политику конкуренции можем разъяснить, как отношение тех государственных органов, которые согласно закону обязаны установить контроль над конкуренцией и конкурентных взаимоотношениями посредством соответствующих государственных органов.

Tatia Udesiani

*Undergraduate Student of Business Administration
of I.Javakhishvili Tbilisi State University*

COMPETITION POLICY IN GEORGIA

Summary

There are many problems in our country and their extirpation positively affects to the society. Nowadays, the most important place is occupied by issues related to competition and the competitive environment among existed problems. The existence of a free competition is a prerequisite of market successful functioning, therefore its existence in the country, which is expressed by the rivalry among the companies, defines effective development of the field. Ultimately, it implies better social welfare and satisfaction of consumers' demands. Economic Policy of Competition - Policy of Competitive order, which must be one of the most important component of economic policy. Competition policy should be explained as the attitude of the state bodies, their mission is to supervise competition and its relations through the relevant state structures. Proper competition policy, which is based on healthy competition law, is precondition of the development of a market economics.

ზატია ზაქარაია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა
და ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

**სახელმწიფო რეგულირება
ეკონომიკური თავისუფლების სადარაჯოზე**

”ართუ იმათ რაცხდე თავისუფალ ადამიანებად, რომლებიც კეთილდღეობით არიან თავისუფალნი, არამედ - იმათ, თავისუფალნი რომ არიან ცხოვრებითა და ზნე-ჩვევებით, რადგან შეუფერებელია ჭეშმარიტად თავისუფალი უწოდო მთავრებს, უკეთური რომ არიან და აღვირახსნილნი, ვინაიდან ემონებიან ისინი ნივთიერ ვნებებს, ხოლო სულის თავისუფლება და ბედნიერება ესაა - ჭეშმარიტი სიწმიდე და წუთიერთა არად ჩაგდება“ - წმ. ანტონ დიდი

თითქმის ყველა დიადი იდეის წარმოშობისა და განხორციელების საფუძველი თავისუფლებაა. თავისუფლებას ემყარება კაცობრიობისათვის საოცნებო, იდეალური საზოგადოებრივი წყობა. ნებისმიერი სახის თავისუფლება პიროვნების შინაგანი თავისუფლების ანარეკლია, მისი სახესხვაობაა. შინაგანად თავისუფალი ადამიანები აყალიბებენ საზოგადოებას და ავლენენ ზღვარს ბრბოსთან, რომელიც მხოლოდ ინერციით მოძრაობს. თავისუფალი ნება ქმნის როგორც სულიერ, ისე მატერიალურ ფასეულობებს. როგორც კი თავისუფლების გამოვლინება ნივთობრივ ხასიათს შეიძენს, იგი ეკონომიკურ თავისუფლებად გარდაიქმნება.

სახელმწიფო ვერ იარსებებს ვერც საზოგადოებისა და ვერც მატერიალური ფასეულობების გარეშე. სახელმწიფოს ღერძი თავისუფალი ადამიანია, ეკონომიკური სისტემისა კი ეკონომიკური თავისუფლება. ეკონომიკური თავისუფლება არჩევანის გაკეთების შესაძლებლობაში გამოიხატება. არჩევანის არსებობა კონკურენციის უმთავრესი ელემენტია, კონკურენცია კი საბაზრო ეკონომიკის საყრდენს წარმოადგენს.

კლასიკოსი ლიბერალები ან ლიბერტარიანელები ფიქრობდნენ, რომ თუკი საზოგადოებას მინიმუმამდე დაჰყავს შეზღუდვები, რომლებსაც ადამიანები ბედნიერების ძიებისას აწყდებიან, ეს მთავრობის ჩაურევლობის პოლიტიკას, სამოქალაქო თავისუფლებების არსებობას უზრუნველყოფს.

მარქსისტები თვლიან, რომ კლასიკური ლიბერალიზმი მხოლოდ ხრიკია, ცდილობს მოგვაჩვენოს, რომ სიკეთეს ემსახურება, ფაქტობრივად, სპეციალურ ინტერესებზე ზრუნავს და ამავე დროს უბრალო ადამიანების ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელ პირობებს ანადგურებს, აძლიერებს ატომიზმს (წარმოდგენა, რომლის თანახმადაც საზოგადოება, უმთავრესად, თვითკმარი ინდივიდებისაგან შედგება-მათ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ და ერთმანეთის მიმართ მცირედ, ან სულაც არანაირ ვალდებულებას არ გრძნობენ). ამიტომ ეკონომიკის რეგულირებას „ლობირებენ“. სახელმწიფოს, როგორც რეგულატორის, როლი იმაში მდგომარეობს, რომ მან ბაზრის „ნაკლოვანებები“ აღმოფხვრას და მატერიალურ სიკეთეთა გადანაწილებას შეუწყოს ხელი. ხელი შეუწყოს იმას, რომ ვერავინ და ვერაფერმა შეაფერხოს თავისუფალი ეკონომიკური არჩევანი.

შესაბამისად, ეკონომიკური თავისუფლება რეგულირებადია და გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული. ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით, შეიძლება უტოპიურად ედერდეს, თუმცა მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. იდეალური სახელმწიფო წყობისას (რეალურ ცხოვრებაში ცნება „იდეალური“ გარკვეულ დაშვებებს მოიცავს და გარკვეულწილად საბაზრო ეკონომიკის სინონიმად აღიქმება), სახელმწიფოს, როგორც რეგულატორის, ჩარევის საჭიროება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არ იარსებებდა, ვინაიდან საზოგადოებაში იქნებოდა იმდენად

მაღალი თვითშეგნება, რომ სუბიექტებს არ ექნებოდათ გარე და შიგა „თავდასხმების“ საშიშროება. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური თავისუფლების გარკვეული საზღვრების არსებობა საჭიროა, ვინაიდან არსს მოკლებულია, ზოგადად, თავისუფლებაწართმეულ ადამიანებს მხოლოდ ეკონომიკურ თავისუფლებაზე დაყრდნობით მოთხოვნილი ეკონომიკური აღმავლობა და განვითარება.

იმ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დამონებულ ცხოვრებას შეეჩვია, ხმის ამოღებისა და აზრის გამოხატვის ეშინოდა (გამონაკლისების გარდა), ერთბაშად მიღებული თავისუფლება საზიანოც კი შეიძლება აღმოჩნდეს.

რა ზომით უნდა არეგულიროს სახელმწიფომ ეკონომიკური პროცესები და სად იქნება მისი ჩარევა სასარგებლო ზოგადად ეკონომიკისთვის და ეკონომიკური თავისუფლებისთვის?

ნებისმიერი საბაზრო სტრუქტურა, თავისი გამოვლენის პრაქტიკულად ყველა ფორმაში, ეს იქნება მონოპოლია (ბუნებრივი, თუ ჩვეულებრივი), ოლიგოპოლია, თუ მონოპოლისტურად კონკურენტული საბაზრო სტრუქტურა, ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის კლასიკური მაგალითებია. რამდენადაც სრულყოფილად კონკურენტული ბაზარი ბუნებაში პრაქტიკულად არ გვხვდება (ისევე, როგორც “პარეტოს კრიტერიუმში“, რომელიც ასევე მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა და სხვა არაფერი) და უკეთეს შემთხვევაში გვაქვს მონოპოლისტურად კონკურენტული საბაზრო სტრუქტურა, ამდენად, ნებისმიერ შემთხვევაში საქმე გვაქვს ამა თუ იმ ზომით ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვასთან. ამ დროს მართებულია, კონკურენციისა და თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ჩარევა და ეკონომიკური რეგულირება.

სახელმწიფო და არასახელმწიფო პირების მხრიდან ეკონომიკური თავისუფლების „შეზღუდვა“ საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სახელმწიფოს უმთავრესი ვალდებულებების ამომწურავი ჩამონათვალის ფორმულირება:

- ✓ ბაზრის მონაწილეთა შიდა და გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ✓ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;
- ✓ სამეურნეო ცხოვრების ერთიანი, თანაბარი, გამჭვირვალე და სტაბილური წესების უზრუნველყოფა;
- ✓ კერძო პირთა მიერ კონტრაქტის შესრულების უზრუნველყოფა;
- ✓ მოქალაქეთა სამეურნეო ცხოვრებაში მონაწილეობის შეზღუდვების ლიკვიდირება, კონკურენციის ხელშეწყობა.

სახელმწიფოს ასეთი ფუნქციები განაპირობებს მის მიერ უარის თქმას განსაკუთრებულ ეკონომიკურ ინტერესებზე, მის ეკონომიკურ ცხოვრებაში ვერც ერთი სახელმწიფო ვერ ახერხებს ამ ჩარჩოში ჩატევას და ნებით, უნებლიეთ, თუ მონაწილეობასა და მასში ჩაურევლობას. თუმცა, ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ძალით ხელყოფს ეკონომიკური თავისუფლების საზღვრებს მოსახლეობის კეთილდღეობად წოდებულ ნიღაბს ამოფარებული.

ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი იზომება თავისუფალი არჩევანის ხარისხით. აქ იგულისხმება არა ყოველგვარი არჩევანი, არამედ ეკონომიკურ აქტიურობათა ოპტიმალური არჩევანი. პარადოქსი იმაში მდგომარეობას, რომ თავისუფლება ყოველგვარ საზღვრებსა და ჩარჩოებს ამსხვრევს და სინათლესავით ეფინება, იგი თვითმყოფადია და განუსაზღვრელი. ის კი, რაც ეკონომიკურ თავისუფლებად იწოდება, საჭიროებს ეკონომიკური პოლიტიკით რეგულირებას. როგორც აღვნიშნეთ, როცა ირღვევა თავისუფალი, ალტერნატიული და ოპტიმალური არჩევანი ეკონომიკური სუბიექტებისათვის და მას საბაზრო მექანიზმი (მოთხოვნა,

მიწოდება და ა.შ.) ვერ არეგულირებს, სახელმწიფო პოლიტიკა მის დასაცავად და გასამტკიცებლად გარკვეულ ქმედებებს მიმართავს (ფისკალური, მონეტარული პოლიტიკა).

Heritage Foundation-ის 2012 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო 179 ქვეყანას შორის 69.4 ქულით 34-ე ადგილს იკავებს. ეს მანვენიბელი შარშანდელთან შედარებით 1 ქულითა და 5 ადგილით არის გაუარესებული. როგორც რეიტინგის ავტორები აღნიშნავენ, გასულ წელთან შედარებით გაუარესება შეინიშნება კორუფციის, მთავრობის დანახარჯებისა და მონეტარული თავისუფლების კუთხით. საქართველო ყველა მეზობელ ქვეყანას - სომხეთს (39-ე ადგილი), რუსეთს (144-ე ადგილი), აზერბაიჯანს (91-ე ადგილი) და თურქეთს (73-ე ადგილი) საშუალოდ 42.2 ადგილით უსწრებს. რეიტინგში ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალ ქვეყნად ჰონგ-კონგი დასახელდა (89.9), მეორე ადგილს სინგაპური (87.5) იკავებს, მას მოსდევს ავსტრალია (83.1), ახალი ზელანდია (81.1) და შვეიცარია (81.1).¹⁸

ინდექსი ზომავს ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას ხუთი ძირითადი სფეროს მიხედვით: მთავრობის ზომა: ხარჯები, გადასახადები და საწარმოები; სამართლებრივი სტრუქტურა და საკუთრების უფლების დაცვა; მდგრადი ვალუტის ხელმისაწვდომობა; საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება; კრედიტების, შრომისა და ბიზნესის რეგულირება.

ადამ სმიტის კლასიკურ ნაშრომში „ხალხთა სიმდიდრის ბუნების შესახებ“ დასახელებული იყო ქვეყნების და მათი მოსახლეობის აყვავების ძირითადი პირობები: კარგი კანონები, გადასახადები, რომლებიც მძიმე ტვირთად არ აწვევს მოსახლეობას და მშვიდობა - ეს სამეურნეო საქმიანობის თავისუფლების კანონიკური განსაზღვრების ძირითადი კომპონენტებია. იქვე იყო ფორმულირებული ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი წესი: „რაც უფრო ნაკლებად ერევა სახელმწიფო ეკონომიკურ საქმიანობაში, მით უფრო უკეთესია ეკონომიკისთვის“. თუმცაღა თავის თეორიულ წარმოდგენასა და პრაქტიკულ საქმიანობაში თავად ა. სმიტი ყოველთვის არ იყო *laissez-faire* სისტემის თანმიმდევრული მომხრე, როგორც ამაზე ტრადიციულად მთარული აზრი მოგვითხრობს.

ერთადერთი თავისუფლება, ამ სახელს მართლა რომ იმსახურებს, არის თავისუფლება, საკუთარი კეთილდღეობა ჩვენი საკუთარი გზებით ვეძიოთ იქამდე, სანამ არ ვეცდებით სხვებს წავართვათ თავიანთი კეთილდღეობა ან ხელი შევეშალოთ მისი მოპოვების ცდაში“-ჯონ სტიუარტ მილის ეს სიტყვები ისე ხვდება ყურს, თითქოს ამ ეპოქის თანამედროვეს ეკუთვნოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. [http://ramazepc.wordpress.com/2011/05/02/ekonomikuri Tavisuflebis roli da farglebi ekonomikur politikaSi](http://ramazepc.wordpress.com/2011/05/02/ekonomikuri-Tavisuflebis-rol-i-da-farglebi-ekonomikur-politikaSi);
2. <http://www.resonancedaily.com>- gazeTi „rezonansi“- „ekonomikuri Tavisuflebis politanatomia“ Tamaz aqubardia (02.04.2012);
3. [http://burusi.wordpress.com/2011/02/06/john-stuart-mill jon stiuart mili d](http://burusi.wordpress.com/2011/02/06/john-stuart-mill-jon-stiuart-mili-d) “Tavisuflebis Sesaxeb”;
4. <http://www.mfa.gov.ge/index>;
5. <http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&item=521>;
6. <http://azrebi.ge/index.php?pid=1029>.

¹⁸ <http://www.tabula.ge/article-19135.html>

ხატია ზაკარაია
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა
და ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი*

**სახელმწიფო რეგულირება ეკონომიკური
თავისუფლების სადარაჯოზე
რეზიუმე**

ეკონომიკური კეთილდღეობა იწყება ეკონომიკური თავისუფლებით. ეს, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს თავისუფალ არჩევანს, სოლიდარობას სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით და სიკეთეთა სამართლიან გადანაწილებას, რაც იძლევა სასტარტო პირობებში თანასწორობის და თავისუფალი ოპტიმალური არჩევანის გაკეთების საშუალებას.

Хатиа Закараия
*студент 4-ого курса
Тбилисского Государственного Университета*

**ГОСУДАРСТВЕННОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ НА
СТРАЖЕ ЭКОНОМИЧЕСКОЙ СВОБОДЫ
Резюме**

Экономическая благосостояние начинается с экономической свободы. Это прежде всего включает в себя свободный выбор, солидарность с точки зрения социального благосостояния и справедливое распределение благ, что дает на начальных условиях возможность осуществления равноправие и свободного оптимального выбора.

Zakaraia Khatia
*Undergraduate Student of Business Administration
of I.Javakhishvili Tbilisi State University*

**STATE REGULATION IN GUARD OF ECONOMIC FREEDOM
Summary**

When it is limited free, alternative and the optimal choice of economic entities and the market mechanism (demand, supply, and so on. Etc.) can not regulate itself, the government uses special policies and actions to defend equality.

Economic prosperity begins with economic freedom. Economic freedom is measured by the degree of freedom of choice and quality. It does not mean any choice, but the optimal choice the freedom of choice, solidarity and social welfare benefits in terms of fair distribution, which gives the optimal starting conditions of equality and freedom of choice.

გილოცვა

ძარბაზი ეკონომიკური მეცნიერების კატრიარძი



ბატონ ლეო ჩიქავას დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. ცხოვრების დიდი, რთული და წინააღმდეგობრივი გზა მან სახელოვნად განვლო. მთელი ცხოვრება მიუძღვნა მეცნიერებას და პედაგოგიურ მოღვაწეობას. დიდ მეცნიერად ჩამოყალიბების ყველა საფეხური თანმიმდევრულად, შეუპოვრად და მიზანმიმართულად გაიარა. ცხოვრებისეული ყველაფერი გამოსცადა. საბოლოოდ, ცხოვრების ზიგზაგისებურ გზაზე ამაყად იარა და ყველა გამოწვევას მყისიერად უპასუხა, და დღეს საზოგადოებაში კეთილსინდისიერების, ფართო ერუდიციის, მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსის კაცის, ურთულესი პრობლემების დიდი მკვლევარის, უმაღლესი რანგის პედაგოგის და მეცნიერების აღიარებული ორგანიზატორის რეპუტაციით ორიენტირდსიმაღლედ არის წარმოდგენილი.

ბატონმა ლეომ დაამტკიცა, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური ღირსებებით გამორჩეული პიროვნებაა, რომელმაც სახელოვნად ატარა ოჯახის კაცის, გვარის კაცის, თემის კაცის, ქვეყნის კაცის ილიასეული გაგების ტიტული და უკვე ასაკოვანი ბრძენი კაცი ყოველმხრივ ავლენს ზოგადკაცის ყველა თვისებას, გვიჩვენებს ადამიანური ღირსების დაცვის სანიშნო მაგალითს. ეს კი დღევანდელ პირობებში მოქალაქეობრივი გამბრუნების ტოლფასია.

ბატონი ლეოს სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალმხრივია. მისი კვლევის სფერო მრავალწახნაგოვანი, თემა – პრობლემა აქტუალური, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას მისადაგებული. მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური თეორიის, დემოგრაფიული მდგომარეობის, სასურსათო პროდუქტების წარმოების, ინოვაციური ეკონომიკის აქტუალური პრობლემების სისტემური კვლევა. ბატონი ლეოს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები მიეძღვნა საქართველოში სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განვითარებას. ავტორის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვამ მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. ბატონი ლეო უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ინტენსიურად იკვლევს ქვეყნის უმწვავესი პრობლემის დემოგრაფიული სიტუაციის კანონზომიერებებს. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფცია. მის სახელთანაა დაკავშირებული მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის ჩამოყალიბება და მისი წარმატებული საქმიანობა. ინსტიტუტის კოლექტივმა შეძლო დემოგრაფიული პრობლემების კვლევის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ წამოწყებული საქმის თანმიმდევრულად გაგრძელება და მათი შესწავლადგანზოგადების მყარ მეცნიერულ საფუძველზე აყვანა.

ბატონი ლეოს დემოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილ მრავალ ნაშრომს შორის გამოირჩევა ნოვატორული სულისკვეთებით შექმნილი მონოგრაფია „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“. ავტორმა ნაშრომში შესაბამისი არგუმენტაციით დაასაბუთა ტერმინი „დემოგრაფიის“ „დემოლოგიით“ ჩანაცვლების აუცილებლობა. ავტორის აზრით, „მეცნიერების ერთდერთ ფუნდამენტურ დარგს დემოგრაფიას ფრიად თვალსაჩინო ადგილი უკავია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში და ტერმინ „დემოგრაფიას“ არ ძალუძს ამ ფართომასშტაბიანი მეცნიერების შინაარ-

სობრივი დატვირთვის სრულად ასახვა. ამიტომ მიზანშეწონილია მის ნაცვლად გამოყენებულ იქნას ტერმინი „დემოლოგია“. ბდნმა ლეომ გეიხვენა დემოგრაფიულ კანონთა მთელი სისტემის, ეკონომიკური და დემოგრაფიული კანონებისა და კატეგორიების ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანპირობებულობის სწორად ასხნის აუცილებლობა.

ამ მონოგრაფიას, როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ 2012 წელს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ ნაშრომს, სავსებით დამსახურებულად მიენიჭა ფილიპე გოგინაიშვილის აკადემიური სახელობითი პრემია და ლაურეტის დიპლომი.

დღეს ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინტეგრირებული ცოდნის, როგორც განვითარების ფაქტორის პრობლემას. იგი უადრესად აქტუალური გახდა XX საუკუნის ბოლო წლებში. საზოგადოებრივ აზროვნებაში, როგორც ასეთში რადიკალური ძვრები მოხდა, პარადიგმები შეიცვალა, მასშტაბები გაფართოვდა, ძველი დოგმების ახლით ჩანაცვლება, თითქოს შეუმჩნეველად ხდება. ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა საზოგადოებრივ ურთიერთობათა რთული პროცესი უფრო წინააღმდეგობრივი გახადა: მეცნიერულ-დტექნიკურ პროგრესს მნიშვნელოვანწილად ჩამორჩა ეკონომიკური მეცნიერება (საერთოდ საზოგადოებრივი მეცნიერება). დღესაც არ არის თუნდაც მიახლოებით შეთანხმებული აზრი მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, საზოგადოებრივი პერიოდიზაციის, საერთოდ პროგრესის თავისებურებებისა და ტენდენციების, განვითარების ფაქტორების როლის შესახებ. როგორც იტყვიან წყალი შეუღვა წარმოების ტრადიციული ფაქტორების როლის შესახებ დღემდე არსებულ შეხედულებებს.

ბდნი ლეოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თამამად მოკიდა ხელი თითქოს საყოველთაო, მაგრამ ჯერ კიდევ არსებითად შეუსწავლელი პრობლემის კვლევას. თემის ირგვლივ შექმნა ინფორმაციული მასივი, მეცნიერების სხვადასხვა სკოლის მიერ სხვადასხვა დროს გახმოვანებული შეხედულებებისა და პოზიციების შეჯერებით საკუთარი მოსაზრებები და დასკვნები წარმოადგინა მონოგრაფიაში „ინოვაციური ეკონომიკა“. ამ ნაშრომის ერთდერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ თანამედროვეობის თემად პრობლემა განხილულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უკანასკნელი წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით და იძლევა თეორიული და პრაქტიკით ნაკარნახევი პრობლემების ერთ მთლიანობით პროცესად განხილვა-ანალიზი-შეფასების, ანუ თეორიისა და პრაქტიკის სიმბიოზის სანიმუშო მაგალითს.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მთავარ საზოგადოებრივ სიმდიდრედ, უმნიშვნელოვანეს ფასეულობად დღეს გვევლინება ცოდნა, საერთოდ ადამიანის ინტელექტი და არა წიაღისეული ან ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში. დამაჯერებელია ავტორის მოსაზრება ცოდნის როგორც სპეციფიკური საქონლის შესახებ.

გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ აღნიშნული ნაშრომი საიმედო წყაროა ცოდნის, როგორც საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლისა და მნიშვნელობის სწორად გაცნობიერებისათვის.

დიდია ბატონი ლეოს დვაწლი ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. იგი მრავალი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელი და კონსულტანტი, სამეცნიერო ჟურნალებისა (მათ შორის საერთაშორისო) და გამოცემების რედაქციების წევრი, სამეცნიერო შრომების რედაქტორი, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმების, სემინარების) ორგანიზატორი, კონცეფციებისა და აქტუალურ პრობლემებზე მნიშვნელოვანი პროექტების ავტორი, თანაავტორი და მონაწილე.

მას მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრდკორესპონდენტად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ლეოს დ ქართველ ეკონომისტთა თავკაცის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოღვაწეობა. აკადემია, რომელიც უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერდპროფესიონალებს აერთიანებს, დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს სამეცნიეროდსაგანმანათლებლო სივრცეში. მის საერთო ძალისხმევას მიზანმიმართულად წარმართავს აკადემიის ერთადერთი დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი ბდნი ლეო.

საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებაში ბატონ ლეოს იცნობენ როგორც მაღალი ზნეობრიობით გამორჩეულ კაცს: პიროვნება-კოლორიტს, მეგობრობის ეტალონს, საზოგადო მოღვაწეს, ქართველ ეკონომისტთა სამაგალითო ლიდერს, დიდ პედაგოგს, სასიქადულო მასწავლებლების ღირსეულ მოსწავლეს, მეცნიერების ინტერესების ერთგულ დამცველს, ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის თავდადებულ მამულიშვილს.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა პატრიარქს დ ბატონ ლეო ჩიქავას ვულოცავთ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ დღეგრძელობასთან ერთად წარმატებულ მოღვაწეობას.

ნოდარ ჭითანავა
პროფესორი

ინფორმაცია

ჟურნალ ეკონომისტის რედაქცია აცხადებს კონკურსს პრემიის მოსაპოვებლად 2013 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიისათვის. პრემია მიეკუთვნება სტატიას, რომელსაც გამოავლენს მაღალკვალიფიციური ჟიური, სამეცნიერო სტატიისათვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პრემიის მფლობელს გადაეცემა შესაბამისი დიპლომი და ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით.

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics_institute@yahoo.com, nbibilashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

შეღავათიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14

293 22 60; 551 10 07 04.

ელ.ფოსტა: economics_institute@yahoo.com

ჟურნალ "ეკონომისტიში" სტატიების წარმოდგენის წესები

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური და რუსულსა და TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

GEL

მიმღები	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE
JOURNAL “ECONOMIST”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

USD

BENEFICIARY	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
BENEFICIARY BANK	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
INTERMEDIARY BANK	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

ჟურნალი “**ეკონომისტი**”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
E-mail: economics_institute@yahoo.com

Journal “**Economisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
E-mail: economics_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**